



კოტო გუგუჩია



ჩაის ქარხნის მთავარი ტექნოლოგი ვიტალი გუგუჩია, მთავარი მექანიკოსი მურმან კაკულია და მექანიკოსი ბოშან შედანი



კოლმეურნეობის ბრიგადირი არსენ კურხილავა და პარტორგანი-ჯაციის მდივანი ვალერიან გაბუნია



ახალმშენებლობანი სოფელ კახათში.



ოტო გუგუჩია თავმჯდომარედ სწორედ იმ წლებში აირჩია ხალხმა, როცა კოლმეურნეობას ძალიან უჭირდა. ალბათ ამ გასაჭირმა აანგრევინა ძველი ფუძე ბარეორ კახთელ გლუხეცაც და ქალაქისკენ აბრუნებინა პირი.

განსაკუთრებით ახალგაზრდობაზე იტქმის ეს.

ჯოტო გუგუჩიას მთავარი საფიქრალი ის იყო, როგორმე ადვილზე დაემარებინა მარჩენალ მიწაზე გულაყრილი ხალხი.

აშკარად გრძობდა თავმჯდომარე, მორღვეულ კალაპოტში წყალს მარტო ვერანაირად ველარ შეაკავებდა. ხალხი უნდა ამოდგომოდა მხარში და ისე წაეყვანა საერთო საქმე, კაცს სოფლიდან გაქცევაზე აღარ ეფიქრა.

— გლუხეცაც თავისი ნაოფლარის ნახევარი თუ მაინც არ მიეცი, ველარც მოახედებ შენკენ, განზე გაგიდგება, — ფიქრობდა ჯოტო.

თანაც საკუთარ ფეხზე უნდა იდგე და „სხვისი“ იმედით არ აღაშენებ-ათენებდე.

— ჩაი ჩაია, მაგრამ მეცხოველეობამ რაღა დააშავა. ხომ ორივე დარგი საქირთა და აუცილებელი?

ცხოვრებას თავისი ანგარიში აქვს და, უბედურება ისაა, ზოგჯერ ეს „ანგარიში“ რომ ვერევა ხოლმე.

და თავმჯდომარემ პირდაპირ ამ ანგარიშიანობით დაიწყო თავისი საქმე.

თავი მოუყარა ხალხს. ნაფიქრალ-ნაზრევი გაანდო მიკიბულ-მოკიბულად კი არა, აშკარად, გულლიად.

და კალაპოტიდან გადმოსული წყალი სხვა ღარზე წავიდა.

მდინარე ჭურჩას მიდამოებში დღემდე გამოუყენებელი სათიბი ადგილები გამოიძებნა. თივა გამოიტანეს და ძნებად დადგეს. სასილოსე ორმოები გახვავრიელდა. პირუტყვი ფერ-ხორცზე მოვიდა.

გულისყურით მიჰყენენ საქმეს მეცხოველეები. მარტო ლუთი შედანიას საიჯარო ბრიგადამ ასობით ტონა ყუათიანი სილოსი და სენაჟი ჩადო, სოია, სიმინდი, ძირხვენები მოიწია.

— დაპირებებითა და ცარიელი ხელებით არაფერი გამოვა — იცოდა ეს თავმჯდომარემ და ცოტა სხვანაირად ფიქრობდა ბევრ რამეზე:

— გლუხეცაცმა უნდა იცხოვროს თავისი შემოსავლით. იცოდეს, ამ ყანას რომ გამოთონის, ნაშრომს პატიოსნად აუნაზღაურებენ. მაგრამ თონხა რაღა დროსია. თონხითა და ბარ-ნიჩბით შორს ვერ წახვალ — დღევანდელი დღე სხვა „რაღაცას“ მოითხოვს და ეს სხვა „რაღაცა“ მექანზაციის დონის ამაღლებაა.

მატერიალური დაინტერესების პრინციპი და მექანზაცია დაედო საფუძვლად კახთელთა მთელ საქმიანობას.

ამის მაგალითად მოვიყვან ომიკო ბაკრაძის ოჯახს.

ბაკრაძის ოჯახმა იჯარით აიღო სამი ჰექტარი მიწა. დათესა სიმინდი და მოიწია ოცდაათობმეტი ტონა მარცვალი. აქედან თერთმეტი ტონა სიმინდი სახლში წაიღო.

ცოტა ერთი ოჯახის პირობაზე? ანდა, ბევრ რამეზე არ გვიხსნის თვალს ლუთი შედანიას ათკაციანი ბრიგადის მაგალითი? აქ ხომ თითოეული მათგანის საშუალო თვიურმა ფულადმა გამომუშავებამ სამას მანეთს გადააჭარბა. თანაც ნატურით თითოს ცალკე ოთხი ტონა სიმინდი ერგო.

ჩაის პლანტაციებსაც ახალი თვალთ შეხედეს.

დაფიქრდა თავმჯდომარე:

— სულ ჩაის ხარისხზე რომ ვლაპარაკობ და ყველა ცოდვას ჩვენ ვიწვრთ, ქვეყანა დაიქცეოდა, კოლმეურნეობაში ერთი მიკროფაბრიკა თვითონვე აგვეშენებინაო? ჩვენი ხელით მოკრეფილ ფოთოლს ჩვენვე გადავამუშავებდით, მზა პროდუქციასაც დავაფასობდით და მის ვარგისიანობაზე პასუხისმგებელიც ვიქნებოდითო.

ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი, როგორც ამბობენ, ხელისაქნევით შეხვედრია ამ სასიკეთო საქმეს. თუმცა რესპუბლიკაში ასეთი ტიპის პირველი ფაბრიკა მაინც აშენდა... და ხარისხიანი ქართული ჩაი კახათის მარკით მომხმარებელს ეგზავნება.

ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფის შემწვობით, საგრძნობლად გაუმჯობესდა ჩაის ხარისხი. თანაც კოლმეურნეობამ დამატებით მიიღო ათეული ათასობით მანეთი მოგება.

მოგებაზე და ანგარიშიანობაზე გამახსენდა.

როცა ჯოტო გუგუჩია ჩაუდგა სათავეში, კოლმეურნეობას სახელმწიფოს დიდი დებიტორული დავალიანებები ჰქონდა. მუყაითობისა და ვარჯის შედეგად, მოკლე დროში პირწმინდად გაისტუმრეს სახელმწიფოს ყველა ვალი.

მას შემდეგ აქ სუფთა ბალანსით იწყება ყოველი სამეურნეო წელი.

და აი მომავალი წლიდან, უკვე კარზე რომაა მომდგარი, კოლმეურნეობა სამეურნეო ანგარიშზე გადადის. სამ მილიონამდე მანეთიც მარავად ინახება მის საერთო სალაროში.

ხელად, რა ხდება? რამდენი რამე ყოფილა, თურმე, დამოკიდებული ხელმძღვანელზე. მართალია, კოლექტივის თანადგომის გარეშე, თავკაცი ვერანაირ სიკეთეს ვერ მოაბამს თავს, მაგრამ გონივრულ საქმეს რომ მოთავეც გონიერი სჭირდება, ესეც ხომ ჭეშმარიტებაა.

აგერ ახლანან „კომუნისტში“ წავიკითხე. „ძიების თორმეტი წელი“ ჰქვია წერილს. კახთელებსა და მათ თავკაცზე დაწერილი.

წავიკითხე და გამეხარდა. გამახარა იმან, რომ „კომუნისტის“ სპეციალურ კორესპონდენტებს ე. ჩაჩიბაიასა და ფ. კრიმსკის ის სასიკეთო სიახლეები დაუნახავთ ამ სოფელში, მეც რომ დავინახე. მიგრაციაზე მოგახსენებთ, სენზე, ასე გადამდებდა რომ მოედო ჩვენს სოფლებს.

კახათში ახლა მიგრაციაზე ლაპარაკიც აღარ შეიძლება. ის კი არადა, ცდუნებას

(დასასრული მე-8 გვერდზე)

№ 12 (612), დეკემბერი, 1987

ურნალი გამოდის 1928 წლიდან
სოციალ-დემოკრატიული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიბერალური-სამხატვრო ჟურნალი

ნომერი ში:

- ვასილ გვებაძე. თავმჯდომარე.
- თამაზ ანთაძე. ხიზლი კაცური ღირსეზისა.
- ჰრისტოფორე გოგიჩაშვილი. ჰემომალვანელები ბარდაქმნის გზაზე.
- გიორგი ჯაბახიშვილი. საგვარეულო მემკვიდრეობა.
- ელგუჯა მემკვიდრეობილი, მიხეილ ჯიბუტი. თანამედროვე ეკონომიკური აზროვნება.
- ნინო ჩხიკავიშვილი. ლეჟენიაზე.
- გალატინონ ტაბიძე. ჰემათა ჰემა ნიკორფინდას.
- რემ დავითოვი. ძიება და აღმოჩენა.
- გივი ჯონხაძე. საუბარი ბიკარსტრიტზე.
- ელგარ დავლიანიძე. თვალსაჩინო ქართველი ხელოვანი.
- გაბრიელ ბარჯაძე. გამარჯვება.
- მარგარეტ იურსენარი. მარკოს ლიმილი.
- დავით გუგუჩაშვილი. მე ქართველი ებრაელი ვარ.
- წაუპითხეთ პატარაბს.

სამხატვროლოს კვ. ცკ-ის გამოცემლობა


© „დროშა“, 1987 წ.


მთავარი რედაქტორი

ოთარ ჭინჭაძე

სარედაქციო კოლეგია:

- გულნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ ბერიშვილი, ვასილ გვებაძე, ნათელა გიორგოზიანი, ოთარ დემეტრაშვილი, სერგო დუჩიშვილი, ვახტანგ მსხვერჯია, ჯემალ მხარშიანი, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღაძე, ნუგზარ ფოფხაძე, გიორგი ჩაჩიკვიანი, შაჰ ჯაფარიძე.






თამაზ ანთაძე

სწი. დიდებული სარწყავი სისტემის გვირაბები ააშენეს სდას-
ლოში, ხაშურში, მეჯვრისხეცსა და ბერშუეთში. ახლა სტრუქტურული
ბელი სახლები... ჩამოთვლა გაჭირდება. ისე კი, ამ სტრუქტურული
ავტორს ძნელად დაავიწყდება მეჯვრისხეცის მეჯვრისხეცის
ფაბრიკის კომპლექსის სრულყოფაზე რაზმის მშრომელთა გმი-
რული თავდადება.

გაზეთ „მეტრომშენებელში“ ნახატით ვიხუმრე:
„როდის აშენდება ბერშუეთის გვირაბი?“ — კითხულობს
ერთ-ერთი გვირაბგამყვანი. „ორ-სამ წელიწადში... წყალი არ გა-
უვა“, — უპასუხებს მეორე.

— აი, თუ არ „გაუვა“, — განაწყენებულ გივის თვითონვე მო-
აქვს ჩემთან კონკრეტით წერილი. მხატვარმა უჩა ნიკოლაიშვილ-
მა ამ გვირაბის დროულად დამთავრებას დიდებული შარჟი —
„გვირაბს წყალი გაუვიდა“ — მიუძღვნა.

ამას გარდა მრავალი ობიექტი ბარდებოდა დროულად და
მაღალხარისხოვნად, მხოლოდ „ფრიადი“ შეფასებით. ამ რაზმის
უფროსი, დაუფიწყარი ვაიოზ ჯაყელი ყველა ჩვენგანის კარგი
მეგობარი იყო. დახვეწილი ინტელიგენტი, ღრმად ერუდირებუ-
ლი ინჟინერი ადამიანური სიფაქიზით, სიღინჯით, ზოგჯერ სი-
ფიცხითაც განირჩეოდა. გივი ხშირად მიაშობდა თავისი უფრო-
სის კეთილშობილებასზე, შრომისმოყვარეობასზე და ამგვარი კე-



ოხუმში დილით ჩავედით. თბილგვირაბმშენის № 9
საგვირაბო რაზმის მძღოლი ვაგზალზე დაგვხვდა და,
ისე რომ კანტორაში არც შეგვივლია, ახალი ათონი-
საკენ გავწიეთ.

გივი ციმინტია ლელავდა. მისი ვარაუდით, კარს-
ტული მღვიმეების სანახავად მიღეთის ხალხი მოვიდოდა. ყოველ
შემთხვევაში, უთუოდ შეეცდებოდნენ, სხვებზე ადრე შეეღწიათ
უზარმაზარ ზღაპრულ დარბაზებში.

გივი მღელვარე და პათეტიკური ბუნებისაა. თუ რაიმე განსა-
კუთრებულ წარმატებას მიაღწევს, გახალისდება, ანეკდოტად,
ლექსად, სიმღერად გადაიქცევა. მეგობრობას, ძმობას გთავა-
ზობთ. გეგმის შესრულება შეფერხდა? მშვიდობით, კარგო გან-
წყობილებაც.

ვჩქარობდით. მხოლოდ ერთი, უკანასკნელი აფეთქება და...
მიწისქვეშა სამყარო გულს გავვიხსნიდა, საუკუნეთა განმავლო-
ბაში დაფარულ საიდუმლოს გავკვირვავდებოდა. ამ უკანასკნელ
აფეთქებას, როგორც ჩანს, შახტის მშრომელები უჩვენოდ არ
აპირებდნენ და აი, მივედით კიდეც.

სპექტანსაცმელი გადავიცვიტ. ფოტოაპარატითა და განათების
ხელსაწყოთი აღჭურვილებმა სანგრევს მივაშურეთ. მალე აფეთ-
ქების ხმა გაისმა. მტერის კორიანტელმა დაფარა გვირაბი. მერე
ყველაფერი დაშლამდინდა. თაღის ერთი კუთხიდან ზღაპრული
სამყაროს ნაწილი გამოჩნდა. პირდაპირი გზით კარსტულ მღვიმე-
ში შეღწევა გაძნელდა, ამიტომ უზარმაზარი ლოდის ქვეშ გავმ-
ვევრით. ხოხვით გავიარეთ ორი თუ სამი მეტრი... თვალწინ დღემი-
ლის უკიდევანო სამყარო გადაიშალა. დროდადრო სამარისებურ
სიჩუმეს გუმბათოვანი თალიდან ჩამოვარდნილი წყლის წვეთების
ხმა არღვევდა, ექოს გამოსცემდა.

გვირაბგამყვანებმა მღვიმის კედელთან სახელდახელო განათე-
ბა მოაწყვეს. სივრცემ და უკუნეთმა მთლიანად შთანთქა საკმაოდ
მძლავრი პროექტორების სხივები. ჩვენგან ათი-თხუთმეტი მეტრ-
რის მოშორებით ლურჯი, გამჭვირვალე ტბა ლივლივდა. რამ-
დენიმე ნაბიჯი ფრთხილად გადავდგი. რაც უფრო მივიწვედით
წინ, ღრმად ვეფლობოდით თიხაში. ერთ ადგილზე შევჩერდით,
ტბას დავაკვირდით. ფოტოაპარატი გვაჩხაკუნე. მყის განათდა
საგვირაბო რაზმის მთავარი მარქშიედერის ერმალოზ მამულიას,
მთავარი ეკონომისტის მურმან ბუაძის, გივი ციმინტიასა და სხვა-
თა სახეები. ფირი კიდევ ერთი კადრით გადავწიე, სასხლეტს თი-
თი დავაჭირე და... თქვენიც არ მომიკვდეთ, აღდა განათდა. რო-
გორც შემდეგ შევიტყვე, თურმე მღვიმე ნოტიო ჰაერით ყოფი-
ლა გაჯერებული და აკუმულატორს სინესტემ ძალა დააკარგვინა.

ბედად ეს ერთი სამახსოვრო კადრი მაინც გადავიღე.
ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. განსაკუთრებით გივი
ზეიმობდა, ყველაზე ბედნიერი და გალაღებული ის იყო.

თბილგვირაბმშენის № 9 საგვირაბო რაზმი, სადაც გივი ციმინ-
ტია თერთმეტი წლის განმავლობაში მთავარ ინჟინრად მუშაობ-
და, მოწინავეობას არ უთმობდა არავის. რესპუბლიკის სახალხო
მეურნეობის მრავალმნიშვნელოვან ობიექტს აგებდნენ. ეს ვახლ-
დათ საავტომობილო გვირაბები როკსა და რიკოთში, აგრეთვე
ხიდები, გალერეები ბზიფი-რიწის მიდამოებში. აგებდნენ რვა
კილომეტრი სიგრძის ყვარლის მარანს, მონაწილეობდნენ თბილი-
სის მეტროპოლიტენის პირველი და მესამე რივის მშენებლო-
ბაში, ზესტაფონ-შორაპნის რკინიგზის გაყვანაზე იყვნენ დასაქ-
მებულნი. არა ერთი მიწისქვეშა გასასვლელი სრულყვის თბილი-

სიბჭლი პაცსური ღირსებობსა

თილი ზემოქმედებით, მართალი ვითხრათ, ამ ადამიანთან შეხვე-
დრა ყოველთვის მახარებდა.

ერთხელ საახალწლო გაზეთში გივი ციმინტია და ვაიოზ ჯაყე-
ლი ერთხუთთან გავაბაასე. ორივე კავახარე. დარწმუნებული
ვარ ეს სტრიქონები ახლაც ბევრ ნაცნობს ლიმილს მოჰგვრის და
ამებეს:


გივი ციმინტია:

გამოღმით მე ვარ, გაღმით შენ,
ჩემი ვაიოზ ჯაყელი,
ყაცი, რა კაცი, ვაჟყაცი,
ბევრი სიძნელის მხახველი.
ბედმა სიშორე გვარგუნა,
დავდივართ ნატერის თილისმით
და მეტრომ დაახლოვა
აფხაზეთი და თბილისი.

ვაიოზ ჯაყელი:

რა ვუყოთ, ძმაო გივიკო,
თუ ბედმა ერთხუთს ვაგვყარა,
შენ თბილის-ქალაქს მიგჯაჭვა,
გმირი პრომეთეს მაგვარად.

ურთიერთგაგებით, კოლექტივის წევრთა ღვაწლის დაფასე-
ბით საგვირაბო რაზმის უფროსი და მთავარი ინჟინერი შეუძლე-
ბელს აღწევდნენ. რაც მთავარია, კოლექტივი დარაზმეს. ზამთარ-
ზაფხულ უტევდნენ კლდოვან ქანებს, თუშეთისაკენ საავტომო-
ბილო გზა გაჰყავდათ. ზოგჯერ ვერტმფრენებით გადაჰქონდათ
საშენი მასალა, მექანიზმები. მშენებლობის უფროსი ავთანდილ
გალდავაძე ყველა მოკეთის გულის გასახარად შრომობდა. დევი-
ვით კაცს ბავშვური ხასიათი ჰქონდა. სამუშაოდან თავისუფალ
დროს გლეხებთან ატარებდა, ბევრ მათგანს ეხმარებოდა, ამხნე-
ვებდა. ცხოვრებაზე ღრმად დაკვირვებულმა მრავალი საინტერე-
სო ნოველა და მოთხრობა გამოაქვეყნა. ყველა ეს მასალა დახ-
ვეწა, შეკრება და წიგნებად გამოცა.



...კარსტულ მღვიმეებში სუფთა ჰაერმა მოგვაშივა. გარეთ გამოვედით თუ არა, გემრიელად ვისაძლიეთ. იმის მიუხედავად, რომ თევზის გუნებაზე არ განლდით, იმდენად მოგვეწონა, სხვას აღარაფერს გავკარებდით.

სალამოს ზღვის პირას გავისეირნეთ. მშვიდი სალამო იყო. გაიოზ ჩაყელმა გივის მშენებლობის ირგვლივ გაუბა საუბარი. დიდხანს მსჯელობდნენ, ერთხანს დაობდნენ კიდევ, დაავიწყდათ ჩემი იქ არსებობა. ბოლოს ისევ მე ვიყოჩაღე და საუბარში ჩავურთე: „შავი ზღვა და თეთრი ღამეები“, კიდევ რა არის უკეთესი ამქვეყნად?

გაიოზს ნათქვამი მოეწონა.

ყველამ ჩვენი ვთქვით და მოვიგონეთ. გივი მამის ტრაგიკულ ბედზე, დედის კაიქალობაზე ყვებოდა. პატივცემულ ნინოს ორჯერ შევხვდი და ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა როგორც დიდად განათლებულმა, თავაზიანმა ადამიანმა. ძველი გიმნაზიელი, ლენინისა და წითელი დროშის ორდენების კავალერი,

ლე ინჟინერი“ ვუწოდე. ამან დიდად გაახალისა ჩემი მეგობარი და მადლობის ნიშნად წერილი მომწერა, რომელიც ასე იწყებოდა: „ბრწყინვალე კორესპონდენტს, ბრწყინვალე ინჟინერსაგან“.

მართლაც, სხვა რა შეიძლება დაერქვას რიკოტის „გინაზი“ მუშაობის მღელვარე დღეებს? ამ დიდებული შემართების მოწმე თვითონ გახლავართ. გივი დღენიადავ იქ იყო — საქმით გართული, მოფუსფუსე. მე თქვენ ვეტყვით, ნაკოს ვერ აღმოაჩენს. თვალის ერთი გადავლებით ატყობს, თუ რა მოითხოვს შესწორება-გადახალისებას. ჟურნალისტებთან კონტაქტს არ გაურბის. მერე რა მაღალი ინჟინრული აზროვნებით, თანამიმდევრობით, რთული ტერმინებით იცის მსჯელობა. მოდით და ნუ იტყვით — „ბრწყინვალეაო“.

— 1982 წელს რიკოტის გვირაბი ჩავაბარეთ, მწერდა იგი, — იქ თითქმის ფუნქციონირებულად ვიყავი მიხეილ დათებოვთან ერთად. გაიოზი ავად იყო. უაღრესად ცუდი გეოლოგიური პირობების მიუხედავად დროზე ჩავაბარეთ რიკოტის გვირაბი. როგორც



ახლა 84 წლისაა, ზუგდიდის ერთ-ერთ სკოლაში რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის. გივის დებმა თალიკომ და ლუიზამაც პედაგოგიურ მოღვაწეობას მოჰკიდეს ხელი.

იმ სალამოს შევიტყვე, რომ გივის ძეუღლე ვერა თედორეს ასული პროხოროვა-ციმინტია თურმე ლენინგრადის ბლოკადის მონაწილე ყოფილა, მთავრობის მაღალი ჯილდოებიც დაუმსახურებია. საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი თბილისის № 64 საშუალო სკოლაში ასწავლის. მათი ვაჟი კირილე, უმცროსი მეცნიერი თანამშრომელია ფიზიოლოგიის ინსტიტუტში. მათი ოჯახი პატარა მაკათი ხარობს.

— დაგიფასდა ამაგი, ძმაო, დაგიფასდა, — ხალისიანად ამბობდა გაიოზ ჩაყელი.

გივი ციმინტია აგერ ეს ორმოცი წელია თბილგვირაბმშენში მუშაობს. მისი უშუალო თავკაცობით ძალიან ბევრი კარგი საქმე გაკეთდა. ინჟინრული მოღვაწეობა 1948 წელს დაიწყო ახალი ათონის სარკინიგზო გვირაბის მშენებლობაზე, 1959 წელს თბილისში გადმოიყვანეს — მეტროპოლიტენის სადგურ „რუსთაველს“, „დელისს“, „წერეთლის გამზირს“ აგებდა. 1972 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „ნაშხეფი“ ბეტონისაგან აგებული გვირაბების სამაგრების ინჟინრული ანგარიში“. 1977 წელს ათონის ივერიის კარსტული მღვიმეების კეთილმოწყობის საქმეში მიღწეული წარმატებისათვის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა მიანიჭეს, შრომის წითელი დროშის ორდენით მეგრადი დაუმშვენეს. 1979 წელს თბილგვირაბმშენის მთავარი ინჟინერია. ოთხი წლის განმავლობაში № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებელს განაგებს.

მახსოვს, ერთხელ მისი მუშაობით აღფრთოვანებულმა, ქება შევასხი. ეპითეტები არ დავიშურე — „გენიალური“, „ბრწყინვა-

შენ იცი, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მთელი ძალებით დაცხნეთ როკის 3700 მეტრი სიგრძის საავტომობილო გვირაბს, რომელიც ზღვის დონიდან 2100 მეტრზეა.

1986 წელს ეს რთული ნაგებობა სახელმწიფო კომისიის ჩავაბარეთ, თუმცა მის მერე ფეხი ვერ დავადგიეთ იმ არე-მარეს დიდ-თოვლობისა და ზვავსამშროების გამო. ვჩქარობდით და ბევრი რამ დაუხვეწავი დავკრჩა.

ახლა ჩემი გზა ხელვაჩაურის მიწისქვეშა საცაყის სამუშაოების დამთავრებისაკენ არის მიმართული. ხელვაჩაურში ჩემი ძველი და საყვარელი № 9 საგვირაბო რაზმის კოლექტივია, რომელსაც ახლა ინჟინერი მიხეილ დათებოვი ხელმძღვანელობს — 1600 მეტრ სიგრძეზე აგებს მიწისქვეშა საცაყს მდინარე სარფასთან ახლოს. მთელი კომპლექსი 12 მილიონი მანეთი ღირს და წლეულს უნდა შევიდეს მწყობრში. ძალიან ძნელი და რთული ნაგებობაა, ჩემო თამაზ. ვეცდებით, არ შევრცხვით მე და მიხეილ დათებოვი და „მოგვედით“ იგი. იქ უბანს ხელმძღვანელობს ინჟინერი ანზორ აბრამიძე...

მახვილი თვალის ადამიანი ადვილად შეამჩნევს წერილში ნახსენებ „საყვედურს“. ამ სიტყვის მიღმა სულიერი „შფოთვაა ალბეჭდილი, მაგრამ ხელოვანისათვის მთავარია არა სრულქმნილი ნამუშევრით დატკობა, არამედ თვით შემოქმედების პროცესი. ცხოვრების გზაზე ბევრია წინააღმდეგობა და ზოგჯერ გადაჭარბებული სიმკაცრე, უდიერად ნათქვამი სიტყვები — „რატომ კარგი ავიგია?“

ხალხი ხედავს ავსაც და კარგსაც. ჭირთა თმენაც ვაჟკაცთა საქმეა და წუხილის ატანაც.

დრო ყველაზე სერიოზული, მკაცრი მსაჯულია.

ქვემოლვანელი ბარდაქმნის გზაზე



მეოთხედი საუკუნეა ქვემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა არსებობს, მაგრამ უკანასკნელი სამი წელი გამოჩნულია.

— მეურნეობის აქილევსის ქუსლი საკვები ბაზა იყო, — გვითხრა ქვემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ნოშრევან ბექურიძემ. — საქმე ის არის, რომ მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობაში საკმაოდ ფართოდ გახლდათ წარმოდგენილი მევენახეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა. მათი საპექტარო მოსავლიანობა უმეტეს ფართობზე დაბალი იყო, და, რომ იტყვიან, უკან ექაჩებოდა მეურნეობის ეკონომიკას. დავადექით დაბალმოსავლიანი ნიადაგების გამოთავისუფლების გზას და ისინი მთლიანად მეცხოველეობის სამსახურში ჩავაყენეთ, დავუთმეთ საკვებ კულტურებს. განსაკუთრებული ყურადღება ვაღვიტანეთ მრავალწლიანი უხვმოსავლიანი ბალახების თესვაზე და შედეგმაც არ დააყოვნა. მეურნეობა უკვე საკუთარი წარმოების საკვებზეა. ამასთან ხელი მოკვიდეთ ბუნებრივი სათიბ-საძოვრების გაკულტურებას. სასუქების შეტანამ და გვემაზომიერმა ექსპლოატაციამ მნიშვნელოვნად გაზარდა მათი გამოსავლიანობა.

ქვემოლვანელებმა მეცხვარეობაში გარდაქმნა იმით დაიწყეს, რომ პროდუქციის წარმოების გადიდებას აღწევნ წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციით, ცხვრის ჯიშობრივი გაუმჯობესებითა და ფარის სტრუქტურაში ნერბების ხვედრითი წილის გადიდებით.

ამ რევიონის მეცხვარეობა ძირითადად მომთაბარე-საძოვრულ სისტემაზე და ისეთ ბუნებრივ საძოვრებზეა დამყარებული.

ლი. რომელთა გამოყენება ცხვრის გარეშე წარმოდგენილია, ხოლო სხვა სახეობის ცხოველებისათვის კი შეუძლებელი. რესპუბლიკის წამყვანი კულტურების ვაფართოების შედეგად საქმე იქამდე მივიდა, რომ ცხვარი საძოვრული საკვებით მთლიანად ვეღარ კმაყოფილდებოდა, განსაკუთრებით ზამთარში. საჭირო გახდა ფარების კვება (20-30 პროცენტით) უხეში, წვნიანი და კონცენტრირებული საკვებით.

ზაფხულში ქვემოლვანელთა ცხვარი დიდი კავკასიონის მასივებით სარგებლობს, ხოლო ზამთარში რესპუბლიკის შიგნით არსებული საძოვრებით. აქ ძირითადად მებორცველ-სამატყლე-მერძეული მიმართულების თუშური ჯიშის ცხვარი ჰყავთ, რომლის პოტენციური შესაძლებლობა ამოწურული როდია. დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ხელოვნური დათესვის მაღალ დონეზე ჩატარებას, რითაც გარანტირებულად იღებენ დიდი რაოდენობის მაღალპროდუქტიულ მოზარდს. ასევე მნიშვნელოვანია ბატკნის შენარჩუნებისა და გამოზრდისათვის ცხვრის ნერბისა და დოლის ვადების სწორად განსაზღვრა.

ცხვრის ხორცის, მატყლისა და რძის წარმოების რაოდენობრივი მაჩვენებლები დაფუძნებული იყო ძირითადად ბუნებრივი საკვები რესურსების უაღრესად ექსტენსიურ გამოყენებაზე. ადრე სახორცედ რეალიზებული ცხვრის წონა 27 კილოგრამსაც არ აღწევდა. ჯანდავი შეხორცევის ცხოველთა რაოდენობა 38 პროცენტს აღწევდა, ხოლო მაღალი შეხორცებისა — 18 პროცენტს. ამის მიზეზი ის იყო, რომ არ წარმოებდა ბატკნის ინტენსიური გამოზრდა-გასუქება მისი იმავე წელს სახორცედ რეალიზაციისათვის. სადღესოდ

მდგომარეობა მთლიანად შეიცვალა. შეიქმნა ცხვრის სასუქი მოედანი, სადაც ადგილზე მიაქვთ საკვები.

ჩვენთან ცხვრის ყველი პოპულარობით სარგებლობს და მის დამზადებას დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ არ იყო წესრიგი თუშური და კობის ყველის დამზადებაში. ზოგი ზრდიდა მის წარმოებას, ზოგი კი ამცირებდა. პირველ შემთხვევაში ცხვარი გადაჭარბებით იწველებოდა, რაც უარყოფითად მოქმედებდა ნერბების შეხორცებაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში ცხვარი არ იწველებოდა და უარს ვამბობდი ზაფხულის საძოვრებიდან მაღალხარისხიანი პროდუქტების მიღებაზე. ქვემოლვანელებმა აქაც წესრიგი დამყარეს. ახლა თითოეული ცხვრის ნორმალური წველისას თვეში 15 კილოგრამამდე რძეს იღებენ, რაც საკმარისია 2-3 კილოგრამი ყველის დასამზადებლად. წველას იწყებენ მოგებიდან ორი თვის შემდეგ და წყვეტენ ორი თვით ადრე ხელოვნურ დათესვამდე.

და რაკი სიტყვა ცხვარზე გავვიგრძელო, ზოგი რამ მეცხვარეზეც უნდა ითქვას, უკმარისობა ყველგან შეინიშნება. ადგილი აქვს სხვა დარგში გადასვლის შემთხვევებს, რაც იმას მიგვანიშნებს, რომ ჩვენში მომთაბარე მეცხვარეობა მძიმე პირობებში აყენებს მწყემსებს. არაა რეგლამენტირებული მათი შრომა. დახვეწას მოითხოვს ანაზღაურების საკითხი.

ქვემოლვანელებმა მძიმე მემკვიდრეობით დაიწყეს ოთხმოციანი წლები. მეოთხედი საუკუნის მანძილზე წარმატებაც ბევრი ნახეს და ჩავარდნაც. ერთ დროს სამაგალითო მეურნეობა, ჩამორჩენილთა შორის აღმოჩნდა და 1982 წელი ნახევარი მილიონი მანეთის ზარალით დაამთავ-



რა. ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. მეურნეობაში შექმნილი მდგომარეობა საგანგებო მსჯელობის საგანი გახდა.

გარდაქმნა საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებით დაიწყო. გეგმის შესრულება ყველასათვის ხელშეწყობილი კანონი გახდა და საქმეც მოიკეთა. ძნელი იყო ადამიანის ფსიქიკაში გარდატეხის შეტანა, მაგრამ ქვეყნის სასურსათო პროგრამა შორსგამიზნულ და მასშტაბურ აზროვნებას მოითხოვდა. 1984 წელი ქვემოალვანელებმა 1,1 მილიონი მანეთის მოგებით აღნიშნეს. მოხდა ისე, რომ წინა სამი წლის დავალიანება გადაფარეს და ხუთწლედ 360 ათასი მანეთის მოგებით დაამთავრეს.

ასეთ თვალსაჩინო წარმატებას გვერდს ვინ აუვლიდა და აი ქვემოალვანელები დაჯილდოვდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშით მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. დროშასთან ერთად მეურნეობას 12 ათასი მანეთი პრემია და მიკროავტობუსი „რაფი“ გადაეცა. ამას მოჰყვა რაიონის საბჭოთა მეურნეობებს შორის გაშლილ სოცშეჯიბრში გამარჯვების გარდამავალი წითელი დროშა.

შარშან საშვიდნოემბროდ ქვემოალვანელებმა წლიური გეგმის შესრულება უპატაკეს. მათ წარმატებით გაანადგურეს მარცვლეულის, ბოსტნეულისა და ბაღჩეულის წარმოების დავალებები, ხილისა და ყურძნის დამუშავების გეგმები, მთლიანად უზრუნველყვეს მეურნეობის პირუტყვი უხეში და წვნიანი საკვებით. ეს არ იყო იოლი საქმე. იგი მოითხოვდა თითოეული ბრიგადისა და რგოლის მუშაობის გარდაქმნას, ადამიანის ფაქტორის გააქტიურებას, მატერიალური სტიმულირების ეფექტური ფორმების გამომხატვას და რიგი სოციალური საკითხების მოგვარებას.

რენტაბელობამ მეურნეობაში 30 პროცენტს მიაღწია. შარშან უნდა ეწარმოებინათ 2,6 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ფაქტობრივად აწარმოეს 3,3 მილიონი მანეთისა. მოგებაში გეგმიანი 1,3 მილიონი მანეთის ნაცვლად 1,9 მილიონი მანეთი შეადგინა. მეურნეობის ყველა საწარმოო ქვედანაყოფი მესამე წელია სრულ სამეურნეო ანგარიშზე და თვითანაზღაურებაზეა გადაყვანილი. გასულ წელს ხელფასისა და პრემიის სახით გაცემული იქნა 1,2 მილიონი მანეთი. საშუალო თვიურმა გამომუშავებამ 162 მანეთს მიაღწია, მეცხვარეობაში — 300 მანეთს, მელორეობაში — 445 მანეთს. მატერიალური სტიმულირების ბერკეტი მოქმედებს და შრომითს კოლექტივებს განაწყოებს უკეთესი მაჩვენებლების მიღწევისათვის.

წარმატებები თავისით არ მოდის, მათ განაპირობებს გამარჯვებული ადამიანების ყოველდღიური თვალუღებელი შრომა. საქმე-ყნოდ გაითქვა სახელი სანაშენე მელორეობის № 1 უგანრიგო ბრიგადის ბრიგადირმა ნარგიზა ილურიძემ, რომელმაც გასული წლის შედეგებით საკავშირო სოცშეჯიბრში გაიმარჯვა. აგრომრეწვის საპატიო დიპლომი და 1800 მანეთი პრემია დაიმსახურა. მალა მაჩვენებლებს აღწევენ სასუქი მელორეობის ბრიგადები, რომ-

მელთაც სათავეში უდგანან ნაირა აბაიძე და ციცილა შაბალაძე. მეცხვარეობის 16 ბრიგადიდან დაწინაურდნენ ბასიკო რაინაულის, ვანტანგ გესლაიძის, გურამ ოთიურიძისა და შენგული გოგოიძის ბრიგადები. ისინი სანაშენე ყოველწლიურად 1500-მდე ცხვარს ყიდნან. მეძროხეობის ბრიგადებს შორის პირველი ადგილი მიიპოვა № 2 ბრიგადამ, რომელსაც ვალიკო ხუვაშვილი ხელმძღვანელობს. მეორე ადგილი მიეკუთვნა № 1 ბრიგადის (ბრიგადირი ჯიმშერ გოგოთიძე). გაუმჯობესებული ჯიშის პირუტყვის მწველავებს შორის პირველი-მეორე ადგილები დაიმსახურეს ომარ ქოჩიაშვილმა და ვალიკო ქელეხაშვილმა. მერძეული მიმართულების ბრიგადა გასული წლის მაჩვენებლებით სახაგრომრეწვისა და პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა.

ქვემო ალვანის სოფლის საბჭოში 1600 კომლია აღრიცხული. აქედან 400 კომლი მეურნეობის გარე სამუშაოებზეა დასაქმებული. მეურნეობის სამ სოფელს ყველაფერი არ არიან: ერთი დაწყებითი სკოლა და ორიც საშუალო, ოთხი საბავშვო ბაღი, ორი ფოსტა და ამდენივე აბანო, ორი კულტურის სახლი 120 და 300-ადგილიანები, ერთი კულტურის სასახლე 600-ადგილიანი დარბაზით, ცენტრალური ბიბლიოთეკა თავისი ექვსი ფილიალით, სასურსათო მაღაზია და ორი სასადილო, პურის საცხობი, ორსართულიანი უნივერსალი და ორი სამრეწველო მაღაზია. სამომავლო გეგმები მთლიანად შეცვლის სოფლის სოციალურ სახეს.

— მუშაობაში გარდატეხის შეტანა ადამიანებზე ზრუნვით დავიწყეთ, — გვეუბნება ნოშრევანი და თან უბის წიგნაკს ათვალაიერებს. — 1984 წლის მოსავლის აღების კამპანიისას მემცენარეობაში დასაქმებული ყველა მუშისა და მექანიზატორისათვის უფასო სადილი შემოვიდეთ. თითქოს უმნიშვნელო დეტალია, მაგრამ საქმეს ძალიან არგო. მწყემსებს პროდუქტები უფასოდ მიეცათ, ხოლო პარსვის დროს დღეში სამჯერადი კვება დაუზენი-

ნეთ. საბავშვო ბაღებისა და განხვრდლი-ვებული კლასის ბავშვებიც უფასო კვებაზე გადავიყვანეთ და იცით როგორი სიღრმისეული ძვრები მოჰყვა ამას ჩვენს ცხოვრებაში? მეურნეობა ერთი მთლიანი ცოცხალი ორგანიზმი. წინხედით თუ არ იარე, საქმე ჩაფივარდება. შარშან 500 ტონა ნამჯა შემოვიტანეთ სტავროპოლიდან. გვეთაკილებოდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო. გაუგონარმა გვალვამ შირაქში, კასრისწყალში სულ ვადატრუსა ყველაფერი. საკვების საქმე ჩაფარდა. მთელი შემოტანილი ნამჯა შევზიდეთ, რომ ცხვარს უზრუნველად გამოეჩამთრა.

დირექტორი ვატაცებით გვეყვება მეურნეობის ხვალისდელ დღეზე. საპირველ-მანისოდ დამთავრდა ორი სახლის მშენებლობა, თითოეული 12 ოთახით. ერთში ბინა დაიდო მუსიკალურმა სკოლამ და ახლავაზრდულმა კლუბმა სასტუმრო ბლოკით, ხოლო მეორეში — ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებმა. სოფელი დაამშვენა გამარჯვების პარკმა, სადაც მოეწყო შინამოსვლელოთა მემორიალი. ექსპლოატაციაში შევიდა სპორტული კომპლექსი ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთისა და ხელბურთის მოედნებით, აქვეა საჭიდაო-წლის ბოლომდე ქორეთიდან ახალი წყალსადენით შემოვა სასმელი წყალი, დამთავრდება მთლიანი გაზიფიკაცია. განზრახული აქვთ, განავითარონ საცხენოსნო ტურიზმი. მეურნეობას 230 თუშური ცხენი ჰყავს. ყოველწლიურად 20-მდე ცხენს ყიდნან და სწორედ რომ მომგებიან დარგად ესახებათ საცხენოსნო ტურიზმი ამ ზღაპრულ ხეობაში.

სოფელი ღონიერია, თუ კაცი ვინიერიო, ბრძნული ნათქვამია, ერთი შეხედვით თითქოს არაფერი შეცვლილა ამ სამიოდე წელში, მაგრამ დიდი ძვრები და გარდაქმნა მოხდა თვით მეურნეობის საქმიანობაში, რასაც თვისებრივად ახალი საბოლოო შედეგები მოჰყვება.

პრესტავორე გოგინაშვილი,
სამსახრომრეწვის პრესცენტრის ხელ-
მძღვანელი.



საგვარეულო მემკვიდრეობა

საოჯახო ქრონიკა

ზოგ ჩაის ვარდი, ზოგ კინოვარი,
ზოგ ოქრომკედით მონაქსოვარი,
სურათი რაზე, კარგზე მგლოვარი —
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

ბარათი, სისხლის ცრემლნატოვარი,
ბეჭედი, ძვირფას ალთა მთოვარი,
საყურე, ტკბილის ჩრდილის მთხოვარი —
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

თშა, როგორც განძი ძნელსაშოვარი,
წიგნი რამ, ომით მონაპოვარი,
საფერფლე, მამის დანატოვარი —
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი...

ძველი საოჯახო აღბომების სურნელებამ დააწე-
რინა უძველესად ეს სტრიქონები გალაკტიონს.

ძველი აღბომების სურნელებამ და პატივისცე-
მამ!

იმან, რაც იყო და მოგონებებში დარჩა. მშობ-
ლიური ადამიანების ხელშეწავლებამა წერილებმა,
ფოტოსურათებმა, აღბომებმა შემოინახეს იმ
დღეების სუსხიცა და სითბოც.

ინახვენ ოჯახები უკრებში ჩაკეტილ ყვითელ
ბარათებს, როგორც ძვირფას სახსოვრებს.

ინახვენ, უვლიან, ეფერებიან. ყოველივე ეს
გვიცოცხლებს წინაპართა სახელებს. თვალნათლივ
გვახედებს იმ დღეთა შუაგულში.

შვილმა თუ იცის, ვინ იყო მისი მამა, შვილი-
შვილმაც უნდა იცოდეს, ვინ იყო მისი ბაბუა, ბე-
ბია და კიდევ იქით და იქით.

უნდა იცოდეს ძირმა და მონაგარმა, როგორც
ილია ბრძანებდა, სად შეჩერდა მისი წინაპარი: რა
გააკეთა, რა ვერ მოახწრო, საიდან იწყება თვითონ.

და აი, ამაში ხელს შეგვიწყობს სწორედ იმ ოჯა-
ხების მაგალითი, გამორჩეული გულსისყურით რომ
შეუნახავთ მამა-პაპული საოჯახო აღბომები, ნივ-
თები, ბარათები. ინტერესმოკლებული არ იქნება,
ამოვრიბოთ და მკითხველს გავაცნოთ მათგან
ისეთები, რომელთაც რაიმე საზოგადოებრივ-კულ-
ტურული ღირებულება გააჩნიათ.

ელიზბარაშვილების ოჯახი, წარმოშობით გარეკახეთიდან, სო-
ფელ ყანდაურიდან არის. სოფელში ამ საგვარეულოს დღესაც
მღვდლიანთ ეძახიან. მათი უწინდელი გვარი ბერიძე ყოფილა.
მთაბრძოლის დროს ამ მომღერალ-მგალობელ ოჯახს შემწვობას
უწყებდა მეფე ერეკლე მეორე. მისი სამეფო გამოსაღები ყოფილა
მხოლოდ სიმღერა.

თელავში დამკვიდრებულ ელიზბარაშვილების ოჯახში ყველა
მღეროდა. აქედან ერთ-ერთი, მიხეილ პეტრეს ძე ელიზბარაშვი-
ლი დახელოვნებული მომღერალი იყო.

მიხეილ ელიზბარაშვილი დაიბადა 1875 წლის 23 მაისს სოფელ
ვეჯინში. შვიდი წლისა შეუყვანიათ ამავე სოფლის სკოლაში, სა-
დაც მასწავლებლად მუშაობდა ვაჟა-ფშაველას ძმა ბაჩანა რაზი-
კაშვილი. 1892 წელს დაუმთავრებია თელავის სასულიერო სას-
წავლებელი და შემდეგ სწავლა გაუგრძელებია თბილისის სასუ-
ლიერო სემინარიაში. ავტობიოგრაფიაში იგი წერს: „სწავლა
1 სექტემბერს დაიწყო, მაგრამ 1 დეკემბერს სემინარიაში მოწა-
ფეთა აჯანყება მოხდა. მესამე გაკვეთილის შემდეგ დავტოვეთ
საკლასო ოთახები, ჩავედი ხმაურიან ეზოში. ჩვენი ამორჩეული
სამი უფროსი კლასის მოწაფეთა სახით წარუდგინეთ სემინა-
რიის ხელმძღვანელობას მოთხოვნებიანი, რომელსაც, რასაკ-
ვირველია, ისინი ვერ შეგვისრულებდნენ და სწავლა სემინარიაში
შეწყვეტილი იქნა. შემდეგ ჩვენ დაგვირიგეს სამგზავრო ფული და
გამოგვისტუმრეს სახლებში“.

მეორე წელს სასწავლებლიდან გარიცხულნი ისევ მიიღეს და
მათ შორის მიხეილიც, რომელთანაც ერთად ოთხი წლის განმავ-
ლობაში სწავლობდა სოსო ჯულაშვილი. მათთან ერთად დაამთავ-
რა სასულიერო სემინარია კორნელი კეკელიძე.

1900 წელს მიხეილმა მუშაობა დაიწყო გალობა-სიმღერის მას-
წავლებლად თელავის სასულიერო სასწავლებელში, სადაც 1910
წლამდე იმუშავა. მან 1903 წელს „ივერიაში“ (№ 125) დაბეჭდა
საინტერესო წერილი სათაურით: „ცოტა რამ ქართული გალობის
შესახებ სასულიეროს სასწავლებელში“. ერთხანს მუშაობდა
მასწავლებლად თელავის წმინდა ნინოს სასწავლებელში. 1924
წლიდან კი მუშაობას იწყებს თელავის რაიალმასკომის საერთო
განყოფილების მდივანად, შემდეგ ხე-ტყის დამზადებაში, თელა-

ვის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში და ბოლოს თელავის სამას-
წავლებლო ინსტიტუტში.

მის სახელთან არის დაკავშირებული თელავის ტყიდან, ე. წ.
„ყრუხვევიდან“, სასმელი წყლის გამოყვანის ინიციატივა. კომი-
სიაში, რომელიც 1908 წელს შექმნილა, შედიოდნენ: მიხეილ
ელიზბარაშვილი, ლადო გოგიაშვილი, ინიჩერი იოსებ გიორგის
ძე ლომიძე, მიხეილ ამონაშვილი და მიხეილ არუთინოვი.

მიხეილ კალამი უცდია მწერლობაშიც. მისი მოთხრობა „კუ-
მეტობა“ დღესაც ინტერესით იკითხება (ლიტერატურული ფსევ-
დონიმი — მ. ბერიძე). განსაკუთრებულ გაწაფულობას ამჟღავ-
ნებდა კალიგრაფიაში. შემორჩენილია მის მიერ გადაწერილი
რამდენიმე წიგნი, რომლებიც სიყვარულითა და გემოვნებით არის
შესრულებული.


ფრიად მასშვრალი და მრავლის მომსწრე მიხეილ ელიზბარაშვი-
ლი გარდაიცვალა 1942 წელს. დაკრძალულია თელავში.

მის არქივში დაცულია საინტერესო ჩანაწერები, გამოჩენილი
ადამიანების „აზრთა კონა“, რომლებიც ამოკრებილია მე-19 სა-
უკუნის ჟურნალ-გაზეთებიდან. აქვეა მდიდარი ეპისტოლური მემ-
კვიდრეობა.

აკადემიკოს კორნელი კეკელიძის არქივში (ხელნაწერთა ინს-
ტიტუტი) დაცულია მიხეილთან გაგზავნილი 7 წერილი, რომლე-
ბიც დაწერილია 1900-1941 წლებში. მათში გადმოცემულია მრავალი
საზოგადოებრივი მნიშვნელობის ფაქტი.

საყურადღებოა, რომ კ. კეკელიძის შემორჩენილი მიმღწერიდან
მასთან გამოგზავნილი წერილები ყველაზე ადრინდელია და ეხე-
ბა სასულიერო სასწავლებლისა და კიევის სასულიერო აკადე-
მიაში სწავლის დროს.

მოვიტანთ მთლიანად კ. კეკელიძის მხოლოდ ერთ წერილს, რო-
მელიც 1900 წლის 20 სექტემბრით არის დათარიღებული. „ძვი-
რფასო და დაუვიწყარო ძმაო მიხაკო! პირველად ყოვლისა, მოგი-
კითხავ სიყვარულით და ვისურვებ შენთვის ყოველივე კეთილს.
იქნება, ბიჭო, დავაიწყდი კიდევ, მაგრამ ვფიქრობ ამ სტრიქო-
ნების კითხვის დროს მაინც მოგაგონდები და ამისათვის მსურს
ჩემი თავგადასავალი გიამბო. მე იენისის ბოლოს შემატყობინეს
სემინარიიდან კიევის აკადემიაში გაგზავნეთო. ეს ამბავი არ მე-
სიამოვნა იმიტომ, რომ, ხომ იცი შენ, სად მისწრაფოდა ჩემი
გული? ვარჩიე ანდრიევსკისათვის გამეცვალა აკადემია, მაგრამ
გავიგე, რომ მას უარი უთხრეს და არსად გაგზავნესო. ისევ შე-
ვუდექი მეცადინეობას. ეგზამენი უნდა დამეჭირა საგნებში... რად-
გან ერთ თვეში ყველა ამას ვერ მოვასწრებდი, მეც მხოლოდ
ორი საგანი გავიმეორე. წამოვედი რუსეთისაკენ (მარიამობის
თვეს ერთი კვირა თბილისში დავყავი და 12-ს კი აქ, კიევიში გავ-
ჩნდი). მოვედი აკადემიაში, ავხედე — ჩემს „კონსურენტებს“
და ვთქვი — მე ამათთან ვერას გავაწყობ-მეთქი, მაგრამ ჯარა
უტყლად დატრიალდა. დაიწყო ეგზამენები და შენი კორნელი ისე
მაგრადა შეხვდა, რომ ყველას ყურადღება მიიპყრო. საქმე იმაშია,
რომ ბედი არ გამიწყრა, ისეთი ადგილები მხედებოდა, რომლებიც
კარგად ვიცოდი. ყველაფერში 5 მივიღე, გარდა საღმრთო წერი-
ლისა, ამ საგანში ბიბლიის სლავიანურად კითხულობენ, რადგან
რუსეთის სემინარიებში ყველგან სლავიანურად ვაღიან. მე კი
რუსულად ვუპასუხე. ეს პროფესორს არ დაუჭდა და ამიტომ,
თუმცა რუსული ყველაფერი რაც მითხრეს, წარჩინებულად ვუთ-
ხარი, მაგრამ 4-ზე მეტი არ დამიწერეს. ეს იყო მიზეზი, რომ მი-
მიღეს მესამედ, თორემ, თურმე ისე იყო საქმე როგორც ვავიგე,
რომ უფრო წინ ვურტყამდი, მაგრამ ჩვენი სემინარიისათვის
ესეც დიდა. აქ, აკადემიაში, პროფესორები გაკვირვებულნი
არიან, — ეს როგორ ქნა ქართველმაო... ამხანაგები შურით მი-
ყურებდნენ — ქართველმა როგორ გვაჯობაო. მხოლოდ ის ორი,
რომლებიც ჩემზე წინ არიან, ისინი მიწვევენ ამხანაგობას. მაგრამ
არაფერია, თუ არ მოგიკვდი, თავს არავის დავაჩაგვრინებ. აკა-
დემიაც და ქალაქიც ძლიერ მომწონს. ესლა სწორედ მადლობე-
ლი ვარბედის, რომ აქ გამოგზავნეს და არა სხვაგან. ექიმმა მი-
თხრა, რომ პეტერბურგში რომ წასულიყავი ჰაერს ვერ აიტან-
დიო. ვცხოვრობ მეტად სანატრელად, მაგრამ სამშობლო მაინც
არ მცილდება გულიდან. ნუთუ ვეღირსო, ბიჭო, ოდესმე ჩემი



სამოთხის მსგავსი საქართველო და მასში საყვარელი ძმა-მხანაგები ვიხილო? არ მჯერა! ვახსოვს, მიხალ, კურდღელი... აქაც არის ერთი იმის მსგავსი ერთ ქართველს ბაბუნძის (კახელია ღვინის სარდაფი აქვს და მუდამ საღამოობით ვიკრიფებით იქ ქართველი სტუდენტები: უნივერსიტეტის (40 კაცი) და აკადემიის (4 კაცი). ხან ვთამაშობთ, ხან ვსვამთ და ხან საქართველოს გაცოცხლებზე ვსაუბრობთ. სხვა, ბიჭო, უკვე შევიდოს სტუდენტურად, როგორი სტუდენტი ვარ იცი? რომ არ გენახოს მსგავსი. ამ ცოტახანში სურათს გადავიღებ და, მარკებს თუ გამოვიგზავნი, გამოვიგზავნი...

შენი ძმა, ამხანაგი და მეგობარი კორნელი კეკელიძე. მიხელო ელიზბარაშვილის საოჯახო არქივში დატულია ოთხი ფოტოსურათი, რომლებშიც ცალკე ან ჯგუფთან ერთად არის გადაღებული კ. კეკელიძე.

კ. კეკელიძე თბილისის სემინარიაში სწავლის დროს სასწავლებელთან არსებულ ქართულ გუნდში ირიცხებოდა. შემორჩენილია ამ დროინდელი ერთი სურათი, რომელზედაც აღბეჭდილია კ. კეკელიძესთან ერთად სოსო ჯულაშვილიც.

აკად. კ. კეკელიძე მიხელო ელიზბარაშვილთან თითქმის თავის ყველა ნაშრომს, წიგნს, ავტოგრაფით აგზავნიდა. დიდი მეცნიერის მიერ მიხელო ელიზბარაშვილთან გამოგზავნილი წერილები, ფოტოსურათები საუკეთესო საბუთია ამ ორი ადამიანის ურთიერთმეგობრობისა და მათი ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლისათვის.

1903 წელს მ. ელიზბარაშვილს წამოუწყია ერთგულ მეორის სასახლის შესასვლელი კოშკების შეკეთება, მაგრამ მისი ვანზორციელმა მხოლოდ 1916 წელს მომხდარა. ბატონის ციხის აღმოსავლეთის ჭიშკრის თავზე გაუხსნათ ბიბლიოთეკა. აღნიშნული ძეგლის შეკეთების შესახებ საოჯახო არქივში დაცულია ასეთი ჩანაწერი: „საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე თელავს სამკითხველოსათვის შენობა არა ჰქონდა. ქირითა ჰქონდა აღებული. ამ გარემოების გამო ვანვიზრახე აღნიშნული კოშკის შეკეთება საერთო ძალით და შიგ მოთავსება სამკითხველოსი სახელწოდებით ირაკლის სამკითხველო“. ვისაც კი სურვილი გავუზიარე, ყველა დამთანხმდა, რისთვისაც შევადგინე მიმართვა მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების სახელზე, ურომლისოდაც სიძველეების შეკეთება და სხვა არ შეიძლებოდა, მოვაწერიე ხელი სკოლების თითქმის ყველა მასწავლებელთ და სხვა მოქალაქეთ, მაგრამ სხვადასხვა გარემოებათა მიზეზით ეს განცხადება დარჩა უშედეგოდ. ეს მოხდა 1903 წელს.

მე მინდა არ შემეძლო დამწვიდებთ შეყურებინა ამისთანა ძვირფასი ძეგლისათვის, რომელიც ზიანს განიცდიდა. მალა პირი ავტორებისა კედლებზე აქა-იქ ჩამონგრეულიყო, ხოლო შიგ კოშკში წყალი ჩადიოდა, ვადავწყვიტე როგორმე განმეხორციელებინა ჩემი სურვილი კოშკის შესახებ. შესაფერისი დრო ჩემი სურვილის განსახორციელებლად ვიშოვე 1916 წლის გაზაფხულზე, როდესაც წმინდა ნინოს საქველმოქმედო საზოგადოების ვანზორციელების საქმეთა მმართველი პ. სოვანი (თელავის სასწავლებლის ყოფილი უფროსი) დასასვენებლად წავიდა სხვაგან და მისი მოვალეობა დამევალა მე. ვმსახურობდი მე თელავის ქალთა წმინდა ნინოს სასწავლებელში, რომლის გამგებლობაშიც იყო ეს კოშკი. ჩემი მოსაზრება კოშკის შეკეთების შესახებ გავუზიარე საზოგადოების თავმჯდომარეს ევგენია პავლეს ასულ ჭავჭავაძისას და სასწავლებლის უფროს ქალს ალექსანდრა ფოკრიტს, რომელთაგანაც მივიღე სრული თანხმობა. მხოლოდ გამაფრთხილეს, რომ ბევრი თანხა არ დამეხარჯა საზოგადოების ფულიდან. შეკეთება კოშკის კედლებისა უნდა მომხდარიყო ისე, რომ არ შეცვლილიყო გარეგანი სახე, არ ყოფილიყო განსხვავება ძველ ნაგებობასთან. ამისათვის კი საჭირო იყო შოვნა ძველი ქართული აგურისა, რითაც აშენებული იყო კოშკი. თელაველ კალატოზ ცინცაძის დახმარებით ამისთანა აგური ვიშოვეთ, შევიძინეთ კირი, ხის მასალა ხარაჩოებისათვის, აივნისათვის, სახურავისათვის და დავიწყეთ მუშაობა.

საკალატოზო საქმე დავამთავრეთ. გარშემო კედელი კირითა და კრამიტით (ძველი კრამიტი ვიშოვეთ) დავხურეთ. ახლა უნდა დავგეწყო ხის მასალის მოხმარება, მაგრამ ეჭვში შევედი სახურავის გამო. ზოგი მარწმუნებდა ფიცრით იყო დახურული, ზოგი კი ამბობდა, ფიცარი არა ჰქონიათ. ამ საქმის გადასაწყვეტად შევეკითხე ინჟინერ სოსო ლომიძეს, რომელიც იმჟამად მსახურობდა მასწავლებლად წმინდა ნინოს სასწავლებელში. მან თქვა, რომ ჯერ უნდა დავხურეთ ფიცრით. ავიტანეთ მალა მთელი მასალა წინ აივანზე და ვაგეთ 4 მუხის კოჭი და უნდა შევდგომოდით მუშაობას, მაგრამ საქმემ შეიცვალა სახე. ინჟინერი ლომიძე რომ ავიდა კოშკზე, საფუძვლიანად გასინჯა, გამოიტანა დასკვნა, რომ ფიცარი მას არ ჰხურებია. კოშკის თალი ყოფილა გადაღესილი იმისთანა სითხით, რომ წყალი არ ჩასულიყო შიგ, ავდექით და მთელი ატანილი მასალა ისევ ძირს გადმოვყარეთ. თალი გადავ-

ლესეთ მხოლოდ კირით, რადგანაც საქმარისი ცემენტის, ან კირის შოვნა მაშინ ძალიან ძნელი იყო. ყველაფერი ეს საზოგადოებას დაუჯდა 180 მანეთი“.

მის. ელიზბარაშვილის ამ ჩანაწერს ავსებს 1916 წლის ქართულ ხელოვანთა საზოგადოებისადმი ივანე ჯავახიშვილის მიერ წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „მოვავიანებ აგრეთვე ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას, რომ ქ. თელავში ქართულ სამოქალაქო ხუროთმოძღვრებისა და მხატვრობის ერთი იშვიათი ძეგლი მოიპოვება, მეფე ერეკლეს სასახლის ნაშთი, რომელშიაც ახლა ქალთა წმინდა ნინოს სასწავლებელია დაბინავებული. ამ სასახლის თავდაპირველ ნაშენობისაგან ალყაფი კარების ორი კოშკი ჯერ კიდევ თითქმის ხელუხლებლად არის შენახული. ერთ კოშკითაგანში შიგნით კედლის ფერადი მხატვრობაა შემორჩენილი. ხოლო თვით ეზოში მეფისა აბანოს კედლის ფერადი არშიები, თუმცა ძლივსა, მაგრამ მაინც სახეობის მოხაზულობა მოჩანს. რაკი სამოქალაქო ხუროთმოძღვრებისა და არშიების ნიმუშები ცოტადა შეგვრჩა, აუცილებლად არის საჭირო ეს მცირეოდენი ნაშთი მაინც სამუდამო დალუპვისაგან გადავარჩინოთ, ან გადმოვხატოთ მაინც“ (ეს მოხსენება დაცულია ივანე ჯავახიშვილის კაბინეტში, აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში).

საგულისხმოა, რომ ორივე მამულიშვილის ფიქრი ერთსა და იმავე დროს თავს დასტრიალებდა კახთ მეფეთა სასახლის მატერიალური კულტურის ძეგლებს, მათი აღდგენის, შესწავლისა და დაცვის საქმეს.

მიხელოს ჯერ კიდევ სასულიერო სასწავლებელში სწავლის დროს (1894-1900 წლებში) დაუწყია ქართული ხალხური სიმღერების ნოტებზე გადატანა. ამ სახის მასალა ერთ მოზრდილ კრებულში თავმოყრილი ახლა ჩვენ წინ დევს. იგი მალა კალიგრაფიული გემოვნებით არის შესრულებული.

ნოტებზე მას ჩაუწერია ის სიმღერები, რომლებიც ერთ დროს რატილისა და ია კარგარეთელის რეპერტუარებს ამშვენებდა. მაგალითად, „აღსდექ გმირთაგმირო“, „ჩუხჩუხით ჩამორბოდა“ და „ეს ბალი ტურფად შეიკული“, „ალილო“ (ლ. აღნიაშვილის ჩაწერილი) და სხვ.

ორიგინალური თავისებურებებით გამოირჩევა მიხელის პირველჩანაწერი სიმღერები: „მეტივური“ (კახური კილო), „ველისციხური ყურძენი“, „შევსვით ხელადით ღვინო“... მართალია, ეს სიმღერები ხშირ შემთხვევაში ტაქტებად არ არის დაყოფილი და ზომაც არ უწერია, მაგრამ ისინი მრავალმხრივ საყურადღებოა ჩაწერის ისტორიის თვალსაზრისით.

მიხელოს ნოტებზე გადაუტანია სიმღერა „განთქმულა პირველ ბრძენთაგან“, რომლის ტექსტის ისტორიის გაცნობაც არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული.

ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში გოჩას სახელით რამდენიმე პოეტია ცნობილი. მე-16 საუკუნეში მოღვაწეობდა გოჩა ბატონიშვილი, მეჩვიდმეტეში — გოჩა თრიალეთელი, ხოლო მეთვრამეტეში — ცხოვრობდა გოჩა პატარა ძე დადიანი. ჩვენ გვაინტერესებს გოჩა თრიალეთელის პოეტური შემკვიდრობიდან შემორჩენილი ერთი ლექსი. იგი დიდი ხანია სხვადასხვა ვარიანტად ვრცელდება და ზემოხსენებულ კრებულში შეტანილია, როგორც ხალხური.

მე-19 საუკუნის 90-იან წლებში მიხელო ელიზბარაშვილის მიერ ჩაწერილი სიმღერა „განთქმულა პირველ ბრძენთაგან“ სამ ხმაში იმღერება. სიმღერას იწყებს პირველი, მას მოსდევს ორი ხმა, რომლებიც ბანის ფუნქციას ასრულებენ. მთავარი მელოდია მიჰყავს პირველ ხმას, შემდეგ მელოდია მიდის მეორე ხმაში და აქ პირველი და მესამე ასრულებენ ბანის ფუნქციას. პირველი და მეორე ხმა განვითარებულია, რეჩიტატიული ხასიათის მელოდია მიჰყავთ, ერთმანეთს ენაცვლებიან სიმღერის მეორე ხმაში. მესამე ხმა ბურღონული ბანია და მას მისდევენ პირველი და მეორე ხმები.

გოჩა თრიალეთელის ლექსზე შექმნილი სიმღერა მთავრდება შეძახილით „ჰე, ბიჭებო!“ და იქვე მას ჩამწერი ასეთ ახსნას უკეთებს: „ამნაირადვე ვაიმეორებს, რამდენიც ჰსურს მომღერალს, მხოლოდ სიტყვები, ე. ი. ლექსი იცოდეს“.

ცხადია, გოჩა თავის დროზე მეტად პოპულარული პოეტი იქნებოდა, რომლის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მასალების მოპოვება სასურველია გაგრძელდეს.

ელიზბარაშვილების საოჯახო ქრონიკები თანდათანობით ივსება და ვარაყდება.

გიორგი ჯავახიშვილი,
თელავის კლავოპოეზი ინსტიტუტის პარამული ლიტერატურის ინსტორიის კამერის გამგე, დოცენტი.

აყოლილი ზოგიერთი კახათელი, სოფელში დაბრუნებას ითხოვს...

კარგად ჩავუღრმავდეთ ამას: რატომ გაიქცა ადრე და რატომ მოუხდა ახლა შინ დაბრუნება.

ფესვებმა შეახსენეს თავი? თავისი ჰქნა მიწის სიყვარულმა?

კაცმა რომ თქვას, ეს ასეცაა. მაგრამ აქ მაინც სხვა რამეა მთავარი: ცხოვრება უნდა სოფელში მაცხოვრებელ ადამიანს, მნიშვნელობა არა აქვს იმას, ახალგაზრდა იგი თუ „ძველიგაზრდა“...

უნდა ცხოვრება ადამიანური, წელგამართული.

იციოდა ეს ძველმა თავმჯდომარემ და არაფერი გააკეთა იმისათვის, რომ კაცს კაცურად ეცხოვრა. მოვიდა ახალი თავმჯდომარე და პირველ რიგში კოლმეურნეთა საყოფაცხოვრებო პირობებით დაინტერესდა.

აქ, ვაჯყობ, ციფრების მოშველიება დაიჭირდება.

იქნებ არც კია ეს აუცილებელი და წინ წამოსაწევი. დასაჩხვს ციფრების გარეშეც კარგად დინახავს ადამიანი.

მაგრამ ახლა სხვანაირად არ ხერხდება. ერთიმეორის მიყოლებით აშენდა სოფელში ოთხასადგილიანი კლუბი, კინოს სადემონსტრაციო დარბაზი, სამუსიკო სკოლა, მარტივი ტიპის სასპორტო მოედნები, მოზარდთა საცხენოსნო სკოლა თავისი იპოდრომით, პოლიკლინიკა, აბანო, სამრეწველო საქონლისა და სასურსათო მალაზიები, საყოფაცხოვრებო ობიექტები.

რჩეული ახალგაზრდობა მიიზიდა მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებმა. სახელი გაითქვა ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა, ქორეოგრაფიულმა სტუდიამ, ვოკალურმა ანსამბლმა, ბავშვთა მუსიკალურმა წრეებმა...

ამას დაუმატეთ განხარგრძლივებული დღის სისტემით მომუშავე ორი საშუალო სკოლა, სამი საბავშვო ბავა-ბალი. გაითვალისწინეთ ისიც, რომ სკოლებსა და ბავაბლებში უფასოა კვება და მის ხარჯებს კოლმეურნეობა იხდის. პენსიონერთა და სახმარებლად დამატებით გამოყოფილი სამოცდაათი ათასი მანეთიც არაა მცირე თანხა.

ფასიანი სტომატოლოგიური პოლიკლინიკის გახსნა კი, რომელიც ერთ-ერთი პირველი ყოფილა მთელ კავშირში აქ, ზუგდიდის ახლო მდებარე ერთ ჩვეულებრივ ქართულ სოფელში, მართლაც მისასაღმებელია.

კიდევ უფრო მეტი.

— თუ სწავლა, სწავლა იყოსო,— ერთხმად გადაწყვიტეს კახათელებმა. რესპუბლიკის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში ყოველწლიურად გზავნიან რჩეულ ახალგაზრდებს. მიდიან სასწავლებლად ჭაბუკები და ქალიშვილები. კოლმეურნეობიდან სტიპენდიები ეძლევათ. ზრუნვა და დანხარება არ აკლიათ.

მიდიან და ისევ უკანვე, მშობლიურ კახათში ბრუნდებიან ტექნოლოგებად, აგრონომებად, პედაგოგებად, ექიმებად, ზოოტექნიკოსებად.

ახლა კახათში სპეციალისტების ნაკლებობას აღარ უჩივიან. ერთდროს კი, უჩიოდნენ და ძალიანაც უჭირდათ ამის გამო.

ნათქვამია: სოფელს ერთი თვალის გადავლებით იცნობო.

სწორი ნათქვამია!

განა ამ შეუკებსა და ქუჩებზე ერთი თვალის გადავლება არ კმარა, რომ ყველაფერი იგრძნო და იცნო? ეს საგანგებოდ დაგვილ-გაწკრილებული ეზოები, ეს კოპწია ოდა-სახლები, თავიანთი გარეგნული იერ-სახითაც ამბობენ იმას, რისი თქმაც საჭირო არაა და ისედაც იგრძნობა.

...ყველაფერში სიფაქიზე, ზომიერება, სუფთა და ჰაეროვანი სული, ასე რომ გვიღამაზებს ყოველდღიურ ყოფასა და ცხოვრებას!

სოფლის შუაგულში, იქ, სადაც კოლმეურნეობის ადმინისტრაციული შენობაა, დგას ობელისკი და იქვე მემორიალური დაფაა, მაუწყებელი იმისა, რომ ამ ადგილებში 1905 წლის თოთხმეტ თებერვალს ჩაფრებთან გლეხთა შეიარაღებული შეტაკება მომხდარა. იქვე, მუზეუმში, რევოლუციური მოღვაწეობის ამსახველი დიდძალი ექსპონატი თამოყრბლი.

ყურადღებით ათვალიყრებ ამ ექსპონატებს და, როცა გარეთ გამოდიხარ, ერთხმად ნათდება ყველაფერი: ეს ოდნავ ნისლიანი, წებოვანი ჰაერიც სხვანაირი ხდება და ციტრუსის ბალებიდანაც სხვა შეუქი მოდის.

აი, ამ დღისათვის იბრძოდნენ ისინი...

მწვანე ზურმუხტის თვალი დათრთის ჩაის პლანტაციებში და გარშემო სინათლე იღვრება.

გზის პირებზე ჭადრები ჩარიგებულან. დროდადრო ტოტებში ნიავე გაიჭროლებს და ფართო, მოზინვარე ფოთლები ყურებს წამოცქვეტენ. რბილი, მწვანე მოლი ჭერ კიდევ ცვრითაა გადავერცხლილი.

მოსავლის ბედი მაინც ამინდზე ჰკიდია. ცამ რომ უთენია ამოიკარკალავა, უეცრად შეიძლება პირი შეიკრას და თქემად წამოვიდეს.

ხალსს უთქვამს, ცა დილაადრიანად იხსნებაო. ისიც უთქვამთ, ვინც ცის გახსნას თვალს შეასწრებს, იმას მთელი დღის სამუშაო წინ წავდებული ექნებაო.

მე ვიცი, როდის იხსნება ცა და რას გულისხმობს ხალხი ცის გახსნაში. მაგრამ ცის გახსნა რომ ადრე ამდგომი კაცის შესაქებადაა გამოგონილი, ამაშიც საეჭვო არაფერია.

უყვარს ხალსს გამრჯე, გულისყურიანი მუშაკაცი, მედღეხვალიობა რომ ჭირის დღესავით ეზარება და ძილშიაც არ ასვენებს გასაკეთებელი საქმე.

ნელ-ნელა გაიკრიფა ბინდი და ცა გაიხსნა.

ცის გახსნას კახათში აქამდეც არავინ გაუკვირვებია და, რაკი დღესაც გამთენიისას გაიხსნა ცა, გამთენიისას გაიღვიძა სოფელმაც.

სოფლის თავზე მიცურავს ზღვის მხრიდან წამოსული ნისლი. მთელი დამე გადაუღებლად უწვიმია და გზაზე გუბეები გაჩენილა. ისინი ახლა სარკის ნატეხებით პრიალებენ. დამდგარი წყალი ზოგან მწვანეა, ზოგან ლურჯი და კრიალა, პირდაპირ ზეცის ფერისა.

კაცმა არ იცის ახლა სადაა ჯოტო გუგუჩია — კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რესპუბლიკის პარლამენტის წევრი, სოციალისტური შრომის გმირი. ერთი რამ კი ცხადია: კახათელთა ნაცადი თავკაცი ამ განუტრეხილი სთვლობის დროს კაბინეტში ვერ გაჩერდებოდა და, ალბათ, იქაა, სადაც გადაუღებელი საქმე ეგულება.

ვასილ გვიტაძე.



ოლო დროს ფართო გავრცელება პოვა გამოთქმამ — თანამედროვე ეკონომიკური აზროვნება.

როგორია ეკონომიკური აზროვნება? არის და რამ განაპირობა მისი აუცილებლობა?

ეკონომიკური აზროვნება ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ცნობიერებაში ასახვას და ამდენად იგი ობიექტური და სუბიექტური მხარეების ერთიანობას წარმოადგენს.

ეკონომიკური აზროვნება მეორადია მეურნეობრიობის ობიექტური პირობების მიმართ. ამიტომ ბუნებრივია, რომ მისი კვლევა უნდა დაიწყოს საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური პირობების სპეციფიკის დახასიათებით. ხანგრძლივი დროის მანძილზე ქვეყნის ეკონომიკა უპირატესად ექსტენსიურ საფუძველზე ვითარდებოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ პროდუქციის მატება მიიღწეოდა დამატებითი კაპიტალდაბანდებებისა და მუშახელის წარმოებაში ჩართვის გზით.

მეურნეობრიობის ექსტენსიურ ტიპს მრავალი ნიშანი ახასიათებს, რომელთა შორის მთავარია: ა) მართვის უპირატესად ადმინისტრაციული მეთოდების გამოყენება; ბ) შეფასების რაოდენობრივი ორიენტირების პრიორიტეტი ხარისხობრივთან შედარებით; გ) საწარმოთა დამოუკიდებლობისა და მათი უფლებების შეზღუდულობა.

ექსტენსიურ მეურნეობრიობას შეესაბამებოდა ეკონომიკური აზროვნების ექსტენსიური სტილიც.

საწარმოო ძალთა შემდგომმა განვითარებამ განაპირობა ეკონომიკის ინტენსიურ რელსებზე გადაყვანის აუცილებლობა, რამაც, თავის მხრივ, დღის წესრიგში დააყენა მეურნეობრიობის მეთოდებისა და ფორმების, მართვის სტრუქტურის, დაგეგმვის ორგანიზაციის, სტიმულორების სისტემის ძირეული გარდაქმნის პრობლემები. თავის დროზე დამკვიდრებული ბევრი თეორიული დებულება და ფორმულირება შეცვლილი ეკონომიკური სიტუაციის გამო დღემდე გადაიქცა, რაც დღეს სერიოზულად აბრკოლებს პროგრესულ ეკონომიკურ გარდაქმნებს. ახლა უკვე ნათელია, რომ ეკონომიკის წინაშე წამოჭრილ ამოცანებს ტრადიციული მიდგომით ვერ გადავწყვეტთ, ახალი ამოცანები ახალი მიდგომის საფუძველზე შეიძლება გადაწყდეს და სწორედ ამიტომ ახლებური ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბება ცხოვრებისეულ აუცილებლობად იქცა.

ეკონომიკური აზროვნების გარდაქმნა უაღრესად რთული პროცესია. ეს იმით არის გამოწვეული, რომ უარყოფით როლს ასრულებენ ე. წ. „ეკონომიკური აზროვნების გაბატონებული სტერეოტიპები“, რომლებიც მეურნეობის „გუშინდელი“ პირობების ანარეკლს წარმოადგენენ.

სტერეოტიპები მრავალია და ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე მივუთითებთ. ხანგრძლივი დროის მანძილზე ჩამოყალიბდა შენეღულება, რომლის თანახმადაც წარმოების გაფართოების ერთადერთ მისაღებ გზად ითვლებოდა ახალი მშენებლობა. ასე გაჩნდა უამრავი ახალი საწარმო, რომლებიც ხშირად საკმარისი რაოდენობის მუშახელთაც კი არ არის დაკომპლექტებული. არსებულ საწარმოთა ტექნიკურ განახლებასა და გადაიარაღებას ჭეროვანი ყურადღება არ ეთმობო-



და აღნიშნულ პოლიტიკას ის მოჰყვა შედეგად, რომ სახალხო მეურნეობაში ფუნქციონირებადი 1,5 ტრილიონი მანეთის ძირითადი ფონდების მნიშვნელოვანი ნაწილი მოძველებულია როგორც მოძალურად, ისე ფიზიკურად და ეს გარემოება ნეგატიურ გავლენას ახდენს ეკონომიკაზე. წარმოების მექანიზაციის დაბალი დონე განაპირობებს ფონდუკუების დაქვეითებას. სახალხო მეურნეობაში ხელშრომით დაკავებულია 50 მილიონამდე კაცი. ცალკეული დარგების მიხედვით კი ასეთი მდგომარეობაა: მრეწველობაში ხელშრომის მუშაკთა ხვედრითი წილი შეადგენს დასაქმებულთა საერთო რიცხოვნობის ერთ მესამედს, მშენებლობაში — ნახევარზე მეტს, ხოლო სოფლის მეურნეობაში — სამ მეოთხედს.

ეკონომიკური აზროვნების მოძველებულ სტერეოტიპად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე მიღწეული დონიდან წარმოების დაგეგმვის პრაქტიკა, რომელიც მთელი რიგი უწყებების ხელმძღვანელებს იქითკენ უბიძგებს რომ სახელმწიფოს „გამოვლიჯონ“ რაც შეიძლება მეტი კაპიტალ-დაბანდებანი და სხვა რესურსები, თავად

განვითარების დაჩქარების სტრატეგიის კუთხით მოითხოვს სამეურნეო პრაქტიკაში სოციალური ეფექტიანობის კრიტერიუმის პრიორიტეტის უზრუნველყოფას ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმების მიმართ. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველი მსჯელობა სოციალიზმის ჰუმანურობისა და ადამიანურობის შესახებ მხოლოდ აბსტრაქციად და კეთილ სურვილად დარჩება.

თანამედროვე ეკონომიკურ აზროვნებას მთელი რიგი მოთხოვნები წაყენება, რომელთა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მისი მეცნიერულობა. ეკონომიკური აზროვნების მეცნიერულობა მდგომარეობს „საქმის ცოდნით მიღებულ გადაწყვეტილებაში“ (ფ. ენგელსი) და ემყარება: ა) პოლიტ-ეკონომიურ დასაბუთებას; ბ) მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებისა და პერსპექტივების გათვალისწინებას.

ეკონომიკის განვითარების კანონზომიერებათა შესწავლის, ეკონომიკური კანონების შეცნობისა და მათი შეგნებული გამოყენების გარეშე ვერ შევიშუშავებთ გამართულ ეკონომიკურ პოლიტიკას. მრავ

სება (ე. ი. წონასწორობაში მყოფი) ცილებელ რესურსებთან. ასეა, მაგრამ დაგეგმვის პრაქტიკაში რად საპირისპირო სურათს ვხედავთ.

გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ სახალხო მეურნეობის დარგები, მცირე გამოწარმოის გარდა, არასდროს არ იღებენ საწარმოო პროგრამის შესრულებისათვის საკმარის რესურსებს. ეს განსაკუთრებით მასობრივი მოხმარების პროდუქტთა მწარმოებელ დარგებს ეხება. რესურსებს მათ აძლევენ აუცილებლის 60-70 პროცენტის ოდენობით, შესრულებას კი უგეგმავენ, რა თქმა უნდა, 100 პროცენტით და მეტი-თაც. სწორედ ასეთი დაგეგმვის საფუძველზე წარმოშობილი დეფიციტია მთავარი მიზეზი ყველა იმ ეკონომიკური უწყისებისა და ნეგატიური მოვლენისა, რომლებსაც დღეს აქტიური ბრძოლა გამოეცხადება.

თანამედროვე ეკონომიკური აზროვნების მეცნიერულობას მჭიდროდ უკავშირდება მისი რეალურობის პრინციპი. რეალიზმი გულისხმობს უკვე გაკეთებულისა და მიღწეულის საღ და კრიტიკულ შეფასებას, მიმდინარე ოპერატიული ამოცანების მტკიცედ დაკავშირებას პერსპექტივის განჭვრეტასთან. თითოეულმა სამეურნეო მუშაკმა ნათლად უნდა გაიაზროს ის მოდელი, რომელიც ჩამოყალიბდება პირადად მისი და მისადმი დაქვემდებარებული კოლექტივის ძალისხმევით საბოლოო შედეგის სახით.

როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით, უაღრესად აქტუალურია თანამედროვე ეკონომიკური აზროვნების სუბიექტების კლასიფიკაციის საკითხი, ანუ საკითხი იმის შესახებ, თუ ვის უნდა ახასიათებდეს ასეთი აზროვნება. იგი უნდა ახასიათებდეს როგორც ხელმძღვანელ სამეურნეო მუშაკებს, ისე უშუალო შემსრულებლებს — მუშებს, ჩარხებთან რომ დგანან, გლეხებს, მინდვრად რომ შრომობენ.

მეურნეობრიობისა და მართვის დემოკრატიზაციის გაღრმავების პირობებში სულ უფრო მეტად აქტუალური ხდება მშრომელებში თანამედროვე ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბების საკითხი. წარმოების საშუალებებზე სოციალისტური საკუთრების დამყარება ძირეულად ცვლის მშრომელი ადამიანის მდგომარეობას საზოგადოებაში. წარმოშობა პიროვნების პრინციპულად ახალი სოციალური ტიპი — საერთო-სახალხო სიმდიდრის სრულფუნქციონირების თანამესაკუთრე. თეორიულად იგულისხმება, რომ უშუალო მწარმოებლის ასეთი საზოგადოებრივი მდგომარეობა აუცილებლად უნდა წარმოშობდეს მის მზრუნველურ, დაინტერესებულ დამოკიდებულებას საერთო-სახალხო საკუთრებისადმი, მისი დაცვისა და გამრავლებისადმი.

ამყამად ჩვენი ქვეყანა თავისი ისტორიული განვითარების უაღრესად რთულ და საპასუხისმგებლო ეტაპზე იმყოფება. გარდაქმნა უკვე დაიწყო საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. მისი წარმატებით განხორციელების მნიშვნელოვანი პირობაა თანამედროვე ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბება.

ელგუჯა იმეჯაბიშვილი,
მიხეილ ჯიჯუბი,
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

თანამედროვე ეკონომიკური აზროვნება

კი ხელოვნურად შემცირებული გეგმებით დაკმაყოფილდნენ. სკკპ XXVII ყრილობაზე სამართლიანად დაგმეს ეკონომიკური აზროვნების კიდევ ერთი სტერეოტიპი, რასაც ეკონომიკური პრობლემებისადმი ტექნიკურულ მიდგომას უწოდებენ. ჩასატარებელ ეკონომიკურ ღონისძიებათა დასაბუთება ხშირად ემყარებოდა მხოლოდ ტექნიკური პარამეტრების ამაღლებასა და ეკონომიკური ეფექტის მოსალოდნელ მაქსიმიზაციას. ეკონომიკური აზროვნებისა და მთლიანად საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნა სოციალურ-ეკონომიკური

ვლად მოგვებოვება იმის მწარე გაკვეთილი, როცა ეკონომიკური კანონებისადმი გვერდის ავლის ან მათზე „გადახტომის“ ვოლუნტარისტულ მცდელობებს დიდი ზიანი მოჰქონდა ჩვენი საზოგადოებისათვის. ასე, მაგალითად, პოლიტიკური ეკონომიის ყველა სახელმძღვანელოშია მითითებული, რომ სოციალისტური ეკონომიკა გეგმაზომიერად ვითარდება. გეგმაზომიერი პროპორციული განვითარების ობიექტური ეკონომიკური კანონის შინაარსს, როგორც ცნობილია, წარმოადგენს გეგმაში დასახული ამოცანების დაბალან-

ლაქციონაჟი...

შაბათი ღღე იყო, ეზარებოდა ნანას მონოტონურ ლექციებზე შესვლა. კიდევ კარგი, პირველი ლექცია გაუცდა. ხელოვნებათმცოდნეებს შეუარა, მეგობარი მოიკითხა, უთხარეს მოვით. დაველოდებო, ბოლო მერხზე მოიკალათა არხენად.

საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორია ეწყებოდათ, ნანას ეს კურსი უკვე მოსმენილი და ფრიადზე ჩაბარებულიც ჰქონდა. მაინც დარჩა.

ორ-სამ წუთში უჩრდილოეთ კაცი შემოვიდა, კარები შემოირახუნა. შეიძლება აუდიტორიას მოავლო თვალი, უსურნალს დასწვდა, უკუღმა შეატრიალა, თავი ჩარგო.

— სალომე, რა ვუთხრა, რომ მკითხოს, ვინა ხარო? — ჩუმად დაუძახა ნანამ.

— უთხარი სიმართლე. ჩურჩულზე ლექტორმა თავი წამოყო.

— კურსზე რვა კაცი ხართ, რომოცდაათი საათი კი მაქვს, ჩასატარებელი, კარგი-ა! — ჩამომარცვლა. მერე კუთხეში ლექტორისათვის განკუთვნილი სკამი ფეხით მოიწია და ისევ განხდა აუდიტორიას.

ნანამ კიდევ გადაულაპარაკა სალომეს. ეტყობა, გაბრაზდა ბატონი გურამი (ასე ერქვა ლექტორს) და სკამს წინი ჰკრა, კუთხეში მიახეთქა.

სტუდენტებმა სიცილისგან თავი შეიკავეს, მხოლოდ გაილიძეს.

— კარგით, ბატონო, ვინაა ჯგუფზელი? ადგა ერთი.

— ამოიკითხე სია და ჩაუწერე არები! — უბრძანა.

— შენ მუჯირი იქნები, ია! — უჩურჩულეს ნანას და როცა ჯგუფზელმა მუჯირი ამოიკითხა, ნანა წამოიწია მერხიდან.

მერე ლექტორმა წინა კვირას გაცდენილ ლექციებზე მოაწერა ხელი, სკამზე დაჯდა, პალატუნი შეისწორა, გაიყურა. უცებ კარი გაიღო.

— უკაცრავად, შეიძლება? — დავგვიანებულები გაიხერგენ კარებში. ერთი ნანას მეგობარი ნინო იყო, მეორე ნინოს ჯგუფზელი.

ლექტორმა გაოცებით ახედა, მერე მხერა მათ ფეხებზე შეაყოვნა და ქალს დანატრებულივით გაიღიმა.

— მობრძანდით, კი მაგრამ... — დავგავიანდა! — თქვა ნინომ.

— რომ დავგავიანდათ ვხედავ, რას მოდიოდით, თუ იმიტომ მოხვედით, გაინტერესებდათ როგორი ვიყავი, არა? — შემოდით და დასხედით! შემოვიდნენ.

წუთიც არ იყო გასული, იამ, ნამდვილმა მუჯირმა, შემოყო თავი, ჯერ ნანას ეცვალა ფერი, მერე სხვებს. სალომემ მუხჯურად ანიშნა რაღაც, ნანამ სასაცილოდ გაიწოდა ცერა თითი

იასკენ, მერე გულზე მიიღო და როგორც იყო, მიახვედრა ია, რაც ხდებოდა.

ბატონმა გურამმა ჯგუფზელს გადაუგდო უსურნალი:

— იმათ, ვინც დაიგვიანეს, უწერიათ არები?

— დიახ!

— მერე რატომ?

— თქვენ არ მითხარით?

— კი გითხარით, მაგრამ...

ჯალათი ხარ, ჯალათი რომ არ იყო, ასე არ გაწირავდი შენსავე ამხანაგებს! — თქვა ლამის თეატრალურად.

აუდიტორიაში ველარ შეიკავეს სიცილი.

ლექტორმა სრული სერიოზულობით განაგრძო:

— შენ კი არ უნდა იყო ჯალათი, — გულზე მიიღო ხელი, — არამედ მეგობარი უნდა აქციო მეგობრის ჯალათად. — საჩვენებელი თითი გაიწოდა სტუდენტისკენ. — ასეთი იყო გესტაპო. კიდევ კარგი, ფაშისტები გადაშენდნენ, თორემ იოლად უღალატებდი ყველას და ყველაფერს.

ჯგუფზელი ველარ შეეპასუხა, სიცილს სიტყვები დაეკარგა.

თუმცა არც ახლა გაღიზიანებულა, მიზანმიმართული კაცის იერი მიიღო, მკვეთრი მოძრაობით გაისწორა პიჯაკის კალთები და მოჭრით თქვა:

— კეთილშობილება მავალდებულებს, ვიყო მართალი, კარგი ლექტორი. ამაში ხელს მიწყობს უაღრესად დიდი ზრდილობა, ცოდნა და ჩემი დიქცია!

— ყოჩაღ, ბიჭო! — ჩუმად ჩაიქიჩილა ნანამ და ნინოს დაეკითხა:

— „პულოვერისთვის“ ოთხასი გრამი მეყოფა?

— გააჩნია, როგორს ქსოვ.

— ინგლისურ რეზინს.

— მაშინ არ ვიცი.

— ...

— ვინ ვარ მე? ადამიანი არის თავისი საქმე! — და როცა ყველას ეგონა, კიდევ გაგრძელდებოდა მონოლოგი, მოულოდნელად ჰკითხა ჯგუფზელს:

— წინა ლექციაზე რომელი იყავით?

— მე! — ადგა ჯგუფზელი.

— იყო მეორეც?

— დიახ!

— რომელი?

— ვაიმე, არ მახსოვს!

— რატომ?

კითხვობა

— ვაიმე, რა ვიცი რატომ, გუშინ რა მოხდა, ის არ მახსოვს, პატივცემულო.

— რომელი იყავით?

— ...

— აა, იქნებ მომეჩვენა არა?.. ის ვილაც მესამე შეიძლება შენი ჩრდილიც კი იყო, მაშინ მაპატიეთ!

აუდიტორიამ ახლაც გაიცინა. ლექტორი ისევე უეცრად დაუბრუნდა სხვა სათქმელს:

— რა არის ჩვენს მიღმა, რეალურ სამყაროში? არ ვიცი, ვეძებ, მხოლოდ ვეძებ. ცხოვრებაში შეიძლება მხოლოდ ერთი რამ აღმოაჩინო და ამით იყო ბედნიერი. შეიძლება ერთხელ ლამის ორ საათზე გამოხვიდე გარეთ, უყურო ცას. ცაზე იყოს ვარსკვლავები, მთვარე, ვციოდეს ძალიან. ამ დროს კი სახლში გელოდებოდეს თბილი ლოგინი. მაინც არ მოგიხდეს იქ შებრუნება. ბოლოს მიხვდე რაღაცას, სხვანაირი იგრძნო და, როცა დაწვები, მერე იმ ღამეს სულ სხვანაირად ჩავეძინოს. აი რა არის ადამიანი! რატომ მოვედით?

ყოფნა-არყოფნის საკითხი მართლ დანიელი პრინციის კითხვა არ ყოფილა. ადამიანი იკითხა ეს პირველად. ადამიანი შეიქმნა კეთილი ნებით, კეთილი საქმეებისათვის. ღმერთმა იცის, რად გამაჩინა, მაგრამ მე რომ არ ვიცი, შეწუნდა ადამი. ჩვენც იგივე გვემართება! საკუთარი თავის ვალმა გვინდა გასვლა... ამიტომაც წერენ ლექსებს. არის კითხვები, რომლებზედაც არის პასუხები და არის კითხვები, რომლებიც უნდა დარჩნენ უპასუხოდ.

უცებ შედგა, ფრანგულად წარმოთქვა ფრაზები და მოილუშა:

— ავარიის შემდეგ მიჭირს გამოთქმა, ჯერაც ვერ ჩავმჯდარავარ ფორმაში.

მერე ისე ვადასისვა თავზე ხელი, თითქოს სხვას მიეფერაო და განაგრძო:

— აი, წელან რომ ვიჯექი, უსურნალი მეჭირა ხელში, სხვა ვიყავი, ახლა აქ რომ ვდგავარ, სხვა ვარ და ასეთი აღარ ვიქნები აღარასოდეს... ჰო, ადამიანი ერთადერთი ცხოველია, რომელიც სვამს კითხვას: რატომ მოვედო? მე მგონია, არსებობს ყველასათვის საღაც,

ცხოვრების ბაღში გაზრდილი ხე. იმ ხეს უნდა შეეხვედეთ აუცილებლად, თორემ შეიძლება საუკუნეების შემდეგ მივიდეს ვინმე მასთან და შენთვის განკუთვნილი ხე მან დაიჩემოს. ასეა, რატომ ვიკვირთ? აუდიტორიის ბოლოში ფანჯარასთან ვაყინა მხერა. სტუდენტებმა ერთმანეთს ამრეზილი ტუჩებითა და თვალებით უკვე გააგებინეს სათქმელი. ბატონი ლექტორი ზურგშეკვეთით იდგა, არ დაუნახავს ეს, რომ შემოტრიალდა, საათს დახედა:

— ახლა ლექცია გამოვა, მაგრამ თქვენთან ზედიზედ სამი საათი რატომ დამინიშნეს, ვერ ვამიგია. თუმცა არაფერია, შეიძლება გაგიშვათ მეორე საათიდან. თქვენც ბედი ახლა ჩემს მანქანაზეა დამოკიდებული.

— ეს როგორ?

— მოგახსენებთ!.. რომ ამოვიდოდი, რუბენს მანქანა დავუტოვე გასარეცხად. თუ გარეცხილია მანქანა, წავალ, თუ არადა ისევ ჩავივარებო... მერე ჩქარი ნაბიჯით გვემართა დაფისკენ, ცარკით რაღაც დახატა და გააგრძელა:

— აქ სხედხართ და არ იცით, თქვენი ბედი რაღაცაზეა დამოკიდებული. საგნები და მოვლენები ურთიერთმიმართებულნი არიან. აი, როგორც ობობას ქსელს, თითი შემოავლო ნახტს დაფაზე, თუ დაკვირვებისხართ, ერთ ადგილზე რომ შეეხებით, სხვაგანაც შეიჩხვება. ასეა ჩვენი ამბები, შემთხვევები და საგნები ერთმანეთზეა ვადაჯაჭვული. ობობას ქსელი კარგად ვერ დავხატე, არა? თქვენ ხატვაც გეხერხებათ ხელოვნებათმცოდნეებს, ჰმ?!

— ზარია! — წამოიყვირა ერთმა.

ლექტორი გარეთ გავიდა. ნანა იას უხსნიდა მდგომარეობას.

— რაიმე რომ შეგემთხვეს ჩვენ გამო, როგორ მეშინია!

— არა, ნუ გეშინია!

— თავიდან კი ვაპირებდი სიმართლის თქმას, მაგრამ ისეთი ნგრევა-მტკრევეთ შემოვიდა, შეშემინდა! — თავისას განაგრძობდა ნანა.

ამასობაში ზარი დაირეკა. ბატონი ლექტორი დაუბრუნდა თავის ადგილს:



რთი იმას, რაც შენზე მალა-
ლი და მხილველზე, აქედანვე
ტიონს ესმოდა. — და მე მომეხსენება
ბულთ წამწამთ კანკალი. რო-
ცა დიდი ხარ, უნდა გვერო-
დეს, ამბობ სიტყვას და სამ-
ყარო გისმენს, ისე ვერ იქნე-
ბი დიდი. ასე იყო მიქელანჯე-
ლო, სერვანტესი, ჰიუგოს აქვს
ნათქვამი, ბაირონი ლომიო!

— იდეები აწუხებს!
— ჰო, ალბათ იმიტომაც მო-
იპარსა წვერები, თორემ მაშინ
გენახა!

— აბა! — დაეთანხმა მეორეც.
მაგრამ ეს ჩურჩული გამოე-
პარა ლექტორს. სკამიდან წა-
მოდგა. გაიხედა ფანჯარაში. ალ-
ბათ მანქანის გარეცხვამ შეა-
წუხა, რომ შემობრუნდა თით-
ქოს წაისტვიხა:

„აუ, რა კარგი დარია, აუ, რა-
მდენი ქალია!“ გალაკტიონი
არ „იღებდა“ თურმე გრიშაშვი-
ლის პოეზიას, არადა, „აუ, რამ-
დენი ქალია!“

— ისე, რა კარგია, როცა კაცს
ჰობი აქვს, ზოგი მონადირეა,
ზოგი აგროვეს მარკებს, ზოგი
ანტიკვარებს, ყანწებს, სიგარე-
ტებს. ჩემი ჰობი მეუღლეების
ცვლაა. ცოლს არც მძიმეა და
არც ძვირი! ისე, შენ მუჯირი,
აპირებ შემდეგ ლექციასზე მო-
სვლას? — და არც ახლა და-
ლოდებია პასუხს... — ნუთუ
ვინმეს ჰგონია, თქვენი თაობა
სიხალეა? ყველა თაობა გარდა-
მავალია, ესაა თაობათა ბედი.
ოცდაათწამეტი წლის წინ ჩემი
სტუდენტი მორფისგან მკვდარი
იპოვნეს ქუჩაში. ახლა დაუჩე-
მებიათ, ახალი სენიათ, თქვენს
თაობას მოჰყავს, ურწმუნო
თაობააო! ურწმუნოებაც ხომ
ჩაწმენაა, კაცო... არ არსებობს
აბსოლუტური არა და ჰო. ჩვენ
ყოველთვის ერთსა და იმავეს
ვიმეორებთ. ხომ შეიძლება,
წაიკითხოს კაცმა „დონკიხოტი“
და თქვას: „ეს რა ქნა, როგორ
დამასწრო სერვანტესმა!“ მაგ-
რამ ეს შემიძღვ! — საათს დახე-
და. — ამას შემდეგ ლექციაზე
გეტყვი. თუ გული არ ავიც-
რუე ლექციების ჩატარებაზე.
რატომ გეცინებათ, როცა კარ-
გი ამინდებია, სიჭაბუკის დროი-
ნდელი ალტაცება მიბრუნდება.
ბიჭივით უარს ვამბობ ყველა-
ფერზე, რაც ოფიციალური და
აუცილებელია, მაშ, ასე! „სა-
ხეზე გატყობ კმაყოფილებას,
არ ვიწყებ მესამე განყოფილ-
ბას!“

— აბა, რა ვთქვი? — გადაა-
ვიწყდა მუჯირი და ჯგუფხელს
მივარდა.
— არ ვიცი, პატივცემულო,
არც ფრანგული, არც იტალიუ-
რი, არც ინგლისური! — ვერც
ახლა შეიკავა თავი ჯგუფხელმა.
— რამდენი არცოდნის სიხა-
რული გქონია ცხოვრებაში, ბე-
დნიერებაა არცოდნა, ბედნიე-
რება, ...ისე, ჯერ ხომ არაფერი
შემშლია, ჰა? — იკითხა გამომ-
წვევად.

— მგონი, ცოტა უფრო მორ-
ცხვი უნდა იყოთ ქალებთან! —
შეუწყრა რომელიღაც.
— ქალებთან რატომ უნდა
იყოს მორცხვი მამაკაცი, ვერ
გამიგია. პირიქით, ჩემო კარგო,
თავხელი, მხეცი უნდა იყო, მა-
შინ მოეწონები ქალებს. კაცი
შეიძლება კაცთან იყოს მორ-
ცხვი! — მოჭრით თქვა და და-
ჯდა. გაჩუმდა. ყური მიუვლო.
აუდიტორიის გვერდით კაბინე-
ტში ვიღაც ბუჭდავდა. — გეს-
მით, გვერდით ბუჭდავენ... აი,
შენ სხვანაირად აღიქვამ, მე
სხვანაირად, შენ კიდევ სულ
სხვას გაგონებს. საბეჭდი მან-
ქანა მაქვს სახლში, რომ ზი-
ხარ და საკუთარ ნაფიქრს ბუჭ-
დავ, საოცარია, უფრო საო-
ცარია, როცა ამას გამოგიქვე-
ყნებენ. შენი შემოქმედება შენს
გარეთ ვაჟა, ხვდები საკუთარ
თავს, როგორც უცხოს. მაშინ,
როცა შენთვის წერდი, შეუ-

გასვლისას კართან შედგა.
მუჯირად წოდებულ ნანას აუხ-
სნა:

— ისე, მუჯირი, ჩემზე ლამა-
ზი, სიმპათიური და ახალგაზრდა
თუ იშოვნო ვინმე, განთავისუ-
ფლებ ჩემი ლექციებიდან, ნულა
მოხვალ!

მომხიბლავი რევერანსი გაა-
კეთა და ერთბაშად გავიდა.

ნინო ჩხიკავიძი.

— მაშ ასე, მანქანა არ გარე-
ცხილა, ვატარებთ მეორე საა-
თსაც! „გულები მალა!“ და
არა მკერდი, გოგოებო.. „გუ-
ლები მალა!“ ასე იტყოდნენ
წირვის დაწყების წინ ხოლმე.
განვავარდით საუბარი, არა? ისე,
შემიძლია ჩაგიტაროთ კლასი-
კური ლექციები. თალხტანისა-
მოსში გამოწყობილი დავდგე
კათედრასთან და მონიტორუ-
რი ხმით მოგიყვებ: ესა და ეს
მწერალი დაიბადა ამ წელს. —
უნდოდა, ეთქვა ესა და ეს, მაგ-
რამ თქვა ესა და ეს. — გარდა-
იცვალა ამა და ამ წელს, ასე და
იმგვარად, რომელი გირჩევ-
ნიათ?

— ასე, პატივცემულო!
— როგორ ასე?

— როგორც ვიტარებთ!
ნანა კი გამწარებული უყვე-
ბოდა ნინოს მეზობლის ამბავს,
რომელმაც რვა წლით უფრო-
სი, შვილიანი ქალი შეირთო.

— მერე?
— იცი, გიყდება ბიჭი!
— ეტყობა, მაგარი ქალია!
— აა, მაშასადამე, მუჯირი,
არ გეჩვენება რომ ორ ხმაში
ვმღერით?

ნანამ შენიშვნაზე თავი აიღო,
გაუცინა, მაპატიეთო!

— კარგი, გასაგებია! — მო-
უჭრა ლექტორმა, მიუბრუნდა
სათქმელს:

— ორნაირია გზა: შარავზა
და ბილიცი. მიყვარს ბილიციზე
გადასვლა და ხტუნვა-ხტუნვით
სიარული, ბოლოს და ბოლოს,
ბილიციც ხომ შარავზას უბ-
რუნდება?! სახლიდან რომ გა-
მოვდივარ, არასოდეს ვიცი, რო-
გორ უნდა დაეიწყოს ლექცია,
პირველი ფრაზა რომელი უნდა
იყოს. ლექციაზე შემოსვლის
წინ არასოდეს არ ვნერვიულობ,
ამით ვანგხვავდები ჩემი ძვირ-
ფასი კოლეგებისგან. კიდევ
იმით, რომ ვატარებ პალსტრუსს,
რადგან ქალაქში გავიზარდე.
ისინი — სოფელში, ჰუნების
შვილნი არიან, ვერ ჰყოფენ,
ბატონებო, ბორკილებს. ისინი
ერთი კვირის განმავლობაში ემ-
ხადებან ლექციისთვის, თავ-
ში უტრიალებთ პირველი ფრა-
ზა და იმდენად მძიმეა ეს სათ-
ქმელი, ნელა მიიბრუნებენ

აუდიტორიებისაკენ, აუდიტო-
რიებში კი მათ ელიან შემარ-
თული, შეღერებული, ცხოვ-
რებას მოწყურებული სტუდენ-
ტები — როგორც მესიას. მე
კი, აუდიტორიაში რომ შემო-
ვედი ერთხანს ჩუმად ვიყავი.
საკმარისი იყო, სიჩუმე კიდევ
ერთ წუთს ვაგრძელებულიყო,
ხმას ვეღარ ამოვიღებდი, შევ-
რცხვებოდი თქვენ წინაშე. მა-
გრამ ისიც ხომ გაგიგიათ, სა-
თქმელიც ის არის, სიჩუმეში
რომ გვრგვინავსო! მთავარი
ვთქვით გულწრფელად! ასე არ
არის, მუჯირი?! — ისევ გა-
მოიჭირა მეგობართან მოსაუბ-
რე, აუხსნა, — თქვენი გვარი,
მგონი, მუნჯიდან მოდის. ამის
წყალობით კომპლექსი გიჩნ-
დებათ, დაუმტკიცეთ ყველას,
არ ვართ მუნჯებიო. — და ისე
გადავიდა დაწყებულ საუბარ-
ზე, არც მოუსმენია ნანას პა-
სუხი, — ...გულწრფელობაა
მთავარი, სადაც და როცა გავ-
ყალბდები, ამას თქვენი თვა-
ლები მაგრძნობინებენ. მაშინ
მოვდგები, გზას დაგიმობთ,
შეგეძლებათ, დატოვოთ აუ-
დიტორია. აი, თქვენ, მუჯირი,
ეს ახლავე შეგიძლიათ გააკე-
თოთ!

— არა, მოვალ ხოლმე რა,
თქვენს ლექციებზე! — წამო-
სცდა ნანას.

— მოხვალთ ხოლმე?.. — ეს-
თეტიკის ლექტორსაც ასე ეუ-
ბნები?!

— დიას! — ახლა უფრო მო-
ეწონა მუჯირობა ნანას.

— მერე და რატომ, ვერ ამი-
ხსნით!

— ცალკე გეტყვით!
— აა, ცალკე გეტყვით? ჰმ,
შემხვდები ამ საღამოს?! წაგი-
ყვან კაფე „მაიკოში“, მხოლოდ
იმიტომ. რომ ვერ ვაცხობ ნამ-
ცხვრებს, დანარჩენი სახლში
მაქვს, ყავა, ვიდეოც. კარგი,
მუჯირი, შემხვდები? ისე
იცოდე, ქალებს ცალკე რომ
ვხვდები, არ ვალაპარაკებ და
არც აქვთ ხოლმე ამის თავი და
სურვილი, თუ გინდა, ახლავე
მითხარი, თორემ!.. — გაიწი-
მატდა ბატონი გურამი.

აუდიტორია კი სიცილისგან
დაყრუვდა.

3160363/40
81620110133




ნოიანობანდა.

ფოტო არხილდ გეგეჭკორისა.




მამუკა დათიშვილი



ოტბან კობახიძე




სინაგოგა



დავით მელუხაძე

ქვემოთაა
ზიხარდოთა



ალექსანდრე მელიქიანი



რაფაელ ელიაშვილი

შე ქართველი ებრაელი ვარ

მთავრობის ოფისი



მალაზა დათიშვილი, ფოტო



ეპოქის სიმბოლო - "ქვემოთაა"
ქვემოთაა - ვერტიკალიზაციის ელემენტი



თეიმურაზ დიმიტრაშვილი



ბორის ტულუვი

მუშობლიური ადგილები



საუბარი ზვიკუნის სტრიტზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



კირველად თითქმის ვირწმუნე, რომ ამ მოთხრობის ავტორი ცნობილი მწერალი ართურ კონან დოილი იყო, მაგრამ შემდეგ მას მთელი გულისყურით ჩავეუკვირდი და მივხვდი, რომ ეს სახელოვანი პიროვნება მაინცდამაინც აქ არაფერ შუაში იქნებოდა. ამ ნაწარმოების პირველი პირი სრულიად შემთხვევით ჩამივარდა ხელში. მიუხედავად იმისა, რომ მოთხრობა ხელმოწერული ვახლდათ, მაინც დავასკვენი (აქ ინტუიციაც დაიხმარა), რომ იგი ბატონ უოტსონს უფრო უნდა კუთვნიებოდა. ამას მამბედვინებს ისიც, რომ ზემოხსენებული პიროვნების წერის მანერას ასე თუ ისე ვიცნობ და შეცდომა აქ თითქმის გამორიცხული იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში, ოთხმოცდაცხრამეტის წინააღმდეგ ერთი პროცენტი შეიძლება ყოფილიყო ჩემი გამამტყუნებელი.

ამ აზრის განვითარებას მამბედვინებდა აგრეთვე ის, რომ, როგორც ვიცით, მედიცინის დოქტორის ხარისხის მქონე უოტსონი, ჯერ კიდევ ადრეულ წლებში მოგზაურობდა აღმოსავლეთ ქვეყნებში. ფრიად ვაღვივებული ჰქონდა ტურისტული ალლო და სრულიად დასაშვებია, რომ ჩვენს დროშიც, ჩვენთანაც, როცა ასე ვაღვივლებულია მოგზაურობა, საქართველოშიც შემოველო, გაცნობოდა მის ღირსშესანიშნაობებს და საპაერო ლაინერით დაბრუნებულიყო თავის მშობლიურ ინგლისში. ეს კიდევ იმით არის სავარაუდო, რომ უოტსონი, როგორც თავისი ქვეყნის ჰემშარიტი შვილი, სპორტით იქნებოდა გატაცებული და შემთხვევას არ გაუშვებდა ხელიდან, რომ არ დასწრებოდა... თუმცა ამაზე ქვემოთ.

მინდა, ისიც შეგახსენოთ, ეს კარგად იცით მკითხველებმა, თუ რაოდენ დახვეწილია კონან დოილის სტილი და ამ წერილში შეიძლება ზოგიერთმა ისეთმა რამემ გაიკვიროს, რა ყურსა და სმენას არც თუ სასიამოვნოდ მოხვდება. ეს იმიტომ, რომ სწორედ კონან დოილის ქურაში, ამ დიდი გემოვნების ადამიანისა და სტილისტის ხელში არ არის გავლილი ეს მოთხრობა. მართალია, უოტსონიც ინგლისელია, მაგრამ ამ მხრივ, როგორც ამ ჩანაწერიდან ჩანს, მას ხანდახან ცოტა ეშლება, ხანდახან მეტად ფამილარული ხდება, თუმცა უშუალოდ საქმის შინაარსთან მას არავითარი კავშირი არა აქვს.

მისტერ უოტსონის წერილი რადგან ხელში ჩამივარდა, მე უფლება არ მქონდა, იგი არ გადმომეჭარათულებინა და ჩვენი მკითხველისათვის არ გამეცნო.

მამ ასე, ვიწყებ ბატონ უოტსონის მოთხრობის გადმოცემას...

როგორც კი ჩემი მორიგი მოგზაურობიდან დავბრუნდი, მაშინვე ბეიკერსტრიტზე მდებარე ბინას მივაშურე, რომ დრო არ დამეკარგა და რაც შეიძლება, მალე



მივსალმებოდი ჩემს მეგობარ მისტერ შერლოკ ჰოლმსს.

ფართო, მაღალჭირიან ოთახში მხოლოდ შერლოკ ჰოლმსი აღმოჩნდა. იგი მაგიდაზე დახრილიყო და გატაცებით მუშაობდა.

— გამარჯობა, შერლოკ! — მივესალმე დიდი ხნის უნახავ* მეგობარს და მეგონა. ისიც ჩემსავით ვახარებული, ხელებს გაშლიდა და გულში ჩამიკრავდა. მაგრამ მონდა სრულიად საწინააღმდეგო, მას თავი არც კი აუწევია, ისე მიპასუხა:

— გაუმარჯოს! — ეს პასუხი ნამდვილად სამხრეთულია და თუ უფრო დავაკონკრეტებთ, ქართულს ჩამოვავს. რა თქმა უნდა, თავს უფლებას არ მივცემდი ჰოლმისათვის მეკითხა, ქართული მისალმებით რატომ მხვდები, ვანა ინგლისური ნაკლებია-მეთქი, მაგრამ იგი მუშაობდა და ხელი აღარ შეგუშალე ამ ჩემი ცნობისმოყვარეობით. — მან თავისი დაწყებული საქმე განაგრძო. ჰოლმსის ხასიათი რომ ვიცოდი, ეს ოდნავდაც არ მწყენია, აღარ გამოვეკიდე. ვიცოდი, ვიდრე დაწყებულ საქმეს ბოლომდე არ მიიყვანდა, მისი გადართვა სხვა საქმეზე ძალიან ძნელი იყო. მეტი რა გზა მქონდა, ჩუმად ბოლთის ცემას მოვეყვი ოთახში.

— როგორ ბრძანდებით? — როგორც იქნა მოიცალა ჩემთვის ჰოლმსმა და ხელი ძლიერად ჩამომართვა. — გეტყობათ საქართველოში ყოფილხართ.

მე მიჩვეული ვიყავი მისი გადასარევი ნიჭის გამოვლინებას ამა თუ იმ სფეროში, მაგრამ ახლა მაინც სახტად დავრჩი.

— ეს... საიდან... როგორ მიხვდით? — ვკითხე გაოცებულმა.

— უბრალოდ ღაკვირვების ამბავია, — მიპასუხა და თავისთვის ჩაიციხა. — ალბათ აფასებთ ჩემს აღმოჩენებს?

— ო... შერლოკ...

— კარგი, კარგი, გეთაყვა, თქვენი აღფრთოვანება სავესებით ვასაგებია ჩემთვის.

ამ დროს კი იმის ფიქრი არ მასვენებდა, თუ როგორ მიხვდა ჰოლმსი, რომ მე საქართველოში ვიყავი. ამის შესახებ ხომ სრულიად არავისთან არაფერი მიხსენებია. ეს ალბათ შემინიშნა ჩემმა მეგობარმა და განავრძო:

— უოტსონ, ხომ კარგად მოგეხსენება, რომ მე დაკვირვებებიდან დასკვნების გამოტანის მიღრეკილება მაქვს... თქვენ რომ ქიმერად გეჩვენებთ, მეტისმეტი ცხოვრებისეულია, იმდენად ცხოვრებისეული, რომ... ერთი სიტყვით მისი წყა-

ლობით მაქვს მოპოვებული პური ჩემი არსობისა.

— შერლოკ, თუ ძმა ხარ, მითხარი როგორ მიხვდი, მე რომ საქართველოში ვიყავი. ეს ხომ სრულიად ინკოგნიტოდ მოხდა?

— სრულიად! მართალი ხარ, ჩემო უოტსონ: როგორც იცი, ამ საქმეში კარგად გაწაფული ვარ და ცოტაოდენი ინტუიციაც გამაჩნია. ზოგჯერ უფრო რთული საქმეებიც მხვდება... იცით, საქმის გასაცნობად და ამოცანის გადასაწყვეტად სპეციალური ცოდნით ვსარგებლობ და ეს ძალიან მშველს მუშაობაში, მიმართებებს საქმეს. აი, შენ გაკვირვებული დარჩი, პირველსავე შეხვედრისას რომ შეგვიკითხე, საქართველოდან ჩამოხვედრომ-მეთქი.

— გამოვიტყუები, რომ ასეა.
— ჰმ... რა ხარ, ბიჭო, რა, — შერლოკმა მხარზე ხელი დამიტყაპუნა და განაგრძო:

— მისტერ უოტსონ, ადენი ხანია ჩემთან მუშაობ და კიდევ ვერ მიცნობ?... მე შენი კანის ფერი ხომ კარგად ვიცი, თეთრი, გაბუნტული სახე გაქვს საერთოდ. ახლა კი შავგვრემანი ხარ. ეს შენი კანის ბუნებრივი ფერი არ არის. აბა სად გაიტარუსებოდი ამ დროს ასე? ბუნებრივია საქართველოში, და ისიც შავი ზღვის სანაპიროზე, ბიჭვინთაში! ასეა ხომ?

— ასეა, მაგრამ... ასე უცებ დასკვნების გამოტანა...

— ო... უოტსონ, უოტსონ. შენ ხომ შენი მამხილებელი ფაქტი ხელში, თითებშია გაქვს გაჩხერილი, — და ჰოლმსმა სიგარეტზე მიმითითა — ჩემო მეგობარო, ხომ მოგხსენებდა, რომ მე თამბაქოს დიდი პატივისმცემელი ვარ, რამდენიმე ათეული ხარისხის სიგარას, სიგარეტს, პაპიროსს ფერფლითაც ვცნობ. მთელი ინგლისი რომ შემოიარო გულით რომ მოინდომო, თბილისის გამოშვებულ „კოსმოსს“ ვერ იშოვი. მაშ, აქედან რა დასკვნა უნდა გავაკეთოთ? — ის, რომ შენ თბილისშიც იყავი, იქ შეიძინე ეს სიგარეტი. ალბათ დაწლის ქვემოდახაც, ზედმეტ ფასშიც. მაგრამ ეს უმნიშვნელოა. კაცს რაც სწავლია, უნდა აისრულოს! და ამ დილით პირდაპირი რეისით ჩამოფრინდი ლონდონში. ისე, ჩემო უოტსონ, — ხმა შეიცვალა ჰოლმსმა: — ჩემთვის ხომ არ წამოვიღია რამდენიმე მავარკოლოფიანი „კოსმოსი“?

— ო, შერლოკ, ამაში დიდი გამოცანა არ გეკეთვნის, მე რომ შენი ხასიათი ვიცი, აბა „კოსმოსის“ გარეშე დაგტოვებდი? — და საკვირეოდან „კოსმოსის“ რამდენიმე შეკვრა ამოვალაგე. ჰოლმსს სახე გაეზადრა, ხელად დაბერტყა ახლად დატენილი ჩიბუხი და შიგ „კოსმოსის“ ერთი სიგარეტი ჩაფშვინა. მის ხელს რამდენიმე პატარა ჯირკვლა მოხვდა, თამბაქოდან გამოარჩია, მაგიდაზე დადო და აღშფოთებით შესძახა:

— ოჰ... კიდევ, კიდევ არიან წუნის მკეთებლები?! ასეთ თამბაქოს როგორ აფუჭებენ და უკარგავენ ხარისხს. ერთი ჩემს ხელში მოხვდებოდეს მათი საქმე და მერე მე ვიცი...

ჰოლმსი საკმაოდ აღშფოთებული ჩანდა და თავისი გულისწყრომა რომ ჩაეხშო, ოთახში ენერგიულად დაიწყო აქეთ-იქით სიარული.

მე შესმოდა მისი გულისწყრომის მიზეზი, ვიცი, რომ იგი განსაკუთრებით დიდ პატივს სცემდა ქართულ ნაწარმს, ვთქვათ თამბაქოს, კერამიკას, მხატვრობას. მაგრამ ჩემს გულს ერთი კითხვა აფორიაქებდა: საიდან იცოდა, რომ სწორედ ამ დილით გამოვფრინდი თბილისიდან...

რაც მართალია, მართალია, ცნობისმოყვარეობა მწვავედა და თავი ვერ შევიკავე, შევეკითხე:

— შერლოკ! კარგი, მიჩუქნია შენთვის გორის ციხე. ჯერჯერობით ყველაფერი გამოიციანი. მაგრამ ის მაინც მითხარი, როგორ მიხვდი, რომ თბილისიდან მაინც და მაინც დღეს დილით გამოვფრინდი?

შერლოკ ჰოლმსმა უჩვეულოდ გადაიხარხარა, ჩაჯდა თავის სავარძელში და სიცილი კარგა ხანს არ შეუწყვეტია. მე გახევებული ვიდექი და თვალუბრაყვეტილი მივჩერებოდი ჩემს მეგობარს. და ეჭვი უკვე აღარ მეპარებოდა, რომ ჰქუაზე შეცდა. მერე, როცა გული იჯერა სიცილით, თვალები გაქათქათებული ხელსახოცით ამოიმშრალა და მითხრა:

— არა, უოტსონ, არა! მე შენს თვალბეში ვკითხულობ იმას, რომ შეშლილად მთვლი. არა, გეთყავა, არა, სრულ ჰქუაზე ვარ, ან გორის ციხეს ვინ გაგაჩუქებინებს. მაგრამ სუნი, სუნი, ჩემო უოტსონ.

— სუნი, რა სუნი? — მე დაკვირვებით დავყნოსე ჰაერს, მაგრამ უჩვეულო არაფერი შემიმჩნევია.

— სუნი, ბიჭო, რომელიც შენიდან ჩემკენ მოდებრავს!

— კარგი, რა, თუ ძმა ხარ, რა სუნზე მელაპარაკები?

— ნივრის სუნზე, ბიჭო, ნივრისა. ხაში გიჭამია დილაუთენია და აბა, ამას რა დიდი გამოცნობა უნდა, რომ ხაშს დიდი საპაერო სადგურის მქონე ქალაქში სად ჰამიდი, თუ არა თბილისში.

მე დამარცხებული ვიყავი.

— კარგი, კარგი, ნუ კი ვაფხუკიანდები, ბიჭო. ადრე ერთხელ მომიწია ტურისტად ყოფნა თბილისში. მეც მქონდა პატივი, მეგება ეს კერძი. მაშინ კარგ ხაშს ავეთებდნენ ერეკლეს აბანოებთან, სამადლოში, ნაძალადევში, რესტორან „ვარძიაში“, სარდაფშია მგონი. ამ რესტორანს „ლეწესაც“ ეძახდნენ. ოხ, რა ვისკები, მოიცა ვისკები კი არა, „ჰაჰა“ დავაყოლეთ პურჩაბუბუბუებულ ხაშს. ჰო, მართლა, ახლა როგორაა, კიდევ კარგ ხაშს ამზადებენ? ან თუ ცხვება სადმე ლავაში პური, ო... მისი გემო არასოდეს დამავიწყდება.

— ისე, რა, ყველგან არ ვყოფილვარ. ხაში კი ამ დილით ჰაი, ჰაი, რომ მომეწონა.

— ჩემო უოტსონ, საქმე ნიჭი და დაკვირვება, თორემ მე უფრო მეტს გეტყვი შენი მოგზაურობის შესახებ, ვიდრე თვითონ მომიყვები. ნიჭიერები ვართ, ბიჭო, ნიჭიერები! ამას კი ისე გეუბნები, როგორც იქ, იმ დალოცვილ საქართველოში ეუბნებიან ერთმანეთს.

— აბა, რა უნდა მომიყვი?

— შენ, ჩემო უოტსონ, თბილისში ფეხბურთსაც დაესწარი!

ეს კი მეტისმეტია! როგორ უნდა გამოეცნო ჰოლმსს, რომ მე ფეხბურთის მატჩს დავესწარი?! — ყოვლად წარმოუდგენელი იყო ჩემთვის. ამის კითხვა აღარ დამჭირებია ჩემი მეგობრისათვის, რომ მისი ნათქვამით გაოცებულმა თვალები გადმოკვარკვლე და მისთვის ყველაფერი გასაგები გახდა.

— მისმინე და ნუ გაოცდები. ბოლოს და ბოლოს შეგეუე იმას, რომ ჩემთვის დაფარული არაფერი არის ამქვეყნად! — ჰოლმსმა თავისი ჩვეული ლოგიკური მსჯელობით განაგრძო:

— მე შენი დაუდევრობის ამბავი რომ ვიცი, აბა, შარვალი საჯდომზე ისე სად

უნდა მოგეთვარა თეთრსაღებავიანო მტვრით, თუ არა თბილისის...
სანიშნავ სტადიონზე. სტადიონზე...
არ არის, სავარძელში რომ ჩამოხანებულყავი. ეს დასკვნა კი აი საიდან გამოძიანარეობს: შენ, როგორც ჰეშმარიტ ინგლისელს, თავისუფალი დრო სად უნდა მოგეკლა, თუ არა ფეხბურთზე, მით უმეტეს, რომ მატჩი შენი წამოსვლის წინა დღეს გაიმართა. მე დიდი ხანია თვალყურს ვადევნებ მსოფლიოში საუფეთესო გუნდების ტურნირს და დღემდე დაუსწრებლად თბილისის „დინამოს“ გულშემატკივარიც ვარ. პაიჭაძე, ჯეჯელავა, შავგულიძე, ლოლობერიძე, მარტოხიძე, ჰუკუსელი, მესხი, მეტრეველი, იამანიძე, ბარჭაია, დარასელია... ნუთუ არაფერი გეუბნება ამ გრანდების გვარები, ჩემო მეგობარო. ჩვენ ჰეშმარიტი ინგლისელები ვართ და შეიძლება არაპატრიოტული იყოს ჩვენი განწყობა, მაგრამ არ აღფრთოვანდით განამაშინ, როცა ვუკაცურ ბრძოლაში, ჩვენებურ, თითქოს ჩვენთვის განგებ შემოთავაზებულ ამინდში, რომელიც ღვთის შემწევობით თბილისში შეიქმნა, ჩვენმა სათაყვანებელმა გუნდმა ლივერპულსიამ, ფარხმალი არ დაჰყარა? ახლა დიუსერლორფს არ იტყვი?... ო... ეს იყო დიდებული, ჰეშმარიტად დიდებული სანახაობა... და თასიც მტკვრის ნაპირებზე რომ წარიღეს. ო... დინამოელებო თბილისისანო... აბა, სად უნდა დაგმართოდა ეს? მერედა, ახლო მეგობარი არავინ გყავდა, რომ შეემჩნია მით უმეტეს, მატჩი ძალიან გვიან დამთავრდა, ხოლო დილაადრიან კი ბრიტანეთს მოაშურე. სწორედ ეს არის მიზეზი ყოველივე ამისა.

— ვაშა, ვაშა, შერლოკ ჰოლმს! შენ მართლაც გენიოსი ხარ! მე ვამაყობ შენი მეგობრობით!

— ეჰ, ჩემო ბიჭო, ყველაფერს დაფასება უნდა! — ჰოლმსმა მადიანად გააბოლა თბილისური თამბაქო და სრულიად უჩვეულო როლში მომევილინა: იგი წყალჩამდგარი თვალებით შემევიტინა: — როგორ, უოტსონ, მართლა ასე უჭირთ თბილისელ დინამოელებს თავიანთი ქვეყნის პირველობაზე ოფიციალურ მატჩებში? ან ახლა რას აპირებენ?

მე თანხმობის ნიშნად თავი ჩავქინდრე. არ მსურდა, გული მომეკლა ჩემი მეგობრისათვის ახსნა-განმარტებებით. იგი მომინახლოვდა, ხელი გამომიწოდა და მითხრა:

— გმადლობთ უოტსონ, გმადლობთ, თანაგრძნობისათვის!.. ჩემო მეგობარო, თბილისის „დინამოს“ ახლა ძალიან უჭირს, უჭირს ისე, როგორც არასდროს. კრიზისმა უმალღეს წერტილს მიადწია... „ყოფნა, არ ყოფნა, საკითხავი აი ეს არის“, მაგრამ... მაგრამ მე სულ სხვა რამ მაწუხებს: დღეს, თბილისის „დინამო“ იქნება უმალღეს ლიგაში თუ უფრო ქვევით, ჩვენთვის, საზღვარგარეთელებისათვის, ამას თითქოს დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. მე უფრო სიღრმეში მსურს ჩაგახედო: ევროპამ დაკარგა ქართული ფეხბურთის ფენომენი. და თუ უფრო გავალრმავევთ ამ მოსაზრებას, მაშინ ასე ვიტყვი: რასაც ევროპა კარგავს, იმას უშეღავათოდ კარგავს მსოფლიო.

ქართული ფეხბურთი არასოდეს აირეოდა სხვათა ფეხბურთში. ე.ჰ, თქვენ, მისტერ უოტსონ, ვაგიგონიათ, ალბათ, ასეთი სახელი და გვარია... რადგან ფეხბურთის გულშემატკივარდ თვლით თავს და უცოდინარობა არ გეპატიებათ: მისტერ ანდრო

ქორდანია?... საღლა არიან მისთანანი... აი, რატომ მისჭირდა საქმეს... ო... რა ოსტატი იყო, რა ნიჭი, რა ტალანტი...

ჰოლმსი ფანჯარაში იხედებოდა.
— ისე კი დიდი ორიგინალურები არიან ეს ქართველები, ყველასგან გამოსარჩევები. — იგი კვლავ ფანჯარაში იხედებოდა. მერე მყის შემობრუნდა და თითქოს აზრი დააბოლოვა: — ორიგინალურობა უყვართ ქართველებს, და სწორედ აქედან გამომდინარეობს ის, რომ არასოდეს ამერევიან ისინი სხვებში.

მე ჰოლმსის ნათქვამიდან ვერაფერი ვავიგე და შევეკითხე:

— ორიგინალურობა აქ რა შუაშია?

— როგორ, რა შუაშია! შუაში კი არა, პირდაპირ ორიგინალურობის ბრალია. ანალიზი საჭირო, და გაანალიზებით, გონივრული გაანალიზებით გამოტანილი დასკვნა, სრულ ჭეშმარიტებამდე მიგვიყვანს.

— აბა, სცადეთ და ამიხსენით.

— კარგი, ვეცდები: მოგეხსენება, ჩემო უოტსონ რომ თბილისის „დინამო“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში 1936 წლიდან მონაწილეობს. აქედან დაწყებული გუნდს სატურნირო ცხრილში არასოდეს ჰქონია აუტსაიდერის დამლა მიკერებული. თუ რომელიმე ადგილი გამორჩათ უაუტსაიდერებოდ, ამას გადაწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. ჰო-და, ალბათ, ალბათ, ვამბობ თორემ ისე ეს სიტყვა სრულიად ზედმეტი მეჩვენება, წაორიგინალურობა სურთ.

— მე, ჩემო შერლოკ, ამაში ვერავითარ ორიგინალურობას ვერ ვხედავ.

— საქმეც ის არის, რომ ვერც შენ და ვერც ბევრი სხვა, საქმის სპეციალისტი იქ, თბილისში, ამას დრომდე ვერ ამჩნევდნენ. მე კი საქმეში საფუძვლიანად ვარ ჩახედული და, ესეც არ იყოს, ვენდობი ჩემს ინტუიციას. ეს არ არის უბრალო დასკვნა: გუნდი, რომელიც ასეთ მაჩვენებელს აღწევს ქვეყნის პირველობაზე, არ უნდა გამოეკიდოს ორიგინალურ სვლებს. მათ ერთი სვლა აქვთ გასაკეთებელი და ეს სვლა პირველი ადგილისათვის უნდა იყოს გამიზნული. სხვა უფლება მათ არ გააჩნიათ, მერედა რა მაყურებელი ჰყავს...

— ისე კაცმა რომ თქვას ჩემი მეგობრის მოსაზრება ჭკუასთან ახლოს იდგა.

დიდი ხანია ჩემი მეგობარი ისე აღელვებული აღარ მინახავს და ამ აღელვებამ დამარწმუნა, თუ როგორ სიმპათიით იყო გამსჭვალული იგი ქართული ფეხბურთისადმი, სადაც თამაშობდნენ ერთ დროს გრანდები — მისტერ პაიჭაძე, მისტერ ბერძენიშვილი, მისტერ გაგუა, მისტერ ანთაძე, მისტერ ლოლობერიძე, მისტერ იამანიძე, მისტერ ჩოხელი, მისტერ ბარჭაია, მისტერ მეტრეველი, მისტერ მესხი, მის-



ტერ ხურცილავა, მისტერ დარასელია და ბევრი სხვა. ვამახსენდა ისიც, თუ საბჭოთა კავშირის ნაკრებს როგორ ამშვენებდა ორი ქართული ფრთა, რომლებიც მძლავრად უტევდნენ მეტოქეთა გოლკიპერებს...
ჰოლმსი ფანჯარას არ ცილდებოდა. უცებ, ჩემკენ შემობრუნდა და მითხრა:
— უოტსონ, აქ მოდიო! — მან მოპირდაპირე ტროტუარზე მომავალი კაცი დამანახა, — მოემზადე, ჩვენთან მოდის.

საქართველოდან უნდა იყოს. ისე სტუმართმოყვრულად დავხვდეთ, როგორც მათ იციან მასპინძლობა, არ შევარცხვინოთ ალბონის ქვეყანა.
ამის თქმა ვერც კი მოასწრო, რომ კაცმა, რომელიც მან მიჩვენა, ჩვენი სახლის ნომერი წაიკითხა და მაშინვე ქუჩა გადმოსჭრა და სულ მალე ზარის ხმაძალი წკრიალიც მოგვესმა. ამას მოჰყვა ხმაძალი ლაპარაკი შემოსასვლელ კართან.

კარზე დააკაჟუნეს.

— შემოდით! — გასძახა ჰოლმსმა.

კარებში სანდომიანი, სამხრეთული გარეგნობის ახალგაზრდა აისკეტა.

— მისტერ ჰოლმს! — მომართა ახალ-მოსულმა დახვეწილი, მშვენიერი ინგლისურით, თუმც რამდენადმე სამხრეთული აქცენტით. ეტყობოდა, ახალმოსულს შეეშალა ჩემი და ჰოლმსის პიროვნება და მე ჰოლმსისაკენ მივუთითე.

— მაპატიეთ, მისტერ ჰოლმს! — ახალგაზრდას სახე წამოუწითლდა. — ბარათია თქვენს სახელზე საქართველოდან, პირადად გაახელთ. — ჰოლმსი სახემომიძინარი ვაემართა ჭაბუკისაკენ, ხელი ჩამოართვა და ჩემი წარღვევა დააპირა, მაგრამ მოსულმა დაასწრო.

— ო, ეს უთუოდ მისტერ უოტსონი! მონარული ვარ, ბატონებო, თქვენი ნახვის და გაცნობისა. თქვენზე იმდენი რამ წამიკითხავს... პირდაპირ ჩემი თავისათვის ვერ მიპატიებია, რომ მაშინვე ვერ გიცანით. — ჭაბუკს გულწრფელი სინანული დაემჩნა სახეზე.

— არა უშავს რა, მისტერ...

— ო, მაპატიეთ, ქართველიშვილი! — გაგვაცნო თავი ახალმოსულმა.

— არა უშავს რა, მისტერ ქართველიშვილი! — ანუგეშა ჰოლმსმა და ხელი გაუწყოლა. — აბა მომეცით რას მთხოვენ ქართველი მეგობრები?

ჰოლმსმა პაკეტი გახსნა და ერთი თვალის გადავლებით წაიკითხა. მერე მე გადმომცა და მითხრა: — წაიკითხე, მისტერ უოტსონ, წაიკითხე და მიჩიეთ, როგორ მოვიქცე. ასეთ გამოუვლად მდგომარეობაში მე თვით „ბასკივილების ძაღლის“, „მოცეკვავე კაცუნების“, „ექვსი ნაპოლეონის“, „ულალთმიანთა კავშირის“, „ყვითელი სახისა“ და სხვათა საქმეთა გამოძიების დროსაც არა ვყოფილვარ.

ბარათი გამოვართვი ჰოლმსს. წერილი საკმაოდ მოკლე იყო, მაგრამ ბევრის მეტყველი. საქმის არსს სულ მოლიანად გამოხატავდა. აი, ისიც,

...„მისტერ ჰოლმს, გვაპატიეთ, რომ ასე შორიდან გაუწხებთ, მაგრამ თქვენმა ავტორიტეტმა გავგებდინა, მოგვემართა თქვენთვის და დახმარება გვეთხოვა. დავკარგეთ თუ წავგართვეს ყველაფერი, რაც კი გავაჩნდა, სახელი, ავტორიტეტი, ტიტული, სულ მოულოდნელად გაქრა ყველაფერი. ახლა კი კატასტროფის წინაშე ვდგავართ. ვთხოვთ, გვაპოვნინოთ ყველაფერი ის, რაც მთელი უფლებით ჩვენ გვეკუთვნოდა. ვეძებთ და ვერ ვპოულობთ. ველით თქვენს შემწეობას.“

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები.
წინდაწინ ბოდიშს გიხდით იმ გარჯისათვის, რასაც თქვენ გასწევთ“.

ასეთი გრძობა ჩემი მეგობრის მიმართ არასოდეს გამჩენია. მივხვდი, რომ ამ საქმეში უმწეო იყო. იგი ღელავდა. ღელავდა არა როგორც მარტო ავტორიტეტი და თავისი საქმის დიდი მცოდნე, არამედ, როგორც ამ სახელოვანი გუნდის ჭეშმარიტი გულშემმატიკვარი.

ოთახში სიჩუმემ დაისადგურა. მერე ჰოლმსი მე მომიტრიალდა და მთხოვა, კარადიდან ვისკი გადმომეღო. ჭიქები შევავსეთ, ერთმანეთს მივუჭახუნეთ სამივემ. ვუსურვეთ მიზნების განხორციელება და გადავკარით. უცებ ჰოლმსს სახე გაუბრწყინდა. მივხვდი, რომ მისი გონების მანქანა მთელი ძალით ამუშავდა და გამოსავალს მიაგნო.

— მისტერ ქართველიშვილი, მაპატიეთ! მისტერ უოტსონ, თუ არ დაგეზარებათ,

მიუჯექით საბეჭდ მანქანას და საქმეს შეუდევით. მე არ დამიხანებია და უსიტყვოდ შევასრულე მეგობრის თხოვნა.

— აბა დაიწყეთ! — მითხრა ჰოლმსმა და მეც ავაკაჟუნე მანქანა.

— „ძვირფასო თბილისის დინამოელებო! თქვენმა წერილმა ორგვარი გრძობა აგვიშალა მე და ჩემს მეგობარს, — მისტერ უოტსონს. პირველი იყო სიხარულისა და სიამოვნისა იმიტომ, რომ, თურმე, გვიცნობთ და ვგაფასებთ მანდ, შორეულ, მზიურ საქართველოში; მეორე კი იყო სინანულისა იმის გამო, რომ, თურმე, ისე გიჭირთ, საქმის მოსაგვარებლად ამ სიმორბეზე გზავნით კაცს. ჩვენ არავითარი რჩევის მოცემა არ შეგვიძლია, გარდა ერთისა: ძალა თქვენშია, თქვენშივე იპოვეთ ის, მოუარეთ და, როცა მას იპოვნით, ყველანი ქედს მოიხრიან თქვენი სიჩაუქის წინაშე. გავკადნიერდები და შეგახსენებთ თქვენი დიდი მგოსნის, ჩვენი საყვარელი შოთა რუსთაველის სიტყვებს „ჭირსა შიგან გამაგრება, ისე უნდა ვით ქვეითკისაო“, აბა, თქვენ იცით, ბიჭებო. იყავით ავთანდილები, ტარიელები და ყველაფერს იპოვით.“

ჩემდათვად, ბატონო დინამოელებო, ჩემო შვილებო, ერთსა გპირდებით. მთელ ჩემს ენერგიას არ დავიშურებ და ვცეცდები, მსოფლიო სამსჯავროზე გამოვიყვანო ის არაობიექტური მსაჯები, რომლებიც თქვენს წინსვლას ხელს შეუშლიან. სამაგიეროდ, ერთ პირობას თქვენც ჩამოვართმევთ: მეტოქის მიერ ვატანილმა ვოლმა გული არ გაგიტეხოთ, თუ ერთ გოგს გაიტანენ თქვენს კარში, ორი თუასუხეთ და მეტი მოგეხსიან არ უნდა. ენდეთ ჩემს დაკვირვებას და ანალიზის უნარს, ჩემს ინტუიციას. ოლონდ მეგობრებს შორის შუღლი და შური ნუ ჩამოვარდება და აუღლებელი არაფერია. ისე ფეხბურთის დიდ მართონზე წაფორხილებისაც არ უნდა შეგაოხნდეთ, გული არ უნდა გაიტეხოთ. ძალიან ვართ საქმეებით დაკავებული. ხომ იცით, ჩვენი ხელობის ადამიანებს როგორ გვიჭირებს საქმეს დროის უკმარისობა. თორემ ავიკრავ ვუდა-ნაბადს და სულ თქვენთან ერთად მოვივლი ყველა სტადიონს. ვნახოთ, ვინ გაბედავს თქვენი თამაშისა და ჩემი გრძობების შეურაცხყოფას. ჩვენ ყოველთვის გვინდა, თქვენი ქვეყნის თასი თქვენს ხელში ვნახოთ, ოქროს მედლებიც... და ყველა ამისათვის, იცით, რა არის საჭირო: მთელი ოთხმოცდაათი წუთი ითამაშეთ შემართებით, აღმაფრენით, ლალად... მეტოქეს შეუტეით, დაახინეთ, დალაღეთ, არაქაი გამოაცალეთ და თქვენს ხელში უმაღლესი ჯილდოც მოექცევა.

აი, ეს მინდა შეგატყობინოთ. წინ, თქვენი წინაპართა გაშლილი დროში! იმედის ცეცხლი ჩაინთეთ გულში, ყურებს ნუ ჩამოჰყრით, თქვენთან ვართ, თქვენთან. აბა სად მოიძებნება ასეთი სტრიქონები: ჭირსა შიგან გამაგრებაო... ქვეითკირის კედელი აღმართეთ თქვენი კარის წინ, ქვეითკირისა... აბა ჰე...
თქვენი ჰოლმსი“.

მეგონა შერლოკ ჰოლმსი ვერ გაიგებდა და იმ წერილს კიდევ ერთი სტრიქონი მივაბეჭდე:

„თქვენი უოტსონი“.

ჰოლმსმა ჩაიციხა, თავი დამიკრა და ლიმლითვე მითხრა:

— დიან, ეგ გვარიც აუცილებელია მიწვევროს პასუხს.

განა არ უნდა მცოდნოდა, რომ ჩემს მეგობარს ვერაფერს გამოუჭერდა?

— მაშ ასე, მისტერ ქართველიშვილი! — მიმართა ქართველ სტუმარს ჰოლმსმა და წერილი გაუწოდა. — გადაეცით, დაუყოვნებლივ გადაეცით თბილისის დინამოელებს. მეტის რჩევა ჩვენ არ შეგვიძლია.

მისტერ ქართველიშვილმა ორივეს მაგრად ჩამოგვართვა ხელი და კარებისაკენ გასწია. ის იყო გასვლას აპირებდა, რომ ჰოლმსმა შეაჩერა და ჰკითხა:

— მისტერ ქართველიშვილი, ისე თქვენში აჯიკას თუ კიდევ აზნადებენ. ო... დიდებული რამ არის, დიდებული, ერთხელ თქვენბური აჯიკა დავიგემოვნე და ახლაც კი სასიამოვნოდ მშუშხავს მისი გახსენება პირს.

— მისტერ ჰოლმს, მისტერ უოტსონ, ოლონდ თბილისის „დინამო“ კვლავ დარჩეს უმაღლეს ლიგაში... ოლონდ თქვენი სურვილები განხორციელდეს და თქვენ გიხილავდეთ ჩვენს თბილისში. ისეთ აჯიკასა და პურ-მარილს გაჭმევთ, რომ მთელი თქვენი სიცოცხლე ვერ დაივიწყეთ. მისტერ ჰოლმს, მისტერ უოტსონ, მალე შეხვედრამდე, იქ, ჩვენთან! — მისტერ ქართველიშვილმა თავი სხარტად დაგვიკრა, მარჯვენა ხელი მეკრდთან მიიტანა და ეს წუთით მოვლენილი ახალგაზრდა გაუჩინარდა.

— ნახვამდის, ჩემო ბიჭუნავ! — მიამახა ჩემმა მეგობარმა.

ჩვენი ამდენი ხნის ერთად მოღვაწეობის მანძილზე, პირველად შევნიშნე ამ ფენომენს, ამ ქვის გულის პატრონს, როგორ აუკანკალდა ხმა.

უხმოდ ჩავეშვით სავარძლებში. იმ დღეს საქმე არაფერი ვგქონდა და „კოსმოსის“ გამოვლებით ვირთობდით თავს. მერე მე ვვლარ მოვითმინე და ჰოლმსს შევეკითხე:

— შერლოკ, ყველაფერი კარგი, მაგრამ იმას როგორღა მიხვდი, რომ ის ახალგაზრდა ქართველი იქნებოდა და აუცილებლად ჩვენთან მომავალი.

შერლოკ ჰოლმსმა ერთი ჩაიციხა და მერე მომიგო:

— ჩემო უოტსონ, შენ ბევრ ქვეყანაში ყოფილხარ და აბა მითხარი, თუ სადმე დადიან ისე წელგამართული, როგორც იმ დალოცვილ საქართველოში, ოჰ... როგორ მენატრება იქ ჩასვლა. ესეც არ იყოს, ინტუიციას, ანალიზი, ჩემო მეგობარო, და კიდევ ის, რომ დღეს ამდენი ვილაპარაკეთ საქართველოზე და არ შეიძლებოდა, ქართველი არ გვეხილა. ეს აზრი კი მისმა ქუდმა განმიმტკიცა. იცი, ჩემო მეგობარო, რომ ქვეყნად ბევრნაირი თავსაბურავია. მე დიდი კოლექცია მაქვს მათი. ჩემს კოლექციაში ქართულ ქუდებსაც იპოვით: ერთს სვანურს ეძახიან, მეორეს თუშურს, არის ფაფანაიცი და არის ყაბალახიც... მათ ერთად კი ნამუსის ქუდსაც უხმობენ და სწორედ ერთ-ერთი ნამუსის ქუდი — სვანური ქუდი ეხურა მისტერ ქართველიშვილს. ქართველები კი ნამუსის ქუდს არასოდეს იშორებენ... იმ ნახევრად ოვა-ქართველობაზე. მათნაირად ეს ქუდი არავის არ უხდება. ო... რომ იცოდეთ, რა ლელო ბურთი იციან...

ჰოლმსმა თვალები მილულა და ფიქრებში ჩაეფლო. ვინ იცის, სად დაპქროდა ამ უმრეტო ენერგიის მქონე კაცის გონება.



XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე გამოჩნდა დიდი რუსი კომპოზიტორის, მუსიკოსის, პედაგოგის, მეცნიერის — სერგი ივანეს ძე ტანეევის ტიტანური ფიგურა, რომლის მთელი ცხოვრება და შემოქმედება სიმღერისა და სიმღერის უებრო მაგალითია. 1880 წლის აგვისტოს ს. ტანეევი წერდა პ. ჩაიკოვსკის: „ვერობაში მუსიკა დაწერილმანდა. აღარაფერია ადამიანის უმაღლესი მისწრაფებების შესატყვისი. ჩვენ, ცივილიზაციის უკანასკნელი წარმომადგენლები, ევროპული მუსიკის მოძრაობის გარეთ ვიმყოფებით და არ უნდა დავგავიწყდეს, რომ მტკიცეა მხოლოდ ის, რასაც თავისი ფესვები ხალხში გაუდგამს... ეს უნდა გვესმოდეს!“.

და თავისი სიტყვების დასადასტურებლად, იგი 1885 წლის ზაფხულს მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორთან, ცნობილი ისტორიკოსთან და იურისტთან, მ. კოვალევისკისთან და იმავე უნივერსიტეტის პროფესორთან, ეკონომისტ ი. ივანიუკოვთან ერთად, ცხენებით გაემგზავრა სვანეთის მეტად საინტერესო სამეცნიერო ექსპედიციაში. ამ მოგზაურობის მიზანი იყო იმ დროისათვის ნაკლებად ცნობილი საქართველოს კუთხის — სვანეთისა და მისი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების, ზნე-ჩვეულებების, მუსიკალური ფოლკლორის შესწავლა.

მოგზაურებმა მოიმარაგეს თბილი საცვლები, ქურთუკები, ნაბღები, ჭაობის ჩექმები, ორცხობილა, ჩაი, შაქარი, მელიქამენტები და გამცილებელთა თანხლებით 20 ივლისს გაუდგნენ გზას.

ძლივდნენ დათოვლილ უღელტეხილებს, ხშირ ტყეებს, გაუვალ ხეობებს, მაგრამ მოგზაურობის ყველა სიძნელეს ინახლადურებდნენ კავკასიის გრანდიოზული ბუნების სიმშვენიერის ხილვით.

„...თვალწინ წარმოგვიდგა ისეთი ფართო, არაჩვეულებრივი და რთული პანორამა, რომ პირდაპირ მოგვაჯადოვა. ჩვენს თვალწინ, მთის კალთებზე, ღრმა ქვაბულში მიმოფანტულია სოფელი — ციხესიმაგრეები, ასობით კოშკი, ოქროსავით გაბრწყინებული მოზაიკური ხალიჩა... გაბნეული ჭალებითა და მინდვრებით. ქვაბულების ქვევით მოჩანს საშინელი უფსკრულები, სადაც მიიკლავნებიან მდინარეები. ზევით, ალპური საძოვრების მიღმა, გადაშლილან ტყეები, და ყოველივე ამას გარს არტყა ყიზილის გიგანტური რკალი, საიდანაც ცაში აწვდილან კავკასიონის უმაღლესი მწვერვალები. ყველაფერი ბრწყინავდა მზით და ელვარებდა ათასფერად. დიახ, სვანეთი ღირდა ამდენი წვლების ფასად!...“

ეს, ალბათ, სვანეთის პირველი, ყველაზე პოეტური და საუკეთესო აღწერაა რუ-

სულ ენაზე. და იგი არ ეკუთვნის პოეტის კალამს.

უფრო გვიან, 1891 წლის 21 ივლისს, ს. ტანეევი წერს პ. ჩაიკოვსკის, რომ „კურორტები, ქალაქები და საქართველოს სამხედრო გზაც კი ვერ გვაცნობს ბუნების იმ მშვენიერებას, რომელიც გვხვდება ქვეყნის სიღრმეში“.

თბილისში ს. ტანეევი გაიტაცა ხალხურმა მუსიკამ. როგორც თვითონ წერს, იგი გაეცნო ერთ-ერთ მუსიკოსს. ისმენდა მის სიმღერებს, ინტერესით ესაუბრებოდა, ალტაცებული იყო სიმღერის შესრულებით.

ს. ტანეევი თბილისიდან მიხაილოვსაკენ (ხაშური) გაემგზავრა, შემდეგ ბორჯომი, ახალციხე, აბასთუმანი მოიარა და ყველგან არა თუ ალტაცებული იყო ბუნებით, რომელსაც საოცრად და დეტალურად აღწერს თავის წერილებში, არამედ სწავლობდა კიდევ ადგილობრივ მუსიკას, ზნე-ჩვეულებებს, ადათ-წესებს.

საქართველო და, უწინარეს ყოვლისა, სვანეთი, ვანდა კომპოზიტორი ს. ტანეევის შემოქმედებითი მოღვაწეობის მწვერვალი. სვანეთში ყოფნის დროს სამივე მოგზაური იმას სწავლობდა, რაც დაკავშირებული იყო მის პროფესიასთან. მ. კოვალევისკის აინტერესებდა სვანთა ცხოვრება და ზნე-ჩვეულებები: მათი ოჯახური და სამართლებრივი ურთიერთობანი. ი. ივანიუკოვმა გამოიკვლია საზოგადოებრივი ყოფის პირობები. ს. ტანეევს კი აინტერესებდა მუსიკა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ მიერ დაწერილი ნარკვევი „ილბუზის მთის ძირას“, ისევე როგორც, მეორე ნარკვევი „სვანეთში“, გამოქვეყნდა უზრუნველში „ვესტნიკ ევროპი“ (1886 წ.). და მათში მოცემული იყო მ. კოვალევისკის პირველი ცნობები კავკასიელ ხალხთა ოჯახურ და სამართლებრივ ურთიერთობებზე, რომელიც შემდეგ გამოიყენა ფ. ენგელსმა თავის ნაშრომში — „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“.

ს. ტანეევმა ჩაიწერა მთელი სვანების (საერთოდ, კომპოზიტორთაგან პირველმა) 20 ძველებური ხალხური სიმღერა და საცეკვაო მელიქა. ჩაიხატა და შეადგინა ქართული ხალხური მუსიკალური საკრავების ნუსხა, ზოგიერთი მათგანი, მათ შორის ლარქემი, თან წაიღო.

ადგილობრივი სვანი მოსახლენი დიდი ცნობისმოყვარეობით უყურებდნენ, თუ როგორ ხატავდა რუსი კაცი ქალღმერთ რადაც ნიშნებს. შემდეგ, ცნობისმოყვარეობა იცვლებოდა უკვე ალტაცებით, როცა ტანეევი ნოტების შემწეობით ღიღინებდა მათ მიერ ნაძღერ, ან დაკრულ სვანურ პანგს.

ქართული ხალხური მუსიკის შესწავლის სურვილი ს. ტანეევს გაცილებით ადრე გასჩენია. კომპოზიტორი მ. მ. იპოლიტოვი-ივანოვი იხსენებდა, თუ როგორ დაწერა მან ს. ი. ტანეევის დაუინებით სტატია ქართული ხალხური სიმღერისა და მისი თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. კონსერვატორიაში ს. ტანეევის საყვარელი მოწაფეები იყვნენ ა. სკრიაბინი, ს. რახმანინოვი, ს. ლიაპუნოვი, რ. გლი-

ერი, ა. გოლდენვეიზერი, ა. ალექსანდროვი, კ. ივუშნოვი. ისინი შემდეგ ცნობილი კომპოზიტორები და მუსიკოსები გახდნენ. მათ შორის იყო ზაქარია ფალიაშვილიც, მასთან კომპოზიციასა და დირიჟორობას რომ სწავლობდა 1900-1908 წლებში.

ხელთა. გვაქვს ზ. ფალიაშვილის მიერ ს. ტანეევისადმი მიწერილი წერილების უნიკალური ეგზემპლარები. მათი დენებში ინახება ქალაქ კლინის პ. ჩაიკოვსკის მუზეუმში, სადაც ერთი ოთახი სპეციალურად დათმობილი აქვს ტანეევის მიწერმოწერას. ზ. ფალიაშვილი ალტაცებული იყო თავისი მასწავლებლის შემოქმედებით. ერთ-ერთ წერილში იგი ატყობინებდა ს. ტანეევს: „ვიშოვე თქვენი კანტატის „ივანე დამასკელის“ პარტიტურა, რითაც კიდევ უფრო ალტაცებული ვარ, ვიდრე შარშან, ზამთარში, საფილარმონიო საზოგადოების შესრულებით... უგენიალურესი ფიგურაა, რომელიც მაგალითი უნდა იყოს ყველასთვის, ვისაც სურს, შეისწავლოს, თუ როგორ უნდა დაიწეროს ფუგა“.

ზ. ფალიაშვილი მაღლობას უზღიდა ს. ტანეევს ბრწყინვალე საკომპოზიტორო ტექნიკისათვის, რომელიც მისგან გადაიღო და, აგრეთვე, მკაცრი შემოქმედებითი დისციპლინისა და ორგანიზებულობისათვის.

ს. ტანეევს დიდი მეგობრობა აკავშირებდა კომპოზიტორ დ. არაყიშვილთან. 1906 წელს მოწინავე მუსიკოსთა ჯგუფმა საფუძველი ჩაუყარა სახალხო კონსერვატორიას (მოსკოვის ხალხურ საკრავთა საზოგადოებასთან). ს. ტანეევი ამ სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულების ერთ-ერთი ინიციატორი და პედაგოგი გახდა. სწორედ მისი წინადადებით აირჩიეს საზოგადოების წევრად დ. არაყიშვილიც.

ს. ტანეევი ახლო ურთიერთობაში იყო ქართველი საზოგადო მოღვაწეთა ოჯახებთან (მაგალითად, ალექსანდრე ალექსანდრეს ძე და ანა ალექსანდრეს ასული ფანჩულიძეები). მათ უძღვნა საკუთარი ხელით წარწერილი თავისი ზოგიერთი ნაწარმოები: დუეტი სოპრანოსა და ალტისათვის ფორტეპიანოს თანხლებით „გაზაფხულის მოახლოება“ („ცაში სიწყნარეა“) — ა. უუკოვსკის სიტყვებზე; „ნაძვი“ („მკაცრ ჩრდილოეთში“), „მთის მწვერვალები“ — მ. ლერმონტოვის სიტყვებზე და კვარტეტი „მონასტერი ყაზბეგში“. ქართველი მეგობრებისადმი მიძღვნილი მისი ეს ნაწარმოები კი ახლაც ქუერს სხვადასხვა სამუსიკო სცენაზე და მსმენელთა ალტაცებას იწვევს.

ბევრი რამ ს. ტანეევის მოღვაწეობის შესახებ საქართველოში, სადაც იგი მრავალჯერ ჩამოსულა, დღემდე ჭარ კიდევ შეუსწავლელია და, ვფიქრობთ, სასარგებლო იქნებოდა შეგვესწავლა და გამოგვეკვლია ეს საქმიანობა, რაც ძალზე გამაღიძრებდა ჩვენს წარმოდგენას იმაზე, თუ ვინ და როგორ აღიქვამდა ჩვენი ეროვნული პროფესიული და ხალხური მუსიკის მაღლს.

რამ დავიღოვი, საპარტიველოს სსრ დამსახურებული შურნალისტი.





1

933 წელია, ევგენი მიქელაძე საოპერო თეატრის ფოიეში სიმფონიური ორკესტრის მორიგ რეპეტიციას ატარებს. შესვენების დროს მასთან მიიყვანეს ექვსი წლის ბიჭუნა, რომლის განსაკუთრებულ მუსიკალურ მონაცემებზე უკვე ბევრს ლაპარაკობდნენ. გამოჩენილ ღირიყორს განუმარტეს, რომ ბავშვს აქვს მუსიკის აღქმის საოცარი უნარი, კონცერტებზე „თავისთვის ღირიყორებს“ კიდევ.

მაესტრომ ჩაიღიმა, წარუდგინა ბიჭუნა ორკესტრს და „შესთავაზა“ ოპერა „კარმენის“ უვერტიურის „ღირიყორობა“. ბავშვი კარგად აყვა მუსიკის რიტმს, სწორად შეიგრძნო უვერტიურის ემოციური ხასიათი...

სახელგანთქმული ღირიყორის დასკვნა ლაკონური იყო: მსგავსი ნიჭიერება იშვიათი მოვლენაა და მას სათუთი პატრონობა სჭირდებაო.

ექვსი წლის ბავშვისთვის ღირიყორობაზე ფიქრი, ცხადია, ზედმეტი იყო და, ამიტომ, ევგენი მიქელაძემ ბიჭუნას ურჩია, თავდაპირველად რომელიმე სიმებიან საკრავს დაუფლებოდა, კერძოდ, ვიოლინოს.

ბავშვს დააწყებინეს კიდევ ვიოლინოზე მეცადინეობა. პარალელურად იგი ფორტეპიანოზე დაკრასაც ეუფლება და... სულ მალე გაირკვა, რომ მისი მოწოდება სწორედ ეს ინსტრუმენტი ყოფილა.

ასე დაიწყო თენგიზ ამირეჯიბის პიანისტური კარიერა. ბავშვობისა და ყრმობის წლებში მისი უცვლელი მასწავლებელი

გახლდათ ანა თულაშვილი, შესანიშნავი ქართველი მუსიკოსი და პიროვნება.

ცნობილ პროფესორთან მეცადინეობამ სულ მალე გამოიღო სასურველი შედეგი: თენგიზის საკონცერტო კარიერის დასაწყისში რავი ხალხი მიაწყდა, ახმაურდა პრესა...

საშემსრულებლო ხელოვნების ისტორია კარგად იცნობს ისეთ შემთხვევებს, როცა ესა თუ ის მუსიკოსი პატარობიდანვე იპყრობს საზოგადოებას. საკონცერტო ტალანტების გამოჩენას სენსაციად თვლიან.

შესანიშნავ პიანისტსა და მუსიკოსს — თენგიზ ამირეჯიბს, იმთავითვე ხვდა სწორედ ასეთი გამორჩეული ბედი. პროფესორ ანა თულაშვილთან გატარებული წლების შემდეგ მისი მასწავლებლები მოსკოვის კონსერვატორიაში იყვნენ გამოჩენილი პიანისტები კონსტანტინე იგუმნოვი და ლევ ობორინი.

კონსტანტინე იგუმნოვმა ჯერ კიდევ ომის წლებში, თბილისში ევაკუაციის დროს, მოუსმინა ნორჩ პიანისტს და აღტაცებული დარჩა.

იგუმნოვმა ერთ დროს მოსკოვის კონსერვატორიაში საკმაოდ განმაურებულ შემთხვევასაც, როდესაც შეფასებაში თავშეკავებული და მეტისმეტად მომთხოვნი იგუმნოვი, გოცემული თენგიზ ამირეჯიბის მიერ პირველსავე გაკვეთილზე შოპენის № 2 ბალადის სრულყოფილი შესრულებით, აღლევებული ანაზღეულად ტოვებს აუდიტორიას და პირველსავე შემხვედრს, იმ დროს თავის ასისტენტს ი. მილშტეინს ეუბნება: „პირველად ჩემ

ბუნება, სტიქია, ადამიანები

შვედური წითელი ჯვრის მონაცემებით, სტიქიით გამოწვეული უბედური შემთხვევების ზრდის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გარემოზე ადამიანის დაუფიქრებელი ზემოქმედებაა. ჯერ მარტო ტყის გაკაფვამ და ნიადაგის ეროზიამ ხელი შეუწყო, ხუთჯერ გაზრდილიყო დაღუპულთა რიცხვი 1960-1970 წლების სტიქიური უბედურებების პერიოდში.

განსაკუთრებით ზარალი იქონია მესამე სამყაროს ქვეყნები, სადაც საგრძნობლად შემცირდა საძოვარი და სატყეო ფართობები. ამის გამო მდინარეები დიდდებიან წვიმიანობის დროს და შრებიან სიციხესა და გვალვაში.

იაპონია ტყიანი რელიეფით ღარიბი ქვეყანაა და ხე-ტყის მასალა ჩხირების დასამზადებლად შემოაქვს სამხრეთ კორეიდან, ფილიპინებიდან და ინდონეზიიდან.

ჩინეთის დიდი კედლის გასწვრივ

1984 წლის მაისში სამმა ახალგაზრდა ჩინელმა იმოგზაურა ჩინეთის დიდი კედლის გასწვრივ. 1985 წლის იანვარში მათ დაფარეს დაახლოებით ხუთი ათასი კილომეტრი და ამით დაამთავრეს ეს მოგზაურობა.

როგორც შუა საუკუნეებში

1980 წელს პარიზში ჩამოყალიბებულ „საზოგადოებრივ მწერალთა აკადემიაში“ უკვე ასოციათი წევრია. უფრო მეტი კანდიდატი კი მისაღებ გამოცდას გადის. უმრავლესობა ქალებია. აღორძინებას განიცდის შუა საუკუნეებში გავრცელებული პროფესია — კლიენტებისათვის შეკვეთილი შინაარსით წერილების შეთხზვა. აკადემიაში მიღებისას მისი მომავალი წევრები გარანტიას იძლევიან იმაზე, რომ არ დასწვრივ ცილისმწამებლურ წერილებს. აგრეთვე საიდუმლოდ შეინახავენ შეკვეთილი წერილების შინაარსს.

პოპავა უაჩსრაპიტი

პარიზის ერთ-ერთი მაღაზიის ვიტრინაში გამოფენილი სარეკლამო განცხადებები ყოველთვის სახეა შეცდომებით. ეს შეცდომები ზოგჯერ ძლიერ სასაცილოც კია. მაღაზიის

ბუნება სტიქია ადამიანები

მფლობელს, როდესაც ვიღაც მასწავლებელმა მიუთითა ამ შეცდომებზე, მან უპასუხა: მას განგებ ვაკეთებ — ადამიანები ბრყვად მთვლიან და ამის გამო ხალხით ყიდულობენ ჩემს საქონელს. ამნაირად მე შევძელი საქონელბრუნვა სამჯერ გამეზარდაო.


რა ჯობს, რიგითი თუ წრიულად?

მოსწავლეთა მიერ მასალის ათვისებაზე მოქმედებს თუ არა საკლასო ოთახში მერხების განლაგება? დიან, კალიფორნიის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ჩაატარეს ექსპერიმენტები ამერიკის ერთ-ერთი სკოლის მეხუთე და მეექვსე კლასებში და დაადგინეს: როცა ნაცვლად ჩვეულებრივად რიგში დაწყობისა, მერხები განლაგებულია წრიულად, მოსწავლეთა აქტიურობა სწავლების დროს მნიშვნელოვნად მატულობს.

ცილა თამბაქოსაგან

თამბაქოსაგან ცილის მიღების ახალ ტექნოლოგიას იტყობინება ფრანგულ

ლი ჟურნალი „რევერში“. თამბაქოს შეუძლია მოგვცეს 3,5 ტონა ცილა მექტარიდან მაშინ, როცა, ამავე რაოდენობის ხორბალი იძლევა 0,25 ტონა ცილას. ხოლო სოიის მარცვალი — 0,8 ტონას. მცენარეს ჰრიან მიწის ზედაპირიდან 10 სანტიმეტრის სიმაღლეზე, აქუცმაცებენ და ამუშავებენ სხვადასხვა ქიმიკატებით. ამის შემდეგ მიღებულ მასას წნეხვენ და გამოწურულ წვენს ათავსებენ ცენტრიფუგაში, სადაც ცილა გამოიყოფა. ნიკოტინი რჩება გაწურულ მშრალ მასაში. თამბაქოსაგან მიღებული ცილა გარეგნულად კვერცხისას წაგავს, არა აქვს სუნი და გემო. მისი საკვები ღირებულება უფრო მაღალია, ვიდრე კაზეინისა. თამბაქოს ცილით შეიძლება გავამდიდროთ სხვადასხვა საკვები პროდუქტები, გამოვიყენოთ იქ, სადაც ადრე ვიყენებდით კვერცხის ცილას: წნეხით გამოწურული დანარჩენი მასა გამოიყენება ფარმაცევტულ წარმოებაში საჭირო ნივთიერებების მისაღებად.



თვალსაზრისო ქართული ხელოვანი

სიციცხლეში, სტუდენტმა მყისვე ისე დამიკრა მე-2 ბალადა, რაზეც მხოლოდ იცნება თუ შეიძლებაო.

თენგიზ ამირეჯიბს ბევრჯერ გაუოცებია ცნობილი მუსიკოსები. ჯერ კიდევ ომის წლებში, მუსიკალური ათწლეულის მოსწავლემ, ორ კვირაში ისწავლა და ცნობილი დირიჟორის ა. გაუკის ხელმძღვანელობით „ათწლეულის“ მოსწავლეთა კონკრეტულ ბრწყინვალედ შეასრულა ლისტის № 1 საფორტეპიანო კონცერტი. შთაბეჭდილება იმდენად დიდი იყო, რომ ა. გაუკმა იგი ხელმეორედ მიიწვია, ახლა უკვე სოლისტად, თავის დამოუკიდებელ კონცერტში ამავე ნაწარმოების შესასრულებლად...

თენგიზ ამირეჯიბის, როგორც მუსიკოსის მსოფლმხედველობაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა მოსკოვის კონსერვატორიაში გატარებულმა წლებმა იქონიეს. გამოჩენილ მასწავლებლებთან მეცადინეობამ, სახელგანთქმულ უცხოელ გასტროლოირთა ხელოვნების გაცნობამ, საუკეთესო თეატრალური კოლექტივების სპექტაკლებმა განუმტკიცეს შემოქმედებითი პოტენცია, გაამდიდრეს და დახვეწეს მისი მხატვრული გემოვნება და ფანტაზია. იგი თბილისში დაბრუნდა, როგორც უკვე

გამობრძმედილი, განსწავლული ახალგაზრდა მუსიკოსი საკუთარი ხედვითა და მდიდრული ემოციური განწყობით.

სწორედ ამ პერიოდთან იწყება მისი ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობა. მას იგი პარმონიულად უთავსებს ინტენსიურ საშემსრულებლო შემოქმედებას.

თენგიზ ამირეჯიბი, როგორც პედაგოგი, დღეს ისეთივე მნიშვნელოვანი ფიგურაა, როგორც შემსრულებელი. მან ნიჭიერ მუსიკოსთა რამდენიმე თაობა აღზარდა, მის აღზრდილებს ერთი საერთო თვისება ახასიათებთ: მაღალი პროფესიონალიზმა, შესრულების საკუთარი მანერა, ნაწარმოებში ღრმა იდეური წვდომის უნარი.

თვალსაზრისო ქართველი პიანისტის თენგიზ ამირეჯიბის რეპერტუარი მოიცავს ბახის, ბეთჰოვენის, მოცარტის, ლისტის, შუბერტის, რახმანინოვის, პროკოფიევის, თანამედროვე საბჭოთა და ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებებს, რომლებიც მის თითებქვეშ ცოცხლებიან, როგორც ეპოქათა სუნთქვის ამსახველი ფრესკები. შოპენის მუსიკამ მაინც არაჩვეულებრივად თანამოზიარე სული მოძებნა ამირეჯიბისეულ ემოციურ აღმაფრენაში: იგი შოპენის მუსიკის შეუღარებელი ინტერ-

პრეტატორია. განსაკუთრებულია შოპენის სული სამყაროს მისეული განხილვის თბილისში გასტროლების დროს. ბილმა იტალიელმა დირიჟორმა პიანისტმა კარლო ცეკიმ, როდესაც მის საპატივცემულოდ გამართულ კონცერტზე მოუსმინა თენგიზ ამირეჯიბს, გულწრფელად თქვა: „ალტაცებულ ვარ. მე მოვისმინე შოპენის ორიგინალური, საოცრად საინტერესო შესრულება“. და მადლობა გადაუხადა პიანისტს.

მართლაც უზადოა თენგიზ ამირეჯიბის პიანისტური ხელოვნება. იგი მართალი, საკუთარი მრწამსის მქონე ხელოვანია. ნაწარმოებებთან მისი „შეხების წერტილები“ ყოველთვის ზუსტია, ბგერითი პალიტრა კი უნივერსალური;

...თენგიზ ამირეჯიბი შესანიშნავ პიანისტად წარმოგვიდგა. მის შემოქმედებაში მაღალი ტექნიკა შერწყმულია ღრმა შთაგონებასთან, „პიანისტ თენგიზ ამირეჯიბის შესრულებამ გავაოცა სიღრმითა და სრულყოფილებით“. ასე ამკობდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და პოლონეთის პრესა ჩვენს სახელგანთქმულ პიანისტს.

თენგიზ ამირეჯიბის ხელოვნებამ ასევე მოხიბლა და მოაჯადოვა კანადისა და იუგოსლავიის მუსიკის მოყვარულები.

ხალხს სჯერა თენგიზ ამირეჯიბის ხელოვნებისა, სწამს მისი სიმართლისა, ყოველივე ეს კი შეუღარებელი საწინდარია იმისა, რომ მარადია და უკვდავი დიდი ხელოვნება.

ელბარ ღაზლიანიძე.

ბაზაზრჯუბა



ასრულდა ქართველი გულშემატკივრების დიდი ხნის ოცნება: ქუთაისის „შენებლის“ ოსტატ რეგბისტა გუნდმა წელს ერთდროულად მოიპოვა თასიცა და ქვეყნის ჩემპიონობის ოქროს მედლებიც!

საკავშირო თასზე ქუთაისელი რეგბისტების უშუალო მეთაქე იყო იური გაგარინის სახელობის სამხედრო-საპაერო აკადემიის (ქ. მონიო, მისკოვის ოლქი) გუნდი, რომელიც, როგორც სპორტის გულშემატკივრებმა იცინა, საბჭოთა რეგბის აღიარებული ლიდერია. ქვეყნის ცხრაგზის ჩემპიონისა და ოთხგზის თასის მფლობელის ერთ სპორტულ სეზონში რამდენიმე პრინციპულ მატჩში დამარცხება თითქოს შეუძლებელიც კი ჩანდა, მაგრამ რიონისპირელმა მორკინალებმა ესეც შეძლეს.

ქუთაისის „შენებელი“ მეცხრე გუნდია სსრ კავშირში და პირველი ქართულ რეგბოში, რომელიც ოქროს მედლების ლაურეატი გახდა. მანამდე გუნდმა 1984 წელს დაიხაკუთრა ვერცხლის, ხოლო 1985 წელს ბრინჯაოს მედლები. რაც შეეხება სხვა ქართულ გუნდებს, აქ ასეთი სურათია: თბილისის „ლოკომოტივი“ ოთხჯერ (1968, 1972, 1978, 1981 წწ.) ფლობდა „ბრინჯაოს“, თბილისის „დინამო“ კი მხოლოდ ერთხელ, 1966 წელს, მოიპოვა მეორე აღ-



გილი, ხოლო საკავშირო თასი, ქუთაისელთა გარდა 1978 წელს დაიხაკუთრა თბილისის „ლოკომოტივი“.

ეს იყო და ეს..

უმალღესი ლიგის კალათბურთელთა ჩემპიონატის მსგავსად წლევაწდეულ სეზონში რეგბოშიც შემოიღეს სუპერფინალური მატჩების სერია. სამხედრო აკადემიისა და „შენებლის“ რეგბისტებმა ჩემპიონატი ერთნაირი ქულებით (75 ქულა) დაასრულეს. დამატებითი სამი სუპერფინალური შეხვედრიდან ბოლო ორი ქ. მონიოში — გაგარინელთა სტადიონზე უნდა გამართულიყო. მაგრამ მესამე მატჩი აღარ გახდა საჭირო: „შენებელმა“ ჯერ ქუთაისში დაამარცხა (10:0) მრისხანე მოწინააღმდეგე, მერე კი, 12 ოქტომბერს განმეორებით შეხვედრაში სტუმრალად

მოიგო (18:7) ეს უძნელესი მატჩი.

გამარჯვებისკენ მიმავალ ძნელ გზაზე ქუთაისელ რეგბისტა მონოლიტურ, დისციპლინიან კოლექტივს რწმენითა და რუდუნებით მიუძღვოდნენ გამოცდილი თავკაცები — გუნდის უფროსი მწვრთნელი დუგლას კავთელაშვილი, გუნდის უფროსი ალიოზა ალავეძე, მოთამაშე მწვრთნელი ოლეგ ლიპარტელიანი.

1985 წლიდან იწყება ქუთაისში ოვალური ბურთის მატჩიან, როცა იქ ენთუზიასტი თბილისელი რეგბისტი გიორგი ყუფარაძე ჩავიდა. მამინ ქუთათურებს უბრალო სათამაშო მოედანიც კი არ ჰქონდათ (ისე, კაცმა რომ თქვას, არც ახლა აქვთ რეგბის საკუთარი სტადიონი).

წლევაწდეულ სეზონში გუნდის ყველა წევრმა ვაჟაკურად იასპარეზა

და თავისი წვლილი შეიტანა გამარჯვებაში. ვინმეს გამოყოფა მართლაც რომ ძნელია, მაგრამ ექსტრაკლასის მცველმა ნუგზარ ძაგნიძემ წლევაწდეულ სეზონში მაინც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი. ეს ახალგაზრდა სნაიპერი ქვეყნის ნაკრებშიც წარმატებით გამოვიდა. იგი თავის თანაგუნდელებთან — ოლეგ ლიპარტელიანთან და სერგო უგრეხელიძესთან ერთად საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატია. ასევე საინტერესოა, რომ ათი ქუთაისელი რეგბისტი სხვადასხვა დროს გამოდიოდა და გამოდის სსრ კავშირის პირველ ნაკრებ გუნდში.

დღეს მთელმა საქართველომ იცის მათი სახელები, ვინც უშუალოდ სპორტულ მოედნებზე თავდაუზოგავად იბრძოდა სასახელო გამარჯვებისთვის. აი, ისინიც: ბათუმე ზამურაძე, ოლეგ ლიპარტელიანი, ავთანდილ გიორგაძე, მიხეილ ხარშილაძე, მამუკა ლოსაბერიძე, ავთანდილ დეისაძე, რობერტ ობოლაძე, თენგიზ ტურტილაძე, ბესარიონ ლიულაშვილი, ალექსანდრე გრიგალავა, ბადრი შვანგირაძე, ალექსანდრე ნაკუჭია, ნუგზარ ძაგნიძე, ვია წივიწიაძე, გრიგოლ გაბუნია, ნიკოლოზ ნემსიწვერიძე, კახა მარჩიძე, ოლეგ უორულოიანი, თამაზ ოდიშარია, პაატა ძოწენიძე, კახა გაბრიჭიძე, ზაზა თხელიძე.

სულ გამარჯვების გზით გველოთ, შეუპოვარო ბიჭებო!

გაბრიელ ბარჯაძე, საქართველოს რეგბის ფედერაციის წევრი.

მარკოს ლილი

მარგერეტ იურსენარი პირველი ფრანგი მწერალი ქალია და ჯერ-ჯერობით ერთადერთიც, რომელსაც 1981 წელს თავისი ოთხსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე საფრანგეთის აკადემიამ ქალეზისათვის დასურული კარი გაუღო და „უკვდავთა“ ერთი სავარძელი დაუთმო. საწიგნო ცერემონიალის დროს მწერალმა-აკადემიკოსმა უნ დე დორმესონმა მოხდენილად თქვა: „ქალბატონო, ჩემთვის დიდი პატივი და უდიდესი სიხარულია, გისურვოთ კეთილი მობრძანება ამ უძველეს და ცნობილ შენობაში, სადაც, მართალია, პირველი მოსული არ ხართ, მაგრამ პირველი ქალი კი ბრძანდებით...“. მარგერეტ იურსენარი ბუნებით პოეტია, უძველესი ცივილიზაციების ღრმა მცოდნე. აღიარება მოიპოვა 1951 წელს რომანით „ადრიანეს მოგონებანი“. „ჩრდილოეთის არქივების“ გამოცემამ კი დიდი პოპულარობა მოუტანა. ნოველა „მარკოს ლილი“, რომელსაც ქვემოთ ვხედავთ, ამოღებულია მწერლის კრებულიდან „აღმოსავლური ნოველები“.

მარგერეტ იურსენარი

მეტი მედუზასავით ტივტივებდა უძრავი წყლის ზედაპირზე. თვითმფრინავი მწერივით გამაბეზრებლად ბზუოდა მთებს შუა მომწყვდეულ ვიწრო სივრცეში. ნაშუადღევ იყო. მზე უკვე გადაიწვერა მონტენეგრის ალპების სერიოკი ქედის უკან. აქა-იქ თითო-ოროლა ხე მოჩანდა. ლურჯად გაშლილი მოლივლივე ზღვა დილას აქეთ თანდათან ჩამუქდა ბალკანეთის ნაპირების უცნაურად განლაგებულ უსწორ-მასწორო ფიორდებში. ერთმანეთზე მიჯრილ ქონხანებს, თვალწინ გადაშლილ ცინცხალ გარემოს, სლავური ელფერი დაჰკრავდა. ფერთა ყრუ სიმძაფრე და მოწმენდილი ცის სიღიადე კი აღმოსავლეთისა და ისლამს მოგაგონებდათ. მგზავრების უმრავლესობა ნაპირზე გადმოვიდა. ისინი თეთრებში გამოწყობილ მებაჟეებს და სამპირა სატევრებით აღჭურვილ, მთავარანგელოზებივით მშვენიერ ჯარისკაცებს ესაუბრებოდნენ. ბერძენი არქეოლოგი, ეგვიპტელი ფაშა და ფრანგი ინჟინერი გემბანზე დარჩნენ. ინჟინერი ლუდს სვამდა, ფაშა ვისკის, არქეოლოგი კი ლიმონათს შეექცეოდა.

ყოველ კუნჭულს, მითხარით ერთი, თუ გასწიხით რაიმე მარკო კრალიევიჩზე. — მე არქეოლოგი ვახლავართ, — უპასუხა ბერძენმა და ჭიქა მაგიდაზე დადო. — ჩემი ცოდნა ქვის კოლდის იქით არ მიდის. თქვენი სერბი გმირები კი პირდაპირ ცოცხალ ხორცს ჩენავდნენ. თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ ამ მარკომ მეც დამინტერესა და მის კვალს ლეგენდის წარმოშობის ადგილიდან საკმაოდ შორს მივაგავი — ნაღდ ბერძნულ მიწაზე, სადაც თავის დროზე ლეთისმოსავმა სერბებმა ბევრი ლამაზი მონასტერი აღმართეს.

— ათონის მთაზე, — გააწყვეტინა ინჟინერმა. — სადაც სწორედ ამ მთაზე მარკო კრალიევიჩის გიგანტური ძვლები განისვენებენ. შუა საუკუნეების მერე, იქ არაფერი შეცვლილა. მაგრამ გრძელწვრთა ექვსიათასი ბერი დღესაც ლოცულობს თავიანთი ლეთისმოსავი მფარველების, ტრაპიზონდის პრინციების სულელების გადასარჩენად, არადა მათი გვარეულობა საუკუნეებია, რაც გადაშენდა. რა სასიამოვნოა, რომ დავიწყება არც ისე სწრაფად ხდება და არც ისე ყოვლისმომცველი ყოფილა, როგორც ფიქრობენ ხოლმე. და რა კარგია ისიც, რომ დედამიწაზე კიდევ მოიძებნება ადვილი, სადაც ჯვაროსნების ხანის დინასტია დღემდე ცოცხლობს ზოგიერთი მოხუცი მღვდლის ლოცვებში. თუ არ ცდები, მარკო ოტომანთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა ბოსნიაში თუ კრთატის მხარეში, მაგრამ მისი უკანასკნელი სურვილი ყოფილა წმინდა მიწაზე, სინას მთაზე, გასთხროდა სამარე. მართალია, აღმოსავლეთის ზღვების რიფები და თურქთა ჩასაფრებული გალერები სასიფათო იყო, მაგრამ მაინც მოახერხეს ნავით მისი ცხედრის გადასვენება. მშვენიერი ამბავია; არ ვიცი, რატომ მასწვენებს იგი ზღვაზე არტურის უკანასკნელ გადასვლას.

გმირები დასავლეთშიაც არიან, მაგრამ ზნეობის ჯავშნით თითქოს ისე არიან შებოჭილნი, როგორც შუასაუკუნეების რაინდები ჯაჭვის პერანგით. ეს ველური სერბი კი ნაღდი გმირია, სულით-ხორცადმდე გმირი. მარკო რომ ესმოდით თავს, თურქებს ეჩვენებოდათ, მთიდან მუხა გვეცემო. აკი ვითხრათი, იმ ხანებში მონტენეგრო ისლამს ეკუთვნოდა-მეთქი. სერბთა მცირერიცხოვან რაზმებს წინადაცვეთილ ებრაელებთან ხელჩართულ ბრძოლებში უჭირდათ ჩერნოგორას, იმ შავი მთის წართმევა, საიდანაც ამ მხარის სახელწოდება მოდის. მარკო კრალიევიჩი საიდუმლო ურთიერთობებს ამყარებდა ურჯულოთა ქვეყანაში სახელდახელოდ მოქცეულ ქრისტიანებთან, უკმაყოფილო მონღელებთან

და ფაშებთან, რომელთაც შერისხვა თუ სიკვდილი ემუქრებოდათ. მარკოს სხვა ვხა არ ჰქონდა, იგი პირდაპირ უნდა შეხვედროდა თანამზრახველებს. გოლიათური აღნაგობის გამო, ვერ ახერხებდა ბრმაცმული მტერთან შეპარვას. არადა მარკოსე ლამაზი იყო, გადაცმული შეიძლება ქალადაც მიგვლოთ. მაგრამ წაგრძელებულ ჩრდილს შეეძლო მისი გაცემა. უკაცრიელ ნაპირთანაც ვერ იფიქრებდა ხავის მიყენებას: კლდეებში ჩასაფრებული უამრავი გუშავი ფხიზლად და დაუთალავად უდარაჯებდა მარტო მარკოს, თუმცა კი იგი არა და არ ჩანდა. თუ ნავს თვალს ადვილად მოჰკრავდნენ, კარგი მოცურავე ისე გაუჩინარდებოდა. რომ თევზების გარდა კაციშვილი ვერ მიაგებდა მის კვალს წყლის დინებებში. მარკოს ტალღების მოხუსხვა შეეძლო. თავისი ითაკელი მებობელი ულისესავით მშვენივრად ცურავდა. ქალებსაც ხიბლავდა. ზღვის ზვირთებს ხშირად გაჰყავდათ კოტორისაკენ, ხის სახლისაკენ, რომელიც ტალღებისაგან ირწყვოდა. სკუტარის ფაშას ჭერივი მარკოზე ფიქრით ღამეებს ათენებდა, დილ-დილობით კი მის მოლოდინში სული ელეოდა. ჭერივი ჭაბუქს ზეთით უხვლდა ზღვის ტალღებში შემცივებულ სხეულს. მსახურებისაგან ფარულად თავის ლოგინში ჩაათბუნებდა ხოლმე. მსტოვრებსა და თანამზრახველებთან ღამეულ შეხვედრებს უადვილებდა. გათენებისას სამზარეულოს მიაშურებდა ხოლმე და საყვარელ კერძებს უმზადებდა. მარკო მიეჩვია მის ჩამოცვენილ ძუძუებს, სქელ ფეხებს, გადაბმულ, ხშირ წარბებს. შეეგუა ხანშიშესული ქალის ეჭვიან და ხარბ სიყვარულს. ერთი რამ აცოფებდა მხოლოდ: როცა მარკო მუხლმოყრილი პირჯვარს იწვრდა, ქალი იფურთხებოდა ხოლმე. ერთ ღამეს ჭერივი, ჩვეულებისამებრ, სამზარეულოში ჩავიდა და მარკოსათვის საჭმლის მომზადებას შეუდგა. მარკო მეორე დილას რაგულში ცურვით აპირებდა დაბრუნებას. ჭერივს ცრემლები აღჩობდა და ისე გემრიელად ვერ მოამზადა კერძი, როგორც სხვა დროს ამზადებდა ხოლმე. ბატონის ხორცი ცოტა მიეწვა. მარკო ნასვამი იყო. მოთმინების ფილა ავსებოდა. ქონიანი ხელებით თმებში სწავდა ჭერივს და დაიღრიალა:

— ეშმაკის კერძო, ბებერი თხის ხორცი გინდა მაჭამო?

— თხა მშვენიერი იყო, — უპასუხა ჭერივმა, — თანაც არ გეში ყველაზე ჭეელი.



— შენი ჯადოიანი ხორცივით იყო გამოშრალი და შენსავით ყარდა, — თქვა მთვრალმა ჭაბუკმა. ნეტა, მასავით ჩაიწვებოდე!

და მარკომ კერძიანი თევზი მოისროლა გაღებულ ფანჯრიდან, რომელიც ზღვას გადაჰყურებდა.

ქვრივს ხმა არ ამოუღია. გაქონილი იატაკი მორეცხა. ტირილით დასიებული სახეც მოიბანა. ისევე ალერსიანად და ვნებიანად მიესიყვარულა, როგორც წინა საღამოს. გათენებისას კი, როცა ჩრდილოეთის ქარმა ყურის ტალღები ააფორიაქა, დაუყვავა და ურჩია, მგზავრობა გადაედო. მარკო დასთანხმდა და პაპანაქება სიციხეში დასასვენებლად წამოწვა დარბაზებიან ფანჯარასთან. როცა გაიღვიძა, ერთი ზანტად გაიზმორა და უცებ ფანჯარაში მოელვარე ხმლები დაინახა: თურქი ჯარისკაცები ალყას არტყამდნენ სახლს და ყველა გასასვლელს კეტავდნენ. მარკო გაქეპანა აივნისკენ, რომელიც ზღვას გადაჰყურებდა. აქაფებული ტალღები გამაყრუებელი ხმაურით ასკდებოდნენ კლდეებს. მარკომ პერანგი შემოიხია და თავით გადაეშვა ამ ქარიშხალში. ასეთ ამინდში ნავითაც კი ვერ გაბედავდა კაცი ზღვაში გასვლას. მარკო მთებს გადაევიდა და ტალღებში გაუჩინარდა. ქვრივიც წარუძღვა ჯარისკაცებს და ისინი სახლში შეცვივდნენ, მაგრამ ჭაბუკი გოლიათი ვერსად ნახეს. იგი გამქრალიყო. ბოლოს პერანგის ნაფლეთებმა და დამტვრულმა რიკულებმა, როგორც იქნა, სწორ კვალზე დააყენეს. შეშინებულნი და იმედგაცრუებულნი ღრიალით მიაწყდნენ პლაჟს. თან უკან ახევდნენ, რადგან ტალღები უფრო და უფრო მეტი გამამაგებელი ეხეთქებოდა ნაპირს. ქარის ზუზუნი მარკოს სიცილად ეჩვენებოდათ. აქაფებული ტალღები რომ მოზღვავდებოდა, ეგონათ, მარკო სახეში გვაფურთხებდა. ორ საათს ცურავდა მარკო, მაგრამ ერთი მტკაველითაც კი ვერ წაიწია წინ. ჯარისკაცები თავში უმიზნებდნენ, მაგრამ ქარი მუბებს მიმართულებას უცვლიდა. მარკოს ხან ტალღა შთანთქამდა, ხან კი ზედ მოექცეოდა. ბოლოს ქვრივმა რომელიღაც ალბანელის ქმარს თავისი მოსასხამი მაგრად გამოანასკვა და ერთმა მარჯვე მებაღურმა აბრეშუმის ამ ლასოთი მარკოს დატყვევება მოახერხა. თითქმის გავუღული ნაპირზე გამოათრია. მშობლიურ მთებში ნადირობისას მარკოს შემჩნეული ჰქონდა, როგორ მოიძვედარუნებდა ხოლმე თავს ნადირი, მონადირეს იქვე რომ არ გაეთავებინა. ინსტიქტმა უკარნახა, ამ ვშმაკობას მიემართავო. გაფითრებული ჭაბუკი თურქებმა ნაპირზე რომ გამოათრია, სამი დღის მკვდარს ჰგავდა: ცივი იყო და გაშეშებული. ქაფით შესვრილი თმები საფეთქლებს მიკროდა. მის უძრავ თვალებში ცისა და შეღამების ფერები აღარ ირეკლებოდა. მარილიანი ტუჩები ჩაცვნილი ყბებზე შეჭყინოდა. ხელები ჩამოშვებოდა, განიერი მკერდი კი მის გულისცემას ფარავდა. სოფლის თავკაცები მარკოსაკენ დაიხარნენ, გრძელი წვერებით სახეს შეეხნენ. მერე ყველამ თავი ასწია და ერთხმად წამოიძახა:

— ალაჰ, დამბალ თხუნელასავით არ გასძრობია სული? ჩაძლდებულა და ეს არის! ზღვაში ვისროლოთ, ჩვენი მიწა მისი სხეულით რომ არ წაიბილწოს.

ამ სიტყვებზე ქვრივს ჯერ ტირილი აუვარდა, მერე კი სიცილი დაიწყო:

— ქარიშხალი არ კმარა მარკოს დასახრობად და ყულფიც ვერ გაგუდავს. მკვდარი ხომ არ გგონიათ? ზღვაში თუ გადავადებთ, ტალღებს ისევე მოუხსნავს როგორც მე, საცოდავი ქალი, მომწუსხა. ტალღები სამშობლოსაკენ ვაიყვანენ. ჩაქუჩი მოიტათ და ლურსმნები: მისი ღმერთივით ჯვარს აცვივთ ეგ ძაღლი. მოვა და დაეხმარება თუ რა? ვამიგონებ და ნახავთ, მუნღები ტკივილისაგან თუ არ მოეცეცება და წყეული პირი ყვირილით არ აიკლებს აქაურობას.

ჯალათებმა ნავების შემკეთებლის დაზვიდან ჩაქუჩს და ლურსმნებს დაავლეს ხელი. სერბ ჭაბუკს ხელები გაუხვრიტეს და ფეხებშიც აქა-იქ ლურსმნები გაუყარეს. მაგრამ წამებულის სხეული არ შეტოვებულა. მისი უმეტყველო სახე არ შეთოთლოებულა. სისხლიც კი წვეთ-წვეთად და იშვიათად სდიოდა ტრილობიდან, რადგან მარკო ისევე ბრძანებლობდა თავის ძარღვებს, როგორც თავის გულს. მაშინ უხუცესმა თავკაცმა შორს მოისროლა ჩაქუჩი და საწყალობლად წამოიყვია:

— ალაჰმა შეგვიწოდოს მიცვალებულის ჯვარცმა. მოლით, გვამს კისერზე დიდი ქვა გამოვებათ. დაე, სამუდამოდ დამარხოს ზღვის სიღრმე ჩვენი შეცოდება და უკან აღარ ამოგვიტივტივოს იგი.

— ათასზე მეტი ლურსმანი და ასზე მეტი ჩაქუჩია საჭირო მარკო კრალიევიჩის ჯვარცმისათვის, — თქვა ბოროტმა ქვრივმა. გულზე ნაკვერჩხლები დააყარეთ და ნახავთ, ჭიკაყვასავით თუ არ დაიგრინოს ტკივილისაგან.

ჯალათებმა მემანავის ქურიდან ნაკვერჩხალი აიღეს და ზღვის წყლისაგან გათოშილი ჭაბუკის მკერდს წრიულად დააყარეს. ნაკვერჩხალი გალივდა, შემდეგ ჩაიფერფლა და გამხმარი წითელი ვარდნივით ჩამოქადა. ცეცხლმა მარკოს მკერდზე დიდი ჩანახშირბული რკალი დატოვა, იმ წრის მსგავსი. ცეცხლისაგან ჯადოქრები რომ შემოავლებენ ხოლმე ბალახზე. ჭაბუკს ერთხელაც არ დაუქანესია და ერთი წამწამიც არ შერხევია.

— ალაჰ, თქვეს ჯალათებმა, კიდევ ერთხელ შევცოდეთ. მკვდრების წამების უფლება მხოლოდ ღმერთს აქვს. მარკოს მძისწულები და ბიძაშვილის შვილები ამ შეურაცხყოფისათვის პასუხს გვაგებინებენ. მოლით, გვამი დიდი ქვებით სავსე ტომარაში ჩავადლოთ და მაშინ ზღვაც ვერ მიხვდება, ვინ გადაუფედეთ ჩასანთქმელად.

— თქვე საცოდავებო, — თქვა ქვრივმა, — ეგ ხელით ჯვალსაც გაარღვევს და ქვებსაც შორს მოისვრის. ახლა კი მოაყვანინეთ სოფლის გოგოები და უბრძანეთ ქვიშაზე, მის გარშემო ცეკვა გააჩლონ. აი, მაშინ კი ნახავთ, რას უზამს მას სიყვარული.

უხმეს ყმაწვილ ქალებს. მათ სასწრაფოდ გადაიცვეს სადღესასწაულო სამოსი. დოლები და ფლეიტებიც თან წამოიყოლეს. ერთმანეთს ხელები ჩაკიდეს და გვამს წრედ შემოერთყვნენ. მათ შორის ულამაზესმა წითელ ხილბანდს დაავლო ხელი და ცეკვა დაიწყო. იგი შავგრემანი იყო. მალაღი, თეთრი ყელი ჰქონდა და სხვა ქალიშვილებზე ტანწირწეტი ჩანდა. მისი მიხვრა-მოხვრა შველის ნაყარდსა და მიმინოს ლივლივს მიაგავდა. შიშველი ფეხებით ოდნავ ეხებოდა უძრავად გაშობილ ჭაბუკს. მარკოს გული შეუტოკდა. მერე ისე მძაფრად და აჩქარებულად დაუწყო გულმა ძგერა, შეეშინდა გარშემო მყოფთ არ გაეგონათ. და უცებ, თითქოს

საკოცნელად ემზადებინა, მის ბაგეებზე სიმწარენარევად ბედნიერების ღიმილი დაინახა. მოახლოებული ბინდის წყლისაგან ბით ჯალათებმა და ქვრივმა უხუცესმა მისი სიცილის ეს ნიშანწყალი. აიშე ცისფერი თვალს ეს აცილებდა მარკოს სახეს, საოცრად ლამაზი ეჩვენებოდა ჭაბუკი. უცებ, მისი ღიმილის დასაფარავად ქალიშვილმა წითელ ხილბანდს ხელი უშვა და ამაყად წარმოთქვა:

— არ შემფერის მკვდარი ქრისტიანის წინ ცეკვა და მისი სახის ყურება. ტუჩებზე ხილბანდი წვაფარე, რადგან მისი ერთი შეხედვაც კი ზიზღსა მგვრის.

აიშემ ცეკვა განაგრძო. სურდა, ჯალათების ყურადღება მოედუნებინა და ლოცვის დაწყებამდე შეექცია ისინი. მაშინ ნაპირიდან ყველა წავიდოდა. როგორც იქნა, მინარეთის მალაღი კოშკიდან გაისმა ხმა, რომელიც ღმერთს სადიდებლად უხმობდა. მამაკაცებმა, უბრალო, პატარა მეჩეთს მიაშურეს. დაღლილი ქალიშვილებიც ქოშების ბაკუნით მწკრივად გაემართნენ ქალაქისაკენ. აიშემ ქალაქის გზას გაუყვა, მაგრამ წასვლისას რამდენჯერმე უკან მოიხედა. გვამის სადარაჯოდ მხოლოდ გაკერპებული ქვრივიც დადრჩა. უცებ მარკომ წამოიწია. მარჯვენა ხელით მარცხენიდან ლურსმანი ამოიგლიჯა, მწითური თმებით ქვრივი მოიხიდა და ლურსმანი გაურჭო ყელში. შემდეგ მარცხენა ხელით ამოიძრო მარჯვენაში ჩარჩენილი ლურსმანი და ქვრივს შუბლში ჩაასო. ფეხებიდან მოიგლიჯა ქვის ორი სოლი და ქვრივს თვალები დასთხარა. და როცა ჯალათები მობრუნდნენ, შიშველი ჭაბუკის ნაცვლად ნაპირზე ხნიერი ქალის დაკრუნხული გვამი დახვდათ. ქარიშხალი ჩადგა. მაგრამ ნავები ამოდ გავიდნენ მარკოს საძებნელად. იგი ტალღებში გაუჩინარდა. თავისთავად იფულისხმება, რომ მარკომ ეს ქვეყანა დაიპყრო და ის ლამაზი ქალიშვილიც მოიტაცა, ღიმილი რომ მოსწყვიტა მის ბაგეებს.

— მართალი გითხრათ, არც მარკოს დიდება მიჩუყებს გულს და არც მათი ბედნიერება. მე მაოცებს ტანჯვისა და ნეტარების ეს საოცარი შეხამება — ღიმილი წამებულის ბაგეებზე, რომლისთვისაც სიყვარულის დათმება უტკბილესი წამება აღმოჩნდა. შეხედეთ, საღამოვდება. ძნელი წარმოსადგენი არ არის კოტორის პლაჟზე, ნაკვერჩხლების შუქზე შეჯგუფებული ჯალათები, მოცეკვავე ქალიშვილი და ჭაბუკი, რომელიც მის სილამაზეს ვერ უშეკლავდება.

— უცნაური ამბავია, — თქვა არქეოლოგმა, — თქვენი ვერსია თანამედროვე უნდა იყოს. ვფიქრობ, უფრო ადრინდელი, სხვაც უნდა არსებობდეს. აუცილებლად გავიკითხავ.

— რა საჭიროა, — თქვა ინჟინერმა. — რაც მოგიყვებით, იმ სოფლის გლეხებმა მიაძგეს, სადაც ამ ზამთარს გვირახს ვთხრილით აღმოსავლეთის ექსპრესისათვის. კარგის გარდა რა მეთქმის თქვენს ბერძენ გმირებზე, ლუკიადის! სევდა რომ შემოაწვებოდათ, კარვებიდან არ გამოდიოდნენ ხოლმე. მეგობარი დაეღუპებოდათ და ხმამაღლა მოთქვამდნენ. დაპყრობილი ქალაქების გარშემო მტერთა გვამებს ფეხებით ათრევდნენ, მაგრამ მერწმუნეთ, ლუკიადის, ილიადას ნამდვილად აკლია აქილევისის ღიმილი.

ფრანგულადან თარგმანა მზინა ბაქრაძემ.



ართველი კაცის უანგარო და გულმონწყალე ხასიათი ოდითგანვე ცნობილია. ამას უშუალოდ ვგრძნობთ ჩვენც, 30 ათასამდე ებრაელი, რომლებმაც საქართველოს სახით ღვიძლი სამშობლო ვპოვეთ და ამ მიწა-წყლის მკვიდრმა ხალხმა ალალი მძებრით შეგვისისხლხორცა. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მართო ილია ჭავჭავაძის გამოსარჩლება რად გვიღირდა, როცა სამარცხვინო ბოძზე აკრავდა იმდროინდელ გერმანიაში გაჩაღებულ ადვირასხნილ ანტისემიტურ მოძრაობას.

ქართველი ხალხისა და საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა ორიათასწლიანი ურთიერთობის ისტორია მეტად ფართო, საინტერესო და, ჩვენის ღრმა რწმენით, ქრესტომათიული შესწავლის ღირსია. ამ სტატიის ავტორს, ცხადია, ამის პრეტენზია არა აქვს.

ჩვენი საუკუნის ოციან წლებში ქართული პრესის ფურცლებზე მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ქართველთა და საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების საკითხებს. ამას მოწმობს ქუთაისის გაზეთ „სამშობლოს“ 1916 წლის 11 მაისის ნომერში დასტამებული კორესპონდენცია „ერობა ჩვენში“, რომელიც წარმოადგენს საერობო არჩევნების საკითხზე გამართული კრების ანგარიშს: „თავადი დ. ო. ნიჟარაძე კრების მონაწილეთა ყურადღებას მიაქცევს იმ მოვლენას, რომ ჩვენს ქვეყანაში მრავალად ცხოვრობენ ებრაელები, რომლებიც წარსულში იხდიდნენ ყოველგვარ ვალდებულებას სახელმწიფოს წინაშე და მრავალი მათგანი, როგორც, მაგალითად, ქუთაისის ებრაელები, მონასტრების საკუთრებას შეადგენდნენ... ორატორი წინადადებას აძლევს კრებას, გამოთქვას სურვილი, რათა ადგილობრივ ებრაელებს ერობაში მონაწილეობის უფლება მიენიჭოთ“.

ათიოდე დღის შემდეგ იმავე გაზეთის 28 მაისის ნომერში დაიბეჭდა ქ. ონიდან მიღებული სასულიერო მმართველობის თავმჯდომარის მოწვევა შიმშილ-შვილის კორესპონდენცია „ებრაელის ხმა“, რომლიდანაც ნათლად ჩანს, თუ როგორი აღფრთოვანება გამოიწვია დ. ნიჟარაძის ინიციატივამ ქართველ ებრაელთა შორის: „სასიამოვნო ამბავი მოხდა 21 მაისს ონში. პატივცემული მოღვაწის, რაბინის დ. ბააზოვის მეთაურობით 400-მდე ებრაელმა მოიყარა თავი დიდ სალოცავში. გადაიხადა ლოცვა რაბინმა ქართველი ერის აღდგენისა და აღმავლობისათვის. შემდეგ წარმოსთქვა მგრძობიარე სიტყვა. უღრმესი მადლობა გამოუცხადა ქართველ ერს და დაამტკიცა ისტორიულად, რომ ქართველობას ყოველთვის კაცთმოყვარეობის დროშა ეჭირა ხელში და ამ დროშის ქვეშ ჩვენი ერიც იყო შეფარებული. ქართველნი იყვნენ დღემდის ჩვენი ერის მფარველნი და დღესაც არიანო. „თუმცა საერობო კრებაზე, — განაგრძო რაბინმა, — ჩვენი წარმომადგენელი არა ყოფილა და ჩვენი ხმა იქ არ გაისმოდა, მაინც ქართველმა ერმა არ დაგვივიწყა და

მოითხოვა ჩვენი უფლება“... საზოგადო არა ჰქონდა ხალხის ძახილს: „გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ მოძმე ქართველებს, სიცოცხლე მათ და ბედნიერება! ბ-ნმა ბააზოვმა შემდეგი სიტყვებით დაამთავრა თავისი გამოსვლა: „უფალო, მოგვასწარი საქართველოს აყვავებას, ქართველი ერის ბედნიერებას და მაშინ ჩვენც ბედნიერები ვიქნებით! ძმებო, ხელჩართულნი უნდა წავიდეთ ქართველ ერთან ერთად სამშობლო საქართველოს ასაყვავებლად და სწორედ ამით უნდა ვადავიზიანოთ ვალი!“

პროფესორი დიმიტრი ჯანელიძე წერს: „გერცელ ბააზოვის მამა — დავითი, უფრო საზოგადო მოღვაწე იყო, ვიდრე კულტის მსახური... ის ძველი ებრაული მწერლობის, რუსული და ევროპული ლიტერატურის მცოდნე იყო და სიყვარულით წერდა და შთამაგონებლად მეტყველებდა საქართველოს ისტორიასა და კულტურაზე. აკაკის დაკრძალვისას დავითმა ქართველი ებრაელების სახელით მხატვრული სახიერებით აღსავსე შთამბეჭდავი სიტყვა წარმოსთქვა: როდესაც ქურდი სახლში შეიპარება, ყველაზე ძვირფას ნივთს მოძებნის და გაიტაცებს. და აი, სიკვდილი ქურდულად შემოგვეპარა და მან საქართველოს ძვირფასი თვალი — დიდი აკაკი მოგვპარა“. ევროპაში ყოფნისას ებრაელთა ერთ-ერთ კრებაზე დავით ბააზოვს სიამაყით განუცხადებია: „მე იმ ქვეყნიდან ვარ, სადაც ებრაელობა ორი ათასი წელია ცხოვრობს, მაგრამ არც ერთხელ მის მკვიდრთაგან დარბევა-აწილება არ განუცლია. ეს სასიქადლო ქვეყანა საქართველოა!“ ამ სიტყვებს მსმენელებზე გამოგნებელი შთაბეჭდილება მოუხდენია.

ცნობებმა საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა შესახებ ებრაული ლიტერატურის კლასიკოსის შოლომ ალენიემის ყურამღეც მიადღწია. ეს დასტურდება ონის ებრაელთა სულიერი მოძღვარის დავით ბააზოვის წერილით.

დ. ბააზოვი გაზეთ „საქართველოს“ 1916 წლის 28 მაისის ნომერში დაწერილებით მოგვითხრობს თავის საინტერესო შეხვედრებზე შოლომ ალენიემთან ჯერ ლიტვის ქალაქ კოვნოს (დღევანდელი კაუნასი) ებრაულ სასულიერო სემინარიაში სწავლისას, შემდეგ კი ევროპაში.

„...როდესაც მასთან შემიყვანეს, მაშინვე მკითხა:

— თქვენ საქართველოს ებრაელი ხართ? — დიას!

— ოხ, რა ბედნიერი ვარ ამ შეხვედრით! მე მიხდა, მიაშობოთ ქართველი ერის ამბები.

როცა ვუპასუხე, პატარა წამოვადი იქიდან და არაფერი ვიცი-მეთქი, ძლიერ შეწუხდა და მითხრა: „იცით, თქვენი პირდაპირი მოვალეობაა დიდი მონაწილეობა მიიღოთ ქართველი ერის ცხოვრებაში. აღზარდოთ იმისთანა შვილები, რომ გამდიდრონ მათი ლიტერატურა, ძმობა, ამხანაგობა გაუწიონ ყველაფერში... თქვენ ხომ არაერთგვაროვნად გაჭირვება, დევნა არ განგიცდიათ ამ კეკლუცი ერისაგან. ამიტომ უფრო მეტი ვალი გაქვთ, რომ მათ წინსვ-

ლას ყოველი ძალა და ღონე შესწიროთ“.

ამ შეხვედრიდან ათი წლის შემდეგ, 1908 წელს, დ. ბააზოვი პოლანდის ქალაქ ჰაავაშია, სადაც მსოფთიერის მრეწველ ქვეყნიდან ჩამოსული ებრაელთა სახელოვანი შვილები შეიკრიბნენ, რათა თავიანთი ერის საჭირობოტო საკითხებზე ემსჯელათ. იქ მყოფთა შორის, რასაკვირველია, შოლომ ალენიემიც არის.

„უცებ, — იგონებს დ. ბააზოვი, — წამოდგა დიდთმიანი კაცი, რომელიც მაშინვე ვიცინო და აღტაცებით მკითხა:

— თქვენ ხომ საქართველოდან ხართ? — დიას.

— იცნობთ ქართველ მწერლებს — ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს?

როცა დადებითად ვუპასუხე, მის სიხარულს საზოგადო აღარ ჰქონდა და იქ დამსწრე პირებს მიუბრუნდა: „აკაკი წერეთელი პარიზში გავიციანი, ილია ჭავჭავაძე — პეტერბურგში. აი, ნამდვილი ადამიანები, აი, ნამდვილი იდეალების მსახურნი, რომელნიც კაცობრიობას ბედნიერ გზას უქადავან!“ დამსწრეთა შორის დიდი აღელვებით გაისმა შეძახილები: „გაუმარჯოს იმ ქართველ ერს, რომელსაც ასეთი ძლიერი და სულთა თვისება ჰქონია!“

ქ. ჰაავაში ებრაელთა შეხვედრის დამთავრების შემდეგ მის მონაწილეებს ბერლინამდე ერთად უმგზავრიათ მატარებლით და, როგორც დ. ბააზოვის წერილი გვაუწყებს, ლაპარაკი უმეტესწილად სულ ქართველ ერს შეეხებოდა. შოლომ ალენიემ სურვილი გამოუთქვამს, რომ სწვეოდა საქართველოს, ესწავლა ქართული ენა, პირადად დაჰკვირებოდა ერის ზნე-ნირსა და შემდეგ მისი ავ-კარგი დაწერილებით გაეცნო ევროპისა და ამერიკისათვის. სამწუხაროდ, მწერალს ეს ოცნება განუხორციელებელი დარჩა...

„იკუთხოვს უფალო სახელი შენი, რამეთუ დიდაა განგება შენი! — ამნაირად იწყებს დ. ბააზოვი თავის ზემოხსენებულ წერილს და განაგრძობს, — ასე ამოიძახა ჩემმა გულმა, როცა ორი უბედურება ერთად გავიგე: ქალაქ ნიუ-იორკში გარდაცვლილა ებრაელთა საყვარელი მწერალი შოლომ ალენიემ-რაბინოვიჩი და ამავე დროს გარდაცვლილა ქართველი ერის საყვარელი მგოსანი იროდიონ ევლოშვილი. ეს ორი ადამიანი ერთმანეთისაგან დაშორებული მანძილით, ენით, ეროვნებით, სარწმუნოებით, დაახლოებულნი არიან თავიანთი სულიერი განცდებით. ი. ევლოშვილი არის ტანჯული ხალხის მოყვარე და როცა ჰკითხულობს მის ლექსებს „ისმინე ერო ისრაელისა“ ან „ტრილი ისრაელისა“, გეჩვენება, რომ ფურცლები თითქოს პოეტის ცრემლით არის დამბალი და ჰკვირობ, რამ წაიყვანა ქიზიყელი იროდიონი შორეულ იერუსალიმში“...

ჩვენი წერილი ქართველ-ებრაელთა ორიათასწლოვანი ურთიერთობის მხოლოდ ერთი პაწაწინა ეპიზოდია. დღეს ქართველ ებრაელებს თავიანთი წვლილი შეაქვთ საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.

თითოეული ჩვენთაგანი სიამაყის გრძნობით წარმოთქვამს:

— დიას, მე ქართველი ებრაელი ვარ! ეს სიტყვები საქმით არის განმტკიცებული.

დავით გუზუაშვილი,

საპარტიზოს სსრ დამსახურებული შურნალისტი.

ძალი შინაური ოთხფეხია. ჯიშით ბევრგვარია. ზოგი ძალი ისეთი პატარაა, რომ კაცის ჯიბეშიაც ჩაეტყვას, ზოგი ისეთი დიდია, რომ ხბოს აჭარბებს...

ისე არა შინაურ პირუტყვს არ უყვარს კაცი, როგორც ძალსა. ბევრი ძალი ისეთი ერთფეხი ყოფილია თავის პატრონისა, რომ იმის საფლავზე თავი მოუკლავს. ყველამ იცის, როგორი ერთფეხი მცველია ძალი კაცისა და იმისი სახლისა. ხშირად ძალი ქურდებისაგან გადაარჩენს სახლსა, თავის პატრონს მტრისა და ხიფათისაგან გამოიხსნის ხოლმე. რამდენ საქონელს დააკლებდა ნადირი კაცსა, ძალი რომ არა ჰყოლოდა: ამიტომ აფასებს კაცი ძალსა და სახლში ინახავს. იშვიათი სახლი იქნება, რომ ძალი არ იყოს. ყველა ქვეყანაში კაცმა ძალი გაიშინაურა. ნადირობაშიაც კაცს ბევრსა ჰშველის, რადგანაც ნადირის ან ფრინველის კვალს სუნით პოულობს. ძალს კიდევ იმას ხურებენ, ასწავლიან კარების გაღებას, მიხურვას, პირით ნივთების ტარებას და დაკარგულის მოძებნას... ბავშვების ყურის გდება, იმათთან თამაშობა ძალს ძლიერ ეხერხება... ცივსა და თოვლიან ქვეყნებში, მაგალითად, ციმბირში, ძალებს ცხენების მაგივრად ხმარობენ: რამდენიმე უღელს ძალს მარხილში შეაბამენ და დაარბენინებენ. ისეთი ჯიშის ძალებიც არიან, რომ ცურვა და ყურჭუმელობა წყალში კარგად იციან. ამისთანა ძალებს წყალში დამხრჩვალ ადამიანებს აძებნიან. შემდეგი მოთხრობები კარგად გვიჩვენებს ძალის ჰქუასა და იმის ერთფეხობას:

შვეიცარიაში ისეთი ძალი მთებია, რომ ზაფხულშიაც თოვლი და ყინული დევს. ამ მთებზე მიდის გზა, რომელზედაც წელიწადში შვიდასი მგზავრი მაინც გაივლის. ზამთარში აქ მგზავრობა მეტად ძნელია, რადგანაც ძლიერ ცივა და ამასთანავე საშინელი ნამქერი იცის. ბევრ მგზავრს ეკარგება გზა და ყინვით, შიმშილით კვდება მთებში. მაგრამ უფრო ბევრი მგზავრი დაიხოცებოდა, თუ აქ გამოიხსენებოდა ძალები არ ყოფილიყვნენ. ამ მთებზე არის აშენებული ერთი უდაბნო, სადაც ბერები ცხოვრობენ. ამათა ჰყავთ დიდი ძალები, რომელთაც ყინვასა და ნამქერში ბევრი კაცი სიკვდილისაგან გადაურჩენიათ... ერთმა ამისთანა ძალიმა ორმოცი კაცი გადაარჩინა სიკვდილის თორმეტი წლის განმავლობაში. ერთხელ მან თოვლში იპოვა პატარა ყმაწვილი, ყინვით და შიმშილით შეწუხებული. ეს ყმაწვილი თურმე დედასთან ერთად გზაზე მიდიოდა, გზა დაჰკარგო-

დათ, დედა ხევში გადავარდნილიყო და დაღუპულიყო. დარჩენილიყო მარტოდ ყმაწვილი ყინვასა და თოვლში. ძალიმა რომ თოვლში ჩაფლული ყმაწვილი იპოვა, წევა დაუწყო... ყმაწვილმა თვალები გაახილა და, დაინახა თუ არა დიდი ძალი, ძლიერ შეეშინდა და გაქცევა მოინდომა, მაგრამ იმდენი ძალა აღარ ჰქონდა, რომ ზეზე წამოდგარიყო. მაშინ ძალიმა ლაქუცი და ალერსი დაუწყო და გაყინულ თითებს ულოკავდა; ბოლოს ყმაწვილს გვერდზე დაუწვა და ანიშნებდა, რომ იგი ზედ შემჯდარიყო. მაშინ კი ყმაწვილი ძალის



აკომ გოგებმევილა.

ბუნებრივი შინაური

მესამე და მეოთხე წლისათვის.

ოც და მეორე გამოცემა (110,000).

შვეიცარიული ახალი განყოფილება — კატონანაბი.

მთავალი სერაიოთი, საქართველოს ახალი ცივლი პატრონი და უფროსი პატარა პატრონი.

ყისა უფრო 70 კპ.

თბილისი, 1912.

შვირდ-მგზ. ხ. ლისაბერძინის, მოსკ. ქ. სპ. სახლი, № 5.

ძალი

ნაშკითხვით პატარებს

განზრახვას მიხვდა, როგორც იყო ზურგზე შეაჯდა და ძალმა საჩქაროდ უდაბნოში ბერებთან მიიყვანა. აქ ამ ბავშვს კარგად მოუარეს და მალე სრულებით მოარჩინეს. მაგრამ ამ ყმაწვილის უბედური დედა კი ველარ იპოვეს. ერთმა მდიდარმა კაცმა გაიგო ეს ამბავი და ობოლი ყმაწვილი შვილად აიყვანა.


ერთ კაცს პატარა ფინია ჰყავდა. ერთხელ ეს კაცი თავის მეგობართან სადილად წავიდა; ფინია კი შინ დარჩა. ქუჩებში ცუნცულის დროს დაინახა, რომ პატარა ბავშვი, რომელიც თავის დას მისდევდა, ხიდიდან წყალში გადავარდა. გონიერი პირუტყვი მაშინვე გაექანა, წყალში ჩახტა, მიეწია ბავშვს, რომელიც წყალს მიჰქონდა, პირი წაავლო, შუა რიყეზე გაიყვანა და იქ დასვა. მერმე საჩქაროდ ისევ წყალში შეტურდა, ნაპირას გამოვიდა და თავისი პატრონის მოსაძებნად გაიქცა: უნდოდა, შეეტყობინებინა, რომ ყმაწვილი რიყიდან გამოიყვანა. ამ ფინიას პატრონი თავის ნაცნობთან სადილად იჯდა. ძალი სახლში შევარდა, თავის პატრონს ძებნა დაუწყო და ყეფა ატეხა. უბრძანეს, რომ გარეთ გაეგდოთ, მაგრამ ფინია ხელმეორედ შეუხტა სასადილო ოთახში, ყეფა უფრო

მაღლა დაიწყო, მერმე თავის პატრონს კბილებით მივარდა და გარეთ ეწეოდა. ეგონათ, პური შიათ და წინ ბორცის ნაჭერი დაუდეს; მაგრამ ფინიამ შორს გადაავლო; თითქოს ეუბნებოდა, ახლა ჭამის დრო არ არისო. პატრონმა ნახა, რომ ფინია სეული იყო, იფიქრა, უთუოდ მომხდარა რამეო, და წასასვლელად ადგა. როცა ეს ფინიამ დაინახა, მაშინვე ყეფა შეწყვიტა და სიხარულით თავის პატრონს ლაქუცი დაუწყო. მერმე წინ გაუძღვა და ხიდიდან მიიყვანა. ფინია მაშინვე წყალში ჩახტა და ცურვით ახლო რიყეზე გავიდა. ამ დროს ხიდზე შენიშნეს პატარა მტრალი გოგო. როცა ჰკითხეს რად სტიროო, იმან უთხრა, რომ ჩემი სამი წლის ძმა ხიდიდან გადავარდა, აი ის ბოროტი ფინია წყალში გადახტა. მწარედ უკბინა ჩემს ძმას და რიყეზე დასვაო. ფინიას უნდოდა, ყმაწვილი ნაპირზე ცურვით გამოეყვანა, მაგრამ პატრონმა დაუძახა, მანდ იყავიო, და ძალი მაშინვე ყმაწვილს გვერდზე მიუჯდა. მერმე ბავშვი ნავით გამოიყვანეს. ბავშვს არაფერი დაშავებია და მალე მორჩა. ეს კეთილი და გონიერი ფინია რომ არ შესწრებოდა, რასაკვირველია, საწყალი ბავშვი დაიხრჩობოდა.

შემდეგი მაგალითი გვიჩვენებს, რომ ძალს თელის სწავლაც შეუძლია. ერთმა მექათამე ძალს ქათმები ჩააბარა ყურის საგდებად. ძალი ერთფეხი მთარველი იყო მიბარებული ქათმებისა, და ამიტომ მელისა და სხვა მტრები იმათ ვერას აკლებდნენ. ჩვენი ქათმების მცველი ყოველ საღამოს საქათმეში თავს შეჰყოფდა ხოლმე, თითქოს ქათმებს სთელინო, ხომ არ დაჰკლებიაო. ერთხელ მექათამე აიღო და ვაჭარ კაცს სამი ქათამი მიჰყიდა. ამ დროს ძალი შინ არ იყო. საღამოზე, ჩვეულებისამებრ, ძალიმა თავი საქათმეში შეჰყო და შეამჩნია, რომ ქათმების რიცხვი შემცირებულიყო. მაშინვე შურდულივით გაექანა, მთელი სოფელი გაიარბინა, სოფლის გარეთ ვაჭარს დაეწია, ძირს დასცა. ურძიდან ქათმებიანი გალია გადმოავლო, გარეთ გამოუშვა, წინ გამოირეკა და მხიარულად შინ დაბრუნდა. მექათამეს გაუკვირდა გაყიდული ქათმები რომ ისევ უკან მოუბრუნდნენ, და, როცა გაიგო თავისი ძალის ოინი, თავის თავს სიტყვა მისცა, რომ კვლავ ძალის მალვით ქათმები აღარ გაეყიდა.

ინგლისში ჰყავთ იმისთანა ძალები, რომლებიც დანეველნი არიან ცეცხლწაკიდებულ სახლიდან გამოიყვანონ ყოველი სულიერი, რომელიც კი შივ მოჰყვება. ვინ მოსთვლის რამდენი ადამიანი გადაურჩენიათ დაწვას.

ბევრი სხვა მაგალითებიც შეიძლება დაგვესახელებინა და უფრო ცხადად გავგებინა, რომ ძალი ძლიერ ჰქვია პირუტყვია. მაგალითად: ხევში იჯდა ძალი, მენავეს კი ეძინა; ძალიმა მენავედ სწორედ მაშინ გააღვიძა, როცა ნავი ხიდის ბურჯს უნდა დასჯახებოდა.



თარაზულები: 1. საბჭოთა ფერმწერი, მოქანდაკე და გრაფიკოსი; 7. ამერიკელი ზანგების სიმბიოზის საკრავი; 8. ქვეყრის მოყვანილობის დიდი ქილა; 10. აფრიკის სახელმწიფო; 11. ციტრუსოვანი მცენარე; 13. ფრანგი კინომსახიობი; 15. ქართული მითოლოგიური ეპოსის გმირი; 17. სახამებლის დაშლილი ფერმენტი; 19. რუსი მწერალი; 20. ესპანეთის ქალაქი; 22. დესპოტიზმი; 26. რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ცნობილი მოღვაწე, გაზეთ „ისკრის“ შექმნის მონაწილე; 29. რიმსკი-კორსაკოვის ოპერა-ბალეტი; 30. გრძელი, ფართო მოსახსნაში; 31. პირობითი ასოთი ნიშანი; 32. კარგად მოსიარულე ცხენი; 33. მთავარი არტერია; 34. აღმინისტრაციული ორგანო საბჭოთა კავშირში.

შვეულბი: 2. საბჭოთა კოსმონავტი; 3. მეცნიერებისა და ხელოვნების მდიდარი მფარველი; 4. გაზეთ „ივესტიის“ დამატება; 5. აფრიკის სახელმწიფო; 6. გერმანელი კომპოზიტორი; 7. სპორტული ცურვის სახეობა; 9. პარკოსანთა ოჯახის ბალახოვანი მცენარე; 12. მე-18 საუკუნის ქართველი გეოგრაფი, ისტორიკოსი და კარტოგრაფი; 14. სასამართლოს გადაწყვეტილების ვასაჩივრება-გადასინჯვა შემდგომ სასამართლო ორგანოებში; 16. ბურუსი, ჭანდი; 18. საფოსტო ნიშანი; 21. საერთაშორისო ხელშეკრულება, შეთანხმება; 23. ბრინჯაოს ძველი სახელწოდება; 24. ბუნებრივი, ცოცხალი ნიშუში; 25. საფოსტო გზავნილი; 26. ზოგი მცენარის სურნელოვანი წვენი; 27. წერილი; 28. წერილად დაქრილი ცომი.

შეადგინა ციხლა აბაშუქელმა.

„დროშა“ № 11-ში გამომავალი კროსვორდის პასუხები:

შვეულბი: 1. ილიაძე; 2. ზაგალო; 3. კივანი; 5. კარპოვი; 6. ადემირი; 8. სკრა; 9. რივა; 12. სუარესი; 13. იასლდე; 14. ბინდერი; 15. ირიბარი; 16. ლუისი; 17. ათენი; 22. გაბელია; 24. უბილავა; 27. ზიკო; 28. ბაია; 29. სტიაუა; 30. უეკოვი; 31. ლომიძე.

თარაზულები: 4. ალექსანდრია; 7. მარადონა; 10. აბერდინი; 11. კალცი; 12. სლავოვი; 14. ბევერენი; 16. ლორია; 18. ორსი; 19. ბორასი; 20. ენდენი; 21. საბო; 23. ილინი; 25. იამანიძე; 26. იაკუბიკი; 32. კოენი; 33. ლატიშევი; 34. მარავინი; 35. სულაქველიძე.

გარეკანის პირველ გვერდზე: ნუბზარ ერბემლიძე. ფოტო ბონდო დვალი-შვილისა. გარეკანის მეოთხე გვერდზე. მართული ფარდაბი.



ჩვენი ახალგაზრდობა კარგად იცნობს ნუგზარ ერგემლიძეს, ამ სათნო და სახიერ ახალგაზრდა კაცს, ესტრადულ პირველსავე გამოსვლით რომ დაგვაშინაოვრა თავი.

ეს აგერ, ახლახან იყო, სულ ორიოდ წლის წინ. იმ დღიდან მოყოლებული უღერს მისი ხმა, სასიამო და თბილი, გულში ჩამწვდომი. უღერს მისი სიმღერა, ლალა, თავისუფლად ამოსული გულიდან, ბუნებრივი და ძალდაუტანებელი.

მაგრამ ნუგზარ ერგემლიძე მარტოდენ მომღერალი როდია. იგი ამ სიმღერის შემქმნელიცაა და მერე, როგორი შემქმნელი: მუსიკაცა და სახიმღერო ტექსტიც მისი დაწერილია.

ერთი სიტყვით, ნუგზარი პოეტიცაა, კომპოზიტორიცაა. მომღერალი ხომ არის და არის!

და კიდევ ერთი: მან წარჩინებით დაამთავრა სამხატვრო აკადემია და მშვენივრად მოხატა მცხეთის ახალგაზრდული კლუბი.

ისე კი, მასში, მაინც მუსიკამ და სიმღერამ გაიმარჯვა. და როგორც გრივოლ აბაშიძე წერს მისი წიგნის წინასიტყვაობაში, ნუგზარ ერგემლიძის „ლექსები უნდა შეფასდეს არა როგორც წმინდა ლიტერატურული ფაქტი, არამედ მუსიკასთან და შესრულებასთან კავშირში“...

ჩვენმა ახალგაზრდობამ გულთან მიიტანა ეს სტრიქონები იმიტომ, რომ დღევანდელი დღის რიტმები იცნო შიგ და თავისი ფიქრები, ტკივილი და სიხარული დაინახა.

ახალი წელი დგება! წინ კიდევ ბევრი ახალი წელია... და ჩვენი სურვილია, ნუგზარ ერგემლიძეს — არაჩვეულებრივი მრავალმხრივობით გამოჩეულ ნიჭიერ შემოქმედ კაცს, თავისი სიტყვა ეთქვას მომავალშიც.



გადაეცა წარმოებას 21. 09. 87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 3. XII. 87. უე 11148. ქალაქის ზომა 70 x 1081/8. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფიციური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,69. ტირაჟი 50.000. შეეკეთა 2269 ფასი 35 კაპ.

880096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კვ-ის გამომცემლობის სტამბა.


Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.

Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგეების 93-28-42, 99-01-39, რედაქციის სამდივნოს — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

მშვიდობა თქვენა



მშვიდობა თქვენა მშვიდობა თქვენა მშვიდობა თქვენა მშვიდობა თქვენა...

მუსიკა და ლექსი ნუგზარ ერგემლიძისა.

მშვიდობა თქვენა!
 მშვიდობა თქვენა!
 ისევ ვიმღეროთ, რაც გვიმღერია.
 რომ სიყვარული არ კვდება ქვეყნად,
 რომ ეს სიცოცხლე მშვენიერია.
 ვიაროთ ერთად!
 ვიაროთ ერთად!
 ჩვენი შეგზური სიყვარულია.
 ეს საქართველო დალოცა ღმერთმა,
 მზე საქართველოს წმინდა გულია...
 სადღაც იცინის ლამაზი გოგო,
 ქვეყნიერებას ბიჭი პირდება,
 ასე იყო, ასე არის

და მარადუამს ასე იქნება...
 ვადიდოთ მარად, ვადიდოთ მარად,
 ვისაც არასდროს დაუჩივლია
 და დღესაც გვლოცავს სულმნათი შოთა,
 დღესაც გვარიგებს ბრძენი ილია...
 და ეს ქვეყანა ვაშენოთ ერთად,
 მზედ გავიხადოთ წუთი უოველი,
 რომ ჩვენც ავაგოთ ჭვარი და მცხეთა,
 ჩვენც ავაშენოთ სვეტიცხოველი...
 ახალგაზრდობა სიკეთეს თესავს
 და დედამიწა მადლით ივსება.
 ასე იყო, ასე არის
 და მარადუამს ასე იქნება...

საქართველოს
ინდიკსი

